



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
გენერალური აუდიტორი



№ 000011733

20/05/2026

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ შალვა პაპუაშვილს

ბატონო შალვა,

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 142-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-19 და 57-ე მუხლების შესაბამისად, წარმოგიდგინებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებას „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე.

დანართი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება – 161 ფურცელი.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორი

გიორგი გაბიტაშვილი



მოხსენება

საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები.....	4
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	5
1. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები.....	12
2 მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და ფისკალური რისკების რეალიზების ანალიზი.....	14
2.1 მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა.....	14
2.2 მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების რეალიზების ანალიზი.....	24
2.3 ფისკალური წესების შესრულების მდგომარეობა.....	30
3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები.....	36
3.1 საგადასახადო შემოსავლები.....	37
3.2 გრანტები.....	41
3.3 სხვა შემოსავლები.....	42
4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ანალიზი.....	44
4.1 საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება.....	49
4.1.1 ბიუჯეტის დაგეგმვა.....	49
4.1.2 ბიუჯეტის დაზუსტება.....	54
4.1.3 ბიუჯეტის ათვისება პროგრამების დონეზე.....	56
4.2 საინვესტიციო პროექტების მართვა.....	57
4.3 საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.....	70
4.4 საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.....	72
4.5 პროგრამული ბიუჯეტირება.....	78
5. ფინანსური აქტივების მართვა.....	82
5.1 ვალუტა და დეპოზიტები.....	83
5.2 სესხები.....	84
5.2.1 საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხები.....	84
5.2.2 საბიუჯეტო რესურსიდან გაცემული სესხები.....	89
5.3 აქციები და სხვა კაპიტალი.....	92
5.4 სახელმწიფო საწარმოები.....	92
6. სახელმწიფო და მთავრობის ვალი.....	101

6.1 სახელმწიფო ვალი.....	101
6.2 მთავრობის ვალი	102
6.3 მთავრობის საგარეო ვალი	105
6.4 მთავრობის საშინაო ვალი.....	109
6.5 მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები.....	112
7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა წლების მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	115
დანართები.....	116
დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები	116
დანართი 2. ბიუჯეტის ათვისება პროგრამების დონეზე - მაგალითები	118
დანართი 3. საინვესტიციო პროექტების მართვა - მაგალითები	123
დანართი 4. პროგრამული ბიუჯეტირება - მაგალითები	130
დანართი 5. რესტრუქტურული სესხების სია.....	133
დანართი 6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში 2022-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების შესახებ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	136
დანართი 7. „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგების და ინდიკატორების მიღწევის დამოუკიდებელი ვერიფიკაციის ანგარიში	139

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

<p>მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები</p>	<p>მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 142-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-19 და 57-ე მუხლებით საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.</p>
<p>მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები</p>	<p>მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და შედეგები; ე) საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები და სტატისტიკური ინფორმაცია; ვ) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია.
<p>სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა; ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები; სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.</p>
<p>სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა</p>	<p>მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობების საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, აგრეთვე ხარჯების კანონიერებას.</p>
<p>ზოგადი შეფასება</p>	<p>სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიში“ მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. მოხსენებაში წარმოდგენილ მიგნებებში აღწერილი საკითხების გარდა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად ასახავს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციას.</p>

შემაჯამებელი მიმოხილვა

- 2025 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 7.5% შეადგინა და 0.3 პროცენტული პუნქტით გადააჭარბა საპროგნოზო მაჩვენებელს (7.2%). ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა 104.6 მლრდ ლარს გაუტოლდა და 12.4%-ით გაიზარდა 2024 წელთან შედარებით;
- საშუალო წლიურმა ინფლაციამ 3.9% შეადგინა;
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს 2.6%-ს გაუტოლდა და 1.3 პროცენტული პუნქტით ჩამორჩა საპროგნოზო მაჩვენებელს (3.9%);
- 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსულობების მოცულობამ 27.8 მლრდ ლარი შეადგინა და 0.8%-ით გადააჭარბა საპროგნოზო მაჩვენებელს. გადასახდელების ფაქტობრივი ოდენობა კი 27.7 მლრდ ლარს გაუტოლდა და გეგმას 0.8%-ით ჩამორჩა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილია შემდეგი მნიშვნელოვანი ხასიათის საკითხები. კერძოდ:

- უკანასკნელ წლებში, ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო და ფაქტობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვანი განსხვავებებით ხასიათდება. აღნიშნული, თავის მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის ფორმირებაზე ახდენს გავლენას, რაც საბიუჯეტო რესურსების ოპტიმალური დაგეგმვისა და განაწილების თვალსაზრისით, შემაფერხებელ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს;
- 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით არ განახლებულა კანონზე თანდართული „ფისკალური რისკების ანალიზისა“ და „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტები. შესაბამისად, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს თან ერთვის ინფორმაცია ბიუჯეტის თავდაპირველ კანონში წარმოდგენილი მაკროეკონომიკური რისკების რეალიზების მდგომარეობის შესახებ, თუმცა მათ საპასუხოდ განხორციელებული ფისკალური პოლიტიკის პასუხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის;
- ქვეყნის წინაშე არსებული ფისკალური რისკების ერთ-ერთ ძირითად წყაროს სახელმწიფო საწარმოები წარმოადგენს, რაც დაკავშირებულია მათ უარყოფით ფინანსურ შედეგებთან;
- ფისკალური რისკების მნიშვნელოვან წყაროდ რჩება საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში მიმდინარე დავები. 2025 წლის მდგომარეობით, აღნიშნული დავების ფარგლებში სადავო თანხის პოტენციურმა მაქსიმალურმა ოდენობამ 1.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა;
- მნიშვნელოვანი ფისკალური რისკები იქნეს თავს ქვეყანაში მოქმედ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია დეპოზიტების დაზღვევის სისტემიდან მომდინარე პოტენციური რისკების შესახებ;
- პირობითი ვალდებულებების სრულფასოვნად იდენტიფიცირებასა და საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ინტეგრირებას გრძელვადიან პერიოდში ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. ამის მიუხედავად, საჯარო ფინანსების სტატისტიკის წარმოების მიზნებისათვის არსებული კანონმდებლობით პირობითი

ვალდებულებების ცნება განმარტებული არ არის. შესაბამისად, საბიუჯეტო დოკუმენტებში სრულყოფილად არ ხდება პირობითი ვალდებულებების მოცულობის გაანგარიშება და წარმოდგენა;

- 2025 წელს ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალის წესის მაჩვენებლები, გასული წლის მსგავსად, კანონმდებლობით დაწესებული ლიმიტების ფარგლებშია მოქცეული. კერძოდ, ვალის წესის მაჩვენებელი 34.4%-ს გაუტოლდა (ლიმიტი - 60%), ხოლო ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 0.3% (333 მლნ ლარი) შეადგინა (ლიმიტი - 3%), რაც გეგმაზე 2.2 მლრდ ლარით ნაკლებია. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია არაფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებლის გეგმიდან 1.2 მლრდ ლარით ჩამორჩენით, კერძოდ, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოებისთვის გადარიცხული თანხების არსებითი ნაწილის აუთვისებლობით ფისკალური წლის დასრულებამდე (ნაშთის ზრდა). ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის გეგმიდან არსებითი გადახრის მიუხედავად, შესრულების ანგარიში არ მოიცავს განმარტებას აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების შესახებ;
- სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი არ მოიცავს ინფორმაციას სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების გეგმური ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, რაც საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნაა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სამთავრობო სექტორის საწარმოები ერთიანი ბიუჯეტის შემადგენელი კომპონენტები არიან და შესაბამისად, მონაწილეობენ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ორივე ფისკალური წესის (ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი და ვალის წესი) ფორმირებაში;
- ასევე საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში არ ხდება ინფორმაციის წარმოდგენა საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების მოცულობის, მისი მიზნობრიობისა და შესაბამისად, მიღწეული შედეგების შესახებ;
- მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო საწარმოებს ეძლევათ მოქნილობა ფისკალური წლის ბოლოს თავიანთ განკარგვაში დაიტოვონ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული აუთვისებელი რესურსი, რაც ერთის მხრივ, გავლენას ახდენს სხვადასხვა ფისკალური პარამეტრის რეალური ოდენობის გაანგარიშებაზე, ხოლო მეორე მხრივ, შეიცავს რისკებს სახელმწიფო საწარმოებისათვის გამოყოფილი დაფინანსების რეალური საჭიროებების შესახებ;
- მიზანშეწონილია, შემუშავდეს სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მხარდაჭერის კრიტერიუმები/პირობები, რის საფუძველზეც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე განისაზღვრება საბიუჯეტო ასიგნებებიდან საწარმოებისათვის გამოსაყოფი თანხების მოცულობა. აღნიშნული, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს დაფინანსების გამჭვირვალობას, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის სახელმწიფო საწარმოების ანგარიშვალდებულების ხარისხს;
- ასევე, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სტანდარტიზებული ჩარჩო/მიდგომა, რის საფუძველზეც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი იქნება დეტალური ანგარიშგება წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოებზე მიმართული დაფინანსების მოცულობის, მისი მიზნობრიობისა და მიღწეული შედეგების შესახებ, ინდივიდუალური საწარმოების მიხედვით;

- გასული წლების მსგავსად, 2025 წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 4.5 მლრდ ლარი და მთლიანი გადასახდელების 16.3% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ფისკალური წლის ბოლოს ბიუჯეტის გადასახდელების ზრდა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებით, შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტურ გარემოებებთან, საბიუჯეტო რესურსის ჭარბი ათვისება წლის ბოლო თვეში ქმნის თანხების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გამოყენების რისკებს;
- 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვის პროცესში, მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების ასიგნებები მნიშვნელოვნად იცვლებოდა 2024 წლის განმავლობაში შემუშავებული BDD დოკუმენტების სხვადასხვა ვარიანტებში. ბიუჯეტის დაგეგმვა კომპლექსური პროცესია და ბუნებრივია BDD-ების სხვადასხვა ვერსიებში საორიენტაციო მოცულობებს შორის განსხვავების არსებობა, თუმცა საყურადღებოა აღნიშნული განსხვავებების სიხშირე და მასშტაბი. აღნიშნული ფაქტორი BDD-ის როგორც საშუალოვადიანი დაგეგმვის ინსტრუმენტის ხარისხობრივი გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დამატებით ყურადღებას საჭიროებს ასევე საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებისა და საბიუჯეტო განაცხადების ხარისხობრივი გაუმჯობესება და ქმედითუნარიანობის ზრდის საკითხი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი 8 სამინისტროს ფარგლებში 2025 წელს განხორციელდა 1.7 მლრდ ლარის მოცულობის ხარჯთაღრიცხვის ცვლილება. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 159 პროგრამიდან ბიუჯეტის დაზუსტება განხორციელდა 117-ში (პროგრამების საერთო რაოდენობის 73.6%-ში), რაც განსაკუთრებით საყურადღებოა 2025 წლის დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების ფონზე;
- ბიუჯეტის დაზუსტებასთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ (1) წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება; (2) რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებულ დონეზე შესრულების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, 17 პროგრამისა (პროგრამების საერთო რაოდენობის 10.7%) და 88 ქვეპროგრამის (ქვეპროგრამების საერთო რაოდენობის 21.9%) შემთხვევაში ათვისებული იქნა ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმის 80%-ზე ნაკლები. ჯამურად, პროგრამების ფარგლებში 2025 წელს ათვისებულმა თანხამ 567 მლნ ლარი შეადგინა;
- 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალურ ხარჯები, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 896 მლნ ლარით შემცირდა და 7.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 6.8%-ია.

საშუალოვადიან პერიოდში (2026-2029 წლებში) აღნიშნული მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, გასული წლების მსგავსად, კაპიტალური ხარჯების მაჩვენებლის შესახებ ინფორმაცია ცხადი სახით წარმოდგენილი არ არის;

- კაპიტალური ხარჯების საპროგნოზო და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული მნიშვნელოვანი ცდომილებები საშუალოვადიანი დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს. საშუალოვადიანი დაგეგმვის კუთხით ნაკლოვანებები შეინიშნება ინდივიდუალური კაპიტალური პროექტების დონეზეც. კერძოდ, გასული წლების პრაქტიკის გაანალიზებით გამოვლინდა პროგნოზების ხარისხის არსებითი გაუარესება საპროგნოზო ჰორიზონტის ზრდისას;
- 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით კაპიტალური პროექტების მნიშვნელოვან ნაწილს შეეცვალა დაფინანსება. მიუხედავად ამისა, არ დაკორექტირებულა „კაპიტალური პროექტების დანართი“. გარდა ამისა, საყურადღებოა, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტესთან დაკავშირებული საკითხები;
- კაპიტალური პროექტების შესრულების მონიტორინგის კუთხით, მნიშვნელოვანია, „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის“ მოთხოვნის შესაბამისად პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებთან ერთად წარმოდგენა;
- 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული 94 ინფრასტრუქტურული პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდება გეგმიდან გადახრით. მათ შორის, 32 პროექტის შემთხვევაში ათვისებულია საბოლოო გეგმით გამოყოფილი დაფინანსების 80%-ზე ნაკლები, ხოლო 12 პროექტის ბიუჯეტის ათვისებამ 20%-ზე მეტით გადააჭარბა გეგმურ მაჩვენებელს. მხოლოდ 41 პროექტის შემთხვევაშია ათვისების მაჩვენებელი 80%-120%-იან დიაპაზონში. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი პროექტის შემთხვევაში გეგმიდან გადაცდომას განგრძობადი ხასიათი აქვს;
- დადებითად უნდა შეფასდეს, რომ 2024-2025 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ნულოვანი ათვისების მქონე კაპიტალური პროექტების წილი. თუმცა, 80%-ზე დაბალი ათვისების მქონე პროექტების წილი 2025 წლისთვის წინა წლებთან შედარებით გაზრდილია;
- საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ათვისების ნაწილში განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი კრედიტით დაფინანსებული პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის გადახდას კრედიტის ათვისებულ ნაწილზე. აღნიშნულ სესხებზე 2025 წელს გადახდილია 4.7 მლნ ლარის ოდენობის ვალდებულების გადასახადი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში არ ხდება ინფორმაციის წარმოდგენა სსიპ/ა(ა)იპ-ების შემოსულობების/გადასახდელების შესახებ, მათი ფორმირების წყაროების მიხედვით. ასევე, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებისას, არ ხდება სსიპ/ა(ა)იპ-ების გეგმური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის განახლება;


- საყურადღებოა, სსიპ/ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსულობებისა და გადასახდელების გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრების სიხშირე და მასშტაბი, რაც რიგ შემთხვევებში სისტემატურ ხასიათს ატარებს;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი ცენტრალურ ბიუჯეტში შემავალი სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ 2025 წლის დეკემბრის ბოლოს კომერციული ბანკების ანგარიშებზე განთავსებული თანხის მოცულობამ 1.1 მლრდ ლარი შეადგინა, საიდანაც 833 მლნ ლარი მოთხოვნამდე ანაბრებსა და საბარათე ანგარიშებზე იყო განთავსებული, ხოლო 264 მლნ ლარი (20 უწყების მიერ) - ვადიან დეპოზიტებზე;
- პროგრამული ბიუჯეტის გაანალიზებით გამოვლინდა ისეთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რაც ართულებს, რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის ანგარიშების ეტაპზე შეფასდეს პროგრამების ეფექტიანობა. კერძოდ, შესწავლილი პროგრამების 55%-ს პროგრამული ბიუჯეტის დანართში ქვეპროგრამები წარმოდგენილი არ აქვს; პროგრამების 44.4%-ში, რომლებიც წარმოდგენილია ქვეპროგრამების დონეზე, საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება ერთიდაიგივე ინდიკატორები; პროგრამების 73.1%-ის შემთხვევაში გამოყენებულია მხოლოდ რაოდენობრივი ტიპის ინდიკატორები, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო შედეგების შესრულების სრულფასოვან შეფასებას;
- რაც შეეხება პროგრამული ბიუჯეტის ანგარიშების ეტაპს, ინდიკატორების 23.9%-ში ფიქსირდება 50%-ზე მეტი განსხვავება დაგეგმილ და მიღწეულ სამიზნე მაჩვენებლებს შორის. ასევე, პროგრამების/ქვეპროგრამების ინდიკატორების 11.9%-ის შემთხვევაში შეუძლებელია დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება და ცდომილების იდენტიფიცირება, ვინაიდან ინდიკატორების ნაწილს არ გააჩნია 2025 წლისთვის განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებელი ან მიღწეული მაჩვენებლის წარმოდგენა ხორციელდება დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულთან შეუსაბამოდ, განსხვავებული ფორმატით;
- პროგრამული ბიუჯეტირების შემდგომი განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, შემუშავდეს ფორმალური სამოქმედო გეგმა, სადაც განისაზღვრება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით;
- 2025 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მთლიანი პორტფელის მოცულობა 3 მლრდ ლარს შეადგენს. პორტფელში აღირიცხება 83 სესხი, საიდანაც 27 რესტრუქტურიზებულია. რესტრუქტურიზებული სესხების ნაშთი 493 მლნ ლარია (მთლიანი პორტფელის 16.6%). იმის გათვალისწინებით, რომ ქვესასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და გადავადების შემთხვევაში, ძირითადი სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება, სესხების რესტრუქტურიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დამატებითი ფინანსური წნეხის წყაროა;
- მნიშვნელოვანია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს საგარეო საკრედიტო წყაროებიდან მობილიზებული რესურსის გადასესხების წესი/პოლიტიკა, რომელშიც აისახება გადასესხების პროცესის სრული ციკლი და შესაბამისად, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას აღნიშნული პროცესის თითოეული ეტაპისთვის;

- ასევე, მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს თან ერთვოდეს დეტალური ინფორმაცია საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების პორტფელში განხორციელებული ცვლილებებისა და პორტფელის საბოლოო მდგომარეობის შესახებ;
- რაც შეეხება შიდა საბიუჯეტო რესურსებიდან გაცემულ სესხებს, პორტფელში აღრიცხული 160 სესხიდან ვადაგადაცილებაშია 85, რომლებზეც დარიცხული დავალიანების (ჯამში 393.6 მლნ ლარი) 58% პირგასამტეხლოა, 35.6% - სესხის ძირი თანხა, ხოლო 6.4% დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო ხარჯი;
- 2025 წლის ბოლოს მთავრობის ვალის მოცულობა 35.9 მლრდ ლარს გაუტოლდა და მშპ-ს 34.4% შეადგინა. მათ შორის, მთავრობის საგარეო ვალი 24.2 მლრდ ლარია, ხოლო საშინაო ვალი - 11.7 მლრდ ლარი. მთავრობის ვალის ნაშთის 67%-ს საგარეო ვალი წარმოადგენს. შესაბამისად, არსებული გეოპოლიტიკური რისკების ფონზე, მთავრობის ვალი განსაკუთრებით მოწყვლადი რჩება ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ;
- მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით მთავრობის ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილისათვის დადგენილია 65%-იანი საშუალოვადიანი ნიშნული, რომელიც ჯერჯერობით მიღწეული არ არის;
- 2025 წელს ევროში აღებული ვალდებულებების წილი მთლიან საგარეო ვალში 68%-მდე გაიზარდა. საყურადღებოა საგარეო ვალის პორტფელში ევროში დენომინირებული სესხების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც მთავრობის საგარეო ვალის მოწყვლადობას ევროს გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ არსებითად ზრდის;
- უკანასკნელ წლებში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება საკრედიტო პორტფელში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი და 2025 წლის ბოლოსთვის 54.3%-ს უტოლდება. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი მთავრობის მთლიან საგარეო ვალში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 50%-ს, რაც 2025 წლისთვის დარღვეულია;
- მთავრობის ვალთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკ-ფაქტორების სრულფასოვანი ანალიზის მიზნით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“ მოამზადოს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით;
- 2025 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა „ვალდებულებების მართვის ოპერაციების“ ფარგლებში გამოსყიდვა/გაცვლის ოპერაციების მასშტაბი. აღნიშნულის პარალელურად, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ დამატებით შეიმუშაოს სახელმძღვანელო/წესი, რომელშიც გაწერილი იქნება ვალდებულებების მართვის ოპერაციებთან დაკავშირებული სრული ციკლი;
- დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2025 წელს ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რიგი რეკომენდაციები. კერძოდ, მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია განახლდა საშუალოვადიანი ბიუჯეტირების დოკუმენტებთან ერთად, უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის

მომზადებამდე. სტრატეგიაში ასახული ნიშნულების საბიუჯეტო პარამეტრებში ინტეგრაციის მიზნით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით, 2025-2029 წლების მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიაში საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად განისაზღვრა საპროცენტო ხარჯის შეფარდება მშპ-სთან. აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს (2025 წლის ბოლოს 1.6%-ია);
- ასევე, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით მობილიზებული საკრედიტო რესურსის ერთგვაროვანი სააღრიცხვო მიდგომა.

1. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები




ცხრილი 1. მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების დინამიკა.

	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.	2024 წ.	2025 წ.
ეკონომიკური მაჩვენებლები					
ნომინალური მშპ (მლრდ ლარი)	60.7	72.9	80.9	93.0	104.6
ეკონომიკური ზრდა	10.6%	11.0%	7.8%	9.7%	7.5%
ინფლაცია	9.6%	11.9%	2.5%	1.1%	3.9%
მშპ-ს დეფლატორი	10.2%	8.1%	2.9%	4.9%	4.6%
საქონლის საგარეო სავაჭრო სალდო (მლრდ აშშ \$)	-5.9	-8.0	-9.5	-10.3	-11.3
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ \$)	1,265	2,224	1,928	1,569	1,689
ფულადი გზავნილები (მლრდ აშშ \$)	2.3	4.4	4.1	3.4	3.6
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-თან	10.3%	4.4%	5.5%	5.3%	2.6%
ფისკალური მაჩვენებლები					
შემოსულობები (მლრდ ლარი)	18.4	20.5	22.7	25.8	27.8
გადასახდელები (მლრდ ლარი)	19.8	20.2	22.4	25.9	27.7
ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)	-1,429.8	366.2	329.8	-191.1	79.6
საგადასახადო შემოსავლები (მლრდ ლარი)	11.4	15.0	17.0	20.2	22.0
ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან	6.3%	2.2%	2.2%	1.9%	0.3%
სახელმწიფო ვალის მოცულობა (მლრდ ლარი)	31.2	29.7	32.5	34.1	36.6
მთავრობის ვალის მოცულობა (მლრდ ლარი)	29.8	28.6	31.5	33.2	35.9
ვალის წესის მაჩვენებელი	49.7%	39.3%	39.0%	35.7%	34.4%


სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით შემოსულობების მოცულობა 27.6 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელების 28 მლრდ ლარით განისაზღვრა. წლის ბოლოს შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 27.8 მლრდ ლარი (გეგმის 100.8%) და 27.7 მლრდ ლარი (გეგმის 99.2%) შეადგინა.

დიაგრამა 1. 2025 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება საბოლოო კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან.



შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების ტენდენციის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა 1.4 მლრდ ლარიდან 1.5 მლრდ ლარამდე გაიზარდა (ბიუჯეტის ნაშთი გაიზარდა 79.6 მლნ ლარით).

დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა ყოველი თვის ბოლოს - 2025 წ. (მლრდ ლარი)



მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ზემოხსენებული ტენდენციების პირობებში, 2025 წელს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში¹ როგორც ბიუჯეტის ბალანსის (ბიუჯეტის დეფიციტის), ასევე ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებლები, რომლებმაც შესაბამისად, 0.3% და 34.4% შეადგინა.

¹ ბიუჯეტის ბალანსის წესი - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3%-ს;


2 მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და ფისკალური რისკების რეალიზების ანალიზი

2.1 მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა

ქვეყნის საშუალოვადიანი ფისკალური გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის ძირითადი პარამეტრები ეფუძნება „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი“ (შემდგომში - BDD) წარმოდგენილ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს. შესაბამისად, საპროგნოზო მაჩვენებლების რეალისტურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების, ასევე საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონი ეკონომიკის 6.0%-იანი ზრდის პროგნოზით დაიგეგმა, თუმცა წლის განმავლობაში დაფიქსირებულმა დადებითმა ტენდენციებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ეკონომიკური განვითარების დინამიკა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის 10 დეკემბერს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით მაკროეკონომიკური მაჩვენებლების უმეტესობა პოზიტიური მიმართულებით დაკორექტირდა. ამ პერიოდისთვის წლის ფისკალური და ეკონომიკური ტენდენციების ფაქტობრივი მდგომარეობა უმეტესწილად ცნობილი იყო. აღნიშნულმა თავის მხრივ ხელი შეუწყო მაკროეკონომიკური პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლების ფაქტობრივთან დაახლოებას. მიუხედავად ამისა, ცალკეული ინდიკატორების შემთხვევაში, ფაქტობრივ და საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის ფიქსირდება განსხვავებები.

დიაგრამა 3. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების საპროგნოზო და ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი 2025 წლისათვის.




წყარო: საპროგნოზო მაჩვენებლები - ფინანსთა სამინისტრო; ფაქტები - სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ეროვნული ბანკი.

ვალის წესი - მთავრობის ვალის და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში, ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო და ფაქტობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვანი განსხვავებებით ხასიათდება. კერძოდ, 2021-2025 წლებში გადახრა საშუალოდ 4 პროცენტული პუნქტია. 2024-2027 წლების BDD დოკუმენტით, 2024 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5.2%-ით განისაზღვრა, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა კი 9.7% შეადგინა. 2025-2028 წლების BDD დოკუმენტით 2025 წლისთვის რეალური მშპ-ს ზრდა 6.0%-ით დაიგეგმა, ფაქტობრივი მაჩვენებელი კი 7.5%-ს გაუტოლდა. ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი გასულ წლებშიც. აღნიშნული თავის მხრივ ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის ფორმირებაზე ახდენს გავლენას, რაც საბიუჯეტო რესურსების ოპტიმალური დაგეგმვისა და განაწილების თვალსაზრისით შემაფერხებელ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს.

დიაგრამა 4. ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო და ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი.



* პროგნოზები ეყრდნობა შესაბამისი ფისკალური წლისთვის მომზადებულ BDD დოკუმენტის საბოლოო ვერსიებს.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 7.2%-მდე გაიზარდა. ფაქტობრივმა ეკონომიკურმა ზრდამ, წინასწარი შეფასებით, 7.5% შეადგინა და 0.3 პ.პ.-ით გადააჭარბა პროგნოზირებულ მაჩვენებელს.

2025 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) რეალური ზრდის ყველაზე მაღალი ნიშნული (9.9%) პირველ კვარტალში დაფიქსირდა, რაც მაღალპროდუქტიული სექტორების (მათ შორის, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი) აქტივობითა და ძლიერი შიდა მოთხოვნით იქნა განპირობებული.²


2024 წელთან შედარებით, ეკონომიკის 20 დარგიდან³ 15-ში ზრდა დაფიქსირდა. წლიურად ყველაზე მკვეთრად გაიზარდა ინფორმაცია და კომუნიკაცია (28.7%-ით), განათლება (24.5%-ით), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (12.9%-ით), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (12.4%-ით), ხელოვნება, გართობა და დასვენება (12.3%-ით), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (11.9%-ით). შემცირდა შინამეურნეობების დამქირავებლური საქმიანობა და თვითმომხმარებლის წარმოება (13%-ით), სოფლის, სატყეო და თევზის

² საქართველოს ეროვნული ბანკი, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), მაისი, 2025.


³ [Statistical Classification of Economic Activities in the European Community Rev. 2](#)

მეურნეობა (5.7%-ით), ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება (4.5%-ით) და სამთომომპოვებითი მრეწველობა (3%-ით).

დიაგრამა 5. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის კვარტალური და წლიური დინამიკა (%).




დიაგრამა 6. რეალური მშპ-ს და ზოგიერთი ეკონომიკური დარგის შედარება წინა წელთან - 2025 წ.



წყარო: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დიაგრამა 7. დანახარჯების მიხედვით დათვლილი ნომინალური მშპ-ს ზრდა და ზრდაში თითოეული კომპონენტის წვლილი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2025 წელს ნომინალური მშპ 2024 წელთან შედარებით 12.4%-ით გაიზარდა და 104.6 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაც 191 მლნ ლარით (0.2%-ით) მეტია სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით

განსაზღვრულ პროგნოზზე. დანახარჯების მიხედვით დათვლილ ნომინალური მშპ-ს ზრდაში ყველაზე დიდი კონტრიბუცია მოხმარებამ (9.1%) და ექსპორტმა (5.5%) შეიტანა.



2025 წლის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა ინფლაციამ 3.9% შეადგინა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ პროგნოზს გაუტოლდა, ხოლო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონის საპროგნოზო მაჩვენებელს (3.2%) 0.7 პ.პ.-ით გადააჭარბა. 2025 წელი დაბალი ინფლაციის პირობებში დაიწყო. კერძოდ, იანვარსა და თებერვალში წლიური ინფლაციის დონემ შესაბამისად, 2.0% და 2.4% შეადგინა, თუმცა მარტიდან მიზნობრივ 3%-იან ნიშნულს გადააჭარბა და აღნიშნული ტენდენცია წლის ბოლომდე შენარჩუნდა. ამის გამომწვევ ძირითად მიზეზს წინა პერიოდის დაბალ საბაზო ეფექტთან ერთად, ეგზოგენური ფაქტორები წარმოადგენდა.⁴ ინფლაციის ზრდაზე დიდი გავლენა იქონია სურსათის ფასების ზრდამ.

დეკემბრის ბოლოს სამომხმარებლო ფასების ინფლაციის მაჩვენებელმა 4% შეადგინა და სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პროგნოზს (3.6%) 0.4 პ.პ.-ით, ხოლო თავდაპირველი კანონის პროგნოზს (3.3%) 0.7 პ.პ.-ით გადააჭარბა.

2025 წელს სამომხმარებლო კალათის ცალკეული სასაქონლო ჯგუფებიდან ფასების ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ზრდა დაფიქსირდა სურსათის და უალკოჰოლო სასმელების (8.5%-ით), ჯანმრთელობის დაცვის (8.1%-ით), სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების (6.7%-ით) სასაქონლო ჯგუფებზე.

დიაგრამა 8. ინფლაციის მაჩვენებლები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით⁵ (%).

დიაგრამა 9. სამომხმარებლო კალათაში შემავალი სასაქონლო ჯგუფების ფასების საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლები - 2025 წ. (%)



წყარო: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკი, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), გვ. 15, თებერვალი, 2026.



⁵ საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

2025 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 801 მლნ აშშ დოლარით (44.2%-ით) შემცირდა და 1 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. ამასთან, 2.7 პ.პ.-ით შემცირდა მისი მშპ-სთან თანაფარდობაც და 2.6% შეადგინა.⁶ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის ფაქტობრივი მაჩვენებელი სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელზე (3.9%) 1.3 პ.პ.-ით, ხოლო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრულზე (4.3%) - 1.7 პ.პ.-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ მესამე კვარტალში მომსახურების წმინდა ექსპორტის ზრდის შედეგად⁷ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დადებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე უარყოფითი ეფექტი იქონია საქონლის წმინდა ექსპორტის ცვლილებამ (კონტრიბუცია -15.3%), ხოლო მაჩვენებელი გააუმჯობესა პირველადი და მეორადი შემოსავლების (კონტრიბუცია 7.7% და 10.5%), ასევე მომსახურების წმინდა ექსპორტის (კონტრიბუცია 41.4%) ზრდამ, რაც ძირითადად სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების და მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდით იყო გამოწვეული.⁸

დიაგრამა 10. მიმდინარე ანგარიშის ბალანსისა და მისი კომპონენტების ტენდენცია ნომინალში და მშპ-სთან მიმართებით (მლნ აშშ დოლარი; %).

დიაგრამა 11. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის კვარტალური ტენდენცია ნომინალში და მშპ-სთან მიმართებით - 2025 წ. (მლნ აშშ დოლარი; %).




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

⁶ მიმდინარე ანგარიშის მშპ-სთან ფარდობის შემცირება გამოწვეულია ერთი მხრივ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებით, ხოლო მეორე მხრივ, ნომინალური მშპ-ს ზრდით.

⁷ აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდით, რამაც მე-3 კვარტალში 1.7 მლრდ აშშ დოლარი (წლიური მაჩვენებლის 35.5%) შეადგინა.

⁸ 2025 წელს სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები 2024 წელთან შედარებით გაიზარდა 75.1%-ით (463 მლნ აშშ დოლარით) და 1.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა 6%-ით (265 მლნ აშშ დოლარით) და 4.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.


დიაგრამა 12. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის კომპონენტების მოცულობები და მათი კონტრიბუცია 2025 წლის მაჩვენებლის ფორმირებაში (მლნ აშშ დოლარი; %-ული პუნქტი).




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

რაც შეეხება საქონლით ვაჭრობას, 2025 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 25.9 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო სავაჭრო სალდომ -11.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2024 წელთან შედარებით, საქონლის ექსპორტი 11.2%-ით გაიზარდა და 7.3 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო საქონლის იმპორტი 10.3%-ით გაიზარდა და 18.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 13. საქონლის ექსპორტის/იმპორტის მოცულობა (მლნ აშშ დოლარი) სავაჭრო პარტნიორების მიხედვით.




⁹ აღნიშნული თანხა მოიცავს რეექსპორტის მოცულობას 3.9 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით.



წყარო: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2025 წელს საქონლის ადგილობრივი ექსპორტის მოცულობამ 3.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქონლის ექსპორტის ჯამური მოცულობის 46.2%-ია.¹⁰ ადგილობრივი ექსპორტის მიხედვით, საქართველოს ყველაზე მსხვილი პარტნიორი ქვეყნებია: ევროკავშირის ქვეყნები - 776 მლნ აშშ დოლარი და რუსეთი - 700.1 მლნ აშშ დოლარი, ხოლო რეექსპორტის მიხედვით: ყირგიზეთი - 1.5 მლრდ აშშ დოლარი, ყაზახეთი - 818.5 მლნ აშშ დოლარი და აზერბაიჯანი - 519.4 მლნ აშშ დოლარი.

დიაგრამა 14. საქონლის ექსპორტი ადგილობრივი ექსპორტის და რეექსპორტის მიხედვით სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ჭრილში (მლნ აშშ დოლარი).




¹⁰ ანალოგიური მაჩვენებელი 2024 წელს 45.8%-ს, 2023 წელს 47%-ს, ხოლო 2022 წელს 66.8%-ს შეადგენდა.

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 5.9%-ით გაიზარდა და 7.8 მლნ ადამიანს გაუტოლდა.¹¹ საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 4.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2024 წლის მაჩვენებელს 265 მლნ აშშ დოლარით (6%-ით) აღემატება. აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით, მოგზაურთა რაოდენობრივი მაჩვენებლის ნაკლებობის მიუხედავად, მიღებული შემოსავლები 1.4 მლრდ აშშ დოლარით (43.5%-ით) გაიზარდა, რაც მათ შორის გამოწვეულია ტურისტული ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობის ზრდით.¹²

რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტორების მაჩვენებლის კომპოზიციას რეზიდენტობის მიხედვით, 2024 წელთან შედარებით შემცირებულია თურქეთიდან (2.5 პ.პ.-ით) და სომხეთიდან (0.9 პ.პ.-ით), ხოლო გაზრდილია ისრაელიდან (1.1 პ.პ.-ით), რუსეთიდან (1.0 პ.პ.-ით) და ევროკავშირის ქვეყნებიდან (0.3 პ.პ.-ით) შემოსული ვიზიტორების მაჩვენებელი.

დიაგრამა 15. საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 2021-2025 წლებში და მისი ცვლილების ტენდენცია (ათასი ადამიანი). | დიაგრამა 16. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები - (მლნ აშშ დოლარი).




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; საქართველოს ეროვნული ბანკი.

¹¹ მაჩვენებელი მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებსა (6.9 მლნ პირი) და სხვა (არატურისტული) მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს (946 ათასი პირი).

¹² 2025 წელს ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გათვლილი დამეგობის საშუალო რაოდენობა 5.6-ის ტოლია, 2024 წელს 5.5-ის, 2023 წელს 5.4-ის, ხოლო 2019 წელს 4.1-ის. მაჩვენებელი არ არის ხელმისაწვდომი 2020 და 2021 წლებისათვის, კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე.


დიაგრამა 17. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების დინამიკა %-ულ ჭრილში რეზიდენტობის მიხედვით (ათასი ადამიანი).




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ფულადი გზავნილების მოცულობა 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, 8.6%-ით გაიზარდა და 3.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების მოცულობა შემცირდა რუსეთიდან 73 მლნ აშშ დოლარით (13.5%-ით), ხოლო გაიზარდა აშშ-დან 110 მლნ აშშ დოლარით (19.2%-ით), იტალიიდან 54 მლნ აშშ დოლარით (9.6%-ით) და გერმანიიდან 51 მლნ აშშ დოლარით (19.2%-ით).

დიაგრამა 18. ფულადი გზავნილების მოცულობა ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი).




დიაგრამა 19. ფულადი გზავნილების მოცულობა თვეების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2025 წელს 119.4 მლნ აშშ დოლარით (7.6%-ით) გაიზარდა და 1.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით, გაიზარდა აშშ-დან (86.8 მლნ აშშ დოლარით; 121.8%-ით) და ევროკავშირის ქვეყნებიდან (82.9 მლნ აშშ დოლარით; 18.7%-ით) მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ხოლო შემცირდა - გაერთიანებული სამეფოდან (96.9 მლნ აშშ დოლარით; 22.5%-ით). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპონენტებიდან წინა წელთან შედარებით გაზრდილია სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის კომპონენტები, შესაბამისად, 80 მლნ (15.3%-ით) აშშ დოლარით და 51.1 მლნ ლარით (3.8%-ით), ხოლო 11.7 მლნ აშშ დოლარით (3.9%-ით) შემცირდა სავალო ვალდებულებების კომპონენტი.


დიაგრამა 20. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ქვეყნების მიხედვით (ნომინალურად და წილობრივად მთლიან ინვესტიციებში) (მლნ აშშ დოლარი).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (* 2025 წლის მაჩვენებელი ექვემდებარება დაზუსტებას).


2025 წელს უცხოური ვალუტის შემოდინება 2024 წელთან შედარებით 2.2 მლრდ ლარით (10.3%-ით) გაიზარდა. კერძოდ, საქონელი და მომსახურების ექსპორტი 1.8 მლრდ ლარით, ფულადი გზავნილები 287 მლნ ლარით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 119 მლნ ლარით გაიზარდა. არსებულმა მაკროეკონომიკურმა მდგომარეობამ ეროვნული ვალუტის ნომინალურ გაცვლით კურსზე დადებითი (გამყარდა 0.2%-ით), ხოლო რეალურ ეფექტურ გაცვლითი კურსზე უარყოფითი (გაუფასურდა 1.9%-ით) გავლენა იქონია.

დიაგრამა 21. უცხოური ვალუტის შემოდინების წყაროები: ექსპორტი, ტურიზმი, გზავნილები და ინვესტიციები (მლრდ აშშ დოლარი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

დიაგრამა 22. ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის¹³ პროცენტული ცვლილება გასული წლის შესაბამის თვესთან (მარჯვენა ღერძი) და აშშ დოლარისა და ევროს საშუალოთვიური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებით (მარჯვენა ღერძი).



2.2 მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების რეალიზების ანალიზი

2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით არ განახლებულა კანონზე თანდართული „ფისკალური რისკების ანალიზისა“ და „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტები. შესაბამისად, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს თან ერთვის ინფორმაცია 2025 წლის ბიუჯეტის თავდაპირველ კანონში წარმოდგენილი მაკროეკონომიკური რისკების რეალიზების მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ასევე აისახოს ინფორმაცია ფისკალურ აგრეგატებზე რისკ-ფაქტორების რეალიზების გავლენისა და ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი პასუხების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ფარგლებში წარმოდგენილია ეკონომიკური მოვლენების განვითარების სცენარები 2025 წლისთვის სხვადასხვა დაშვების პირობებში. სცენარებში მოცემული მაკროეკონომიკური პარამეტრების ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შესაბამისობის ანალიზი აჩვენებს, რომ 2025 წელს ეკონომიკური მოვლენები სამივე სცენარის კომბინაციით განვითარდა. კერძოდ, ინფლაციის, ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის ფაქტობრივი მონაცემები ოპტიმისტურ სცენართან არის მიახლოებული, ეკონომიკური ზრდისა და საქონლის ექსპორტის მაჩვენებლები

¹³ NEER - ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი; REER - რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი.

საბაზო სცენარით განვითარდა, ხოლო მიმდინარე ანგარიში, საქონლის იმპორტი და მომსახურებით ვაჭრობა პესიმისტური სცენარისკენ გადაიხარა.


ცხრილი 2. მაკროეკონომიკური პარამეტრების სხვადასხვა სცენარით პროგნოზირებული და ფაქტობრივი მაჩვენებლები - 2025 წ. (მლნ აშშ დოლარი). ✓ ნიშანი მიუთითებს ფაქტობრივ მაჩვენებელთან ყველაზე ახლოს მდგომი პროგნოზის შესახებ.


ინდიკატორი	საბაზო	პესიმისტური	ოპტიმისტური	ფაქტი
რეალური მშპ-ის ზრდა	✓ 7.2%	5.8%	7.9%	7.5%
ინფლაცია	3.6%	3.1%	✓ 4.1%	4.0%
მიმდინარე ანგარიში/მშპ	-3.9%	✓ -3.8%	-4.1%	-2.6%
მიმდინარე ანგარიში	-1,496	✓ -1,411	-1,592	-1,011
საქონლის ექსპორტი	✓ 9,666	9,523	9,756	9,632
საქონლის იმპორტი	-16,857	✓ -16,435	-17,127	-16,473
მომსახურების ექსპორტი	8,709	✓ 8,478	8,838	8,494
მომსახურების იმპორტი	-4,150	✓ -4,038	-4,242	-3,853
ბიუჯეტის დეფიციტი	2.5%	2.5%	✓ 2.1%	0.3%
მთავრობის ვალი/მშპ	34.1%	35.5%	✓ 34.5%	34.4%

წყარო: ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი (BOP), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

რაც შეეხება ფისკალური პოლიტიკის პასუხებს, შემოსავლები ოპტიმისტური, ხარჯები საბაზო, ხოლო არაფინანსური აქტივების ცვლილება ნეგატიური სცენარით განსაზღვრული პოლიტიკის პასუხებზე მიუთითებს, რამაც საბოლოოდ, ბიუჯეტის დეფიციტის ოპტიმისტური სცენარით განვითარება გამოიწვია.

დიაგრამა 23. სხვადასხვა სცენარით პროგნოზირებული ერთიანი ბიუჯეტის ფისკალური მაჩვენებლების ფაქტებთან შედარება - 2025 წ. (მლნ ლარი).





წყარო: ფინანსთა სამინისტრო.

ფისკალური რისკების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი წყარო სახელმწიფო საწარმოებია, რაც ძირითადად დაკავშირებულია საწარმოთა უარყოფით ფინანსურ შედეგებთან.¹⁴ 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული „ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის“ მიხედვით, სადაც განხილულია 211 საწარმოს ნაერთი ფინანსური მაჩვენებლები, 2024 წელი საწარმოებმა 138 მლნ ლარიანი ზარალით¹⁵ დაასრულეს (ძირითადად გამოწვეულია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ზარალით). საწარმოების ფინანსურ შედეგებზე ვალუტის გაცვლით კურსს არსებითი გავლენა არ ჰქონია.


სახელმწიფო საწარმოთა აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსება ხდება ვალდებულებების საშუალებით, რაც ასევე სახელმწიფოს წინაშე არსებული ფისკალური რისკების წყაროა. საწარმოთა სექტორიდან მომდინარე მნიშვნელოვან რისკებზე აღნიშნულია მსოფლიო ბანკის 2025 წლის ანგარიშშიც.¹⁶

¹⁴ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) მიხედვით, სახელმწიფო საწარმოების მიმართ არსებობს ცხადი ან/და არაცხადი გარანტია, რომ სახელმწიფო არ დაუშვებს მათ გაკოტრებას, რის გამოც ისინი წარმოადგენენ პოტენციური ფისკალური რისკის წყაროს (GFSM 2014, The Public Corporations Sector and Its Subsectors, პარაგრაფი 2.105).


¹⁵ მომგებიანობის მაჩვენებლად აღებულია დაბეგვრამდე მოგების მაჩვენებელი. ასევე, მონაცემი წარმოდგენილია მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე, ხოლო მისი ჩათვლით ზარალი 305 მლნ ლარია.

¹⁶ [Georgia - Public Finance Review: Fiscal Policy for Inclusive Growth.](#)

დიაგრამა 24. სახელმწიფო საწარმოების მოგების (დაბეგვრამდე) და კურსთაშორისი ცვლილების გამორიცხვით მოგების (დაბეგვრამდე) დინამიკა (მლნ ლარი).¹⁷



დიაგრამა 25. სახელმწიფო საწარმოების ნაერთი ვალდებულებები (მლნ ლარი) და ვალდებულებების წილი აქტივებში (%).



¹⁷ მონაცემები ეყრდნობა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტს. წარმოდგენილი მონაცემები არ ითვალისწინებს მარაბდა-კარწახის რკინიგზის ფინანსურ მაჩვენებლებს, რადგან ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის ეტაპზე კომპანია არ მიეკუთვნა არც სახელმწიფო კორპორაციების და არც სამთავრობო სექტორს.

დიაგრამაზე წარმოდგენილ მონაცემებში კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული მოგება დაბეგვრამდე მაჩვენებლის გამოსათვლელად შესაბამისი წლის მოგებას დაბეგვრამდე ემატება კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული ზარალი და აკლდება კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული მოგება.

სახელმწიფო საწარმოთა სექტორი, სხვა წყაროებთან ერთად, სახელმწიფოსთვის წარმოქმნის პირობით ვალდებულებებს.¹⁸ ასეთი ვალდებულებების სრულფასოვნად იდენტიფიცირებას და საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ინტეგრირებას გრძელვადიან პერიოდში ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.¹⁹ მიუხედავად ამისა, საჯარო ფინანსების სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის საქართველოს კანონმდებლობაში პირობითი ვალდებულებების ცნება განმარტებული არ არის. შესაბამისად, საბიუჯეტო დოკუმენტებში სრულყოფილად არ ხდება პირობითი ვალდებულებების მოცულობის გაანგარიშება და ინფორმაციის წარმოდგენა. მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია.²⁰

პირობითი ვალდებულებების ერთ-ერთი წყაროა საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებიდან მომდინარე რისკები. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2025 წელს წარმოებაში არსებული იმ დავებიდან, სადაც სახელმწიფო მოპასუხეს წარმოადგენდა, სადავო თანხის ჯამური პოტენციური მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა დაახლოებით 1.7 მლრდ აშშ დოლარს.

პირობითი ვალდებულებების კონტექსტში ასევე საყურადღებოა საქართველოში არსებული დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, საიდანაც მომდინარე რისკების ასახვა „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში არ ხდება.²¹ აღნიშნული სისტემა 2017 წლიდან ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების დაზღვევას. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სისტემის მიერ დაზღვეული დეპოზიტების ჯამური მოცულობა 12.2 მლრდ ლარს, ხოლო სადაზღვეო ფონდის ოდენობა - 386 მლნ ლარს შეადგენდა.

საყურადღებოა, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონით, სადაზღვეო ფონდში აკუმულირებულმა თანხებმა უნდა მიაღწიოს ფონდის მიზნობრივ ოდენობას, რაც დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 6%-ია.²² 2018-2025 წლების პერიოდში ამ ნიშნულის მიღწევა არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს პერიოდულად სადაზღვეო ლიმიტის ზრდას. კერძოდ, 2026 წლის პირველი აპრილიდან დაზღვევის ლიმიტი 30,000 ლარიდან 50,000 ლარამდე გაიზარდა, რაც 6%-იანი მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის კუთხით დამატებით გამოწვევას ქმნის.

¹⁸ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) მიხედვით, პირობითი ვალდებულებები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: ცხადი პირობითი ვალდებულებები (Explicit Contingent Liabilities) და არაცხადი პირობითი ვალდებულებები (Implicit Contingent Liabilities). ცხადი პირობითი ვალდებულების შემთხვევაში, სახელმწიფო იღებს პირდაპირ პასუხისმგებლობას, დაფაროს ხარჯი გარკვეული მოვლენის დადგომისას, მაგალითად, სახელმწიფო გარანტიების გააქტიურების შემთხვევაში. არაცხადი პირობითი ვალდებულებების (Implicit Contingent Liabilities) შემთხვევაში კი სახელმწიფოს უწევს/იძულებულია ჩაერიოს და გასწიოს ხარჯები სისტემური რისკების თავიდან ასაცილებლად, მაგალითად, ფინანსური სექტორის კრიზისის ან სტიქიური უბედურებების დროს.


¹⁹ IMF, [Fiscal Transparency Handbook](#), 2018 გვ. 95.

²⁰ [სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი.](#)

²¹ [საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“.](#)

²² საქართველოს კანონი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 4.

დიაგრამა 26. დაზღვეული დეპოზიტების ჯამური მოცულობა (მლნ ლარი) და ფონდის მოცულობის %-ული მიმართება მთლიან დაზღვეულ დეპოზიტებთან.



აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკისა (GFSM 2014) და სახელმწიფო ვალის სტატისტიკის (PSDS 2013) სახელმძღვანელოების მიხედვით, დეპოზიტების დაზღვევის სქემა წარმოადგენს სავალო ვალდებულებების ერთ-ერთ ინსტრუმენტს.²³ GFSM 2014-ის მიხედვით, აღნიშნული სქემა თავისი შინაარსიდან გამომდინარე, გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შესაძლოა დაკლასიფიცირდეს სამთავრობო სექტორის ნაწილად ან სახელმწიფო ფინანსურ კორპორაციად (სახელმწიფოს სადაზღვეო კორპორაციად).²⁴ ორივე შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა წარმოქმნის ფისკალურ რისკს პირდაპირი ან პირობითი ვალდებულების ფორმით.

საყურადღებოა ისიც, რომ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დაზღვეული დეპოზიტების მოცულობას მნიშვნელოვანი წილი უკავია მთლიანად დაზღვეულ დეპოზიტებში, რაც 2026 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 42%-ს შეადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ეტაპზე სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო არ ახორციელებს პოტენციურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო რისკების ჰეჯირებას (სადაზღვეო ფონდის ნაწილის ვალდებულებების შესაბამის ვალუტაში დენომინირებულ აქტივებში განთავსების გზით),²⁵ გაცვლითი კურსის მერყეობა აღნიშნული სისტემიდან დამატებით რისკებს წარმოქმნის.


²³ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) პარაგრაფები: 2.132-2.135; 7.201

სახელმწიფო ვალის სტატისტიკის სახელმძღვანელოს (PSDS 2013) პარაგრაფები: 3.17; 3.62; 3.62

²⁴ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) პარაგრაფი: 2.135

²⁵ სადაზღვეო ფონდის თითქმის სრული ოდენობა, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ, ლარში დენომინირებულ სახაზინო ფასიან ქაღალდებში, მაშინ როდესაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონით ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს შემდეგ დაბალრისკიან აქტივებში (კანონის მე-15 მუხლი): ა) საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მიერ გამოშვებული, ლარით დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის დეპოზიტები; გ) ევროპის ცენტრალური ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროკავშირის წევრი

დიაგრამა 27. დაზღვეული დეპოზიტების წილი ვალუტების მიხედვით (%).



აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტი და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემიდან მომდინარე პოტენციური რისკებისა და მათი მართვის კუთხით გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ამ საკითხზე ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა წლების ანგარიშებშიც. ფინანსური სექტორიდან, მათ შორის ამ სქემიდან მომდინარე ფისკალური რისკების ანალიზის მნიშვნელობაზე ასევე აღინიშნა IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების 2024 წლის ანგარიშშიც.²⁶

გარდა ზემოაღნიშნულისა, IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის 2024 წლის შეფასებით, ფისკალური რისკების შესახებ ანგარიშების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტი და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას მუნიციპალიტეტებიდან მომდინარე ფისკალური რისკებისა და მათი ფინანსური მდგრადობის შესახებ.

2.3 ფისკალური წესების შესრულების მდგომარეობა

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ფისკალური წესები. საქართველოში მოქმედი ფისკალური წესები განსაზღვრულია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით:


- ბიუჯეტის ბალანსის წესი - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3%-ს;
- ვალის წესი - მთავრობის ვალისა და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

სახელმწიფოების, ევროკავშირის სუპრანაციონალური სააგენტოების მიერ გამოშვებული, ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდები და სავალო ინსტრუმენტები.

²⁶ Georgia: IMF Technical Assistance Report - [Fiscal Transparency Evaluation](#)

გასულ წლებში დაფიქსირებული დადებითი ეკონომიკური დინამიკა 2025 წელსაც გაგრძელდა, რის შედეგადაც მშპ-სთან მიმართებით შემცირდა როგორც ბიუჯეტის დეფიციტის, ასევე ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებლები. შესაბამისად, 2025 წლის ბოლოს ორივე ფისკალური წესი ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული ნიშნულის ფარგლებში იყო მოქცეული.

დიაგრამა 28. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების შესრულების მდგომარეობა.



□ ბიუჯეტის ბალანსის წესი (ბიუჯეტის დეფიციტი)

2025 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ს 2.5%-ის ოდენობით განისაზღვრა. ფაქტობრივი მონაცემებით, 2025 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 333 მლნ ლარი შეადგინა (გეგმაზე 2.2 მლრდ ლარით ნაკლები) და ისტორიულ მინიმუმს - მშპ-ს 0.3%-ს გაუტოლდა (მათ შორის, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 1.3 მლრდ ლარია, სსიპ/ა(ა)იპ-ების პროფიციტი 448 მლნ ლარია, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტის პროფიციტი კი 533 მლნ ლარია). კომპონენტების ჭრილში, გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით ბალანსის გაუმჯობესება ძირითადად გამოწვეულია არაფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებლის გეგმიდან 1.2 მლრდ ლარით ჩამორჩენით, რასაც დაემატა „ხარჯების“ მუხლის გეგმიდან 819 მლნ ლარის ოდენობით ჩამორჩენა და შემოსავლების გადაჭარბებით მობილიზება 190 მლნ ლარით.


ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის გეგმიდან გადახრა მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოებისთვის გადარიცხული თანხების არსებითი ნაწილის აუთვისებლობამ ფისკალური წლის დასრულებამდე (ნაშთის ზრდა).²⁷ აღნიშნულმა თავის მხრივ გამოიწვია ერთიანი ბიუჯეტის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის გეგმიდან ჩამორჩენა. საყურადღებოა, რომ 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ ერთიანი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი, ხოლო ზრდისა და კლების პარამეტრები ერთმანეთისგან გამიჯნულად

²⁷ 2025 წელს საწარმოებს ჯამურად გადაერიცხათ 2 მლრდ ლარამდე, მათ შორის, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებულ საწარმოებს - 1.8 მლრდ ლარი. აქედან მხოლოდ დეკემბერში გადარიცხული თანხის მოცულობამ 981 მლნ ლარი შეადგინა (მთლიანი თანხის 55%). სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების შემთხვევაში, 2025 წელს ადგილი ჰქონდა ნაშთის ზრდას 756 მლნ ლარის ოდენობით.

მოცემული არ არის. ამასთანავე, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის გეგმიდან არსებითი გადახრის მიუხედავად, შესრულების ანგარიში არ მოიცავს ახსნა-განმარტებას აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

2025 წელს ნომინალურ მოცულობაში 1.4 მლრდ ლარით (81%-ით), ხოლო მშპ-სთან მიმართებით 1.6 კ.პ.-ით შემცირდა ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი. 2024 წელთან შედარებით გაზრდილია როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების მუხლები, შესაბამისად 2.7 მლრდ ლარითა (9%-ით) და 2.5 მლრდ ლარით (10%-ით). აღნიშნულის პარალელურად, 1.2 მლრდ ლარითაა (16%-ით) შემცირებული „არაფინანსური აქტივების ცვლილების“ მოცულობა, რამაც დამატებით შეამცირა დეფიციტის მაჩვენებელი. 2018-2025 წლების პერიოდში პირველად დაფიქსირდა არაფინანსური აქტივების ცვლილების კონპონენტის შემცირება.

დიაგრამა 29. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ნომინალური მოცულობის (მლრდ ლარი) და მისი მშპ-სთან ფარდობის (%) ტენდენცია.



წყარო: 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტი; 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.


როგორც ფაქტობრივი, ასევე მომდევნო წლების პროგნოზების ჭრილში, ერთიანი ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები ზრდის დინამიკით ხასიათდება და ძირითად შემთხვევებში - არაფინანსური აქტივების ცვლილებაც. ამასთან, ხარჯების ზრდის დინამიკა გაცილებით ახლოსაა შემოსავლების ზრდის დინამიკასთან, რაც 2023-2029 წლებისათვის საოპერაციო სალდოს მეტწილად სტაბილურ დონეს უზრუნველყოფს, საშუალოდ 5 მლრდ ლარის დონეზე.

საყურადღებოა, რომ 2023-2029 წლებისათვის მზარდი სხვაობით ხასიათდება ერთიანი ბიუჯეტის ბალანსის და პირველადი ბალანსის მაჩვენებლები,²⁸ რაც ერთიანი ბიუჯეტის საპროცენტო ხარჯების ზრდადი დინამიკითაა გამოწვეული. შესაბამისად, საშუალოვადიანი პროგნოზით, 2026 წლიდან იზრდება საპროცენტო ხარჯების კონტრიბუცია ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტში, რაც დეფიციტის

²⁸ პირველადი ბალანსი გაიანგარიშება როგორც ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც არ მოიცავს საპროცენტო ხარჯს. შესაბამისად, გამოითვლება როგორც შემოსავლებს - ხარჯები - არაფინანსური აქტივების ცვლილება + საპროცენტო ხარჯი.

საპროგნოზო მაჩვენებლების მატების პარალელურად საპროცენტო ხარჯების ზრდას უკავშირდება.²⁹ 2021-2029 წლების ფაქტობრივი და პროგნოზირებული მონაცემების ჭრილში, 2025 წელს პირველად დაფიქსირდა დადებითი პირველადი ბალანსი. ერთი მხრივ, პირველადი ბალანსის დადებითი მაჩვენებელი ქვეყნის მყარ ფისკალურ პოზიციაზე მიუთითებს და ხელს უწყობს ვალის მდგრადობას, მეორე მხრივ კი ქვეყნის განვითარების დონის შესაბამისად, მიზანშეწონილია, განისაზღვროს ფისკალური ბალანსის ოპტიმალური საშუალოვადიანი ტენდენცია საინვესტიციო საჭიროებების გათვალისწინებით.


დიაგრამა 30. ერთიანი ბიუჯეტის ანალიტიკური მაჩვენებლები (2026-2029 წლებისთვის წარმოდგენილია საპროგნოზო მაჩვენებლები) (მონაცემები ეყრდნობა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის პროგნოზებს და 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს) (მლრდ ლარი).



²⁹ საპროცენტო ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია დეტალურადაა წარმოდგენილი ქვეთავში „სახელმწიფო და მთავრობის ვალი“.

რაც შეეხება IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის³⁰ მაჩვენებელს, იგი 2025 წელს 607 მლნ ლარით შემცირდა 2024 წელთან შედარებით და 1.6 მლრდ ლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 1.5%-ია.

დიაგრამა 31. ერთიანი ბიუჯეტისა და IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლები %-ულად მშპ-სთან.



წყარო: 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტი; 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი არ მოიცავს ინფორმაციას სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების გეგმური მაჩვენებლების შესახებ, რაც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების ეტაპზე შეუძლებელს ხდის შეფასდეს რამდენად შესრულდა დაგეგმილი პარამეტრები. ფისკალურ მაჩვენებლებზე პოტენციური გავლენის მასშტაბის გათვალისწინებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების ჯეროვანი შესრულებისთვის, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების და მათი მკონტროლებელი უწყებების მხრიდან, საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს კანონმდებლობით მოთხოვნილ ანგარიშგების საკითხებზე. სახელმწიფო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების მონაცემების საბიუჯეტო დოკუმენტაციაში წარმოდგენის საჭიროებაზე ასევე აღინიშნა IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის ანგარიშში.³¹

□ ვალის წესი

ორგანული კანონით ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი განისაზღვრება როგორც მთავრობის ვალისა³² და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის

³⁰ IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტი, GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით დეფიციტის გაანგარიშების პროცესში ითვალისწინებს ფინანსური აქტივებით ოპერაციებსა და დაბრუნების ქვეანგარიშზე არსებული ნაშთის ცვლილებას. ამასთანავე, იმავე პროგრამის ფარგლებში დეფიციტის აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოსთვის ითვლება ნაერთი ბიუჯეტისთვის. IMF Country Report, 20/322, გვ. 66.


³¹ IMF, Fiscal Transparency Evaluation, თებერვალი, 2024. გვ. 15.

³² ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალისგან განსხვავებით არ მოიცავს ეროვნული ბანკის ვალს IMF-ის მიმართ და

საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან. სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, აღნიშნული მაჩვენებელი დაიგეგმა 35.9%-ის დონეზე, ხოლო განხორციელებული ცვლილებით 1.8 პ.პ.-ით შემცირდა და 34.1%-ს გაუტოლდა.

2025 წელს ვალის წესის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა 34.4% შეადგინა, რაც „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია. 2024 წელთან შედარებით მთავრობის ვალის მოცულობა გაიზარდა, თუმცა აღნიშნული ზრდა სრულად დაბალანსდა ნომინალური მშპ-ს ზრდით³³ და ვალის წესის მაჩვენებელი 1.3 პ.პ.-ით შემცირდა.

დიაგრამა 32. ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი და მისი მიმართება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ 60%-იან ზღვართან.³⁴



* აღნიშნავს პროგნოზს.

საყურადღებოა, რომ საწარმოთა სექტორიზაციის პროცესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით,³⁵ სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების³⁶ მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების საკითხი³⁷ და ამ პროცესში, ფინანსთა სამინისტროს, როგორც

დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს (მუნიციპალიტეტების, სახელმწიფოს ერთეულის მიერ შექმნილი სსიპ/ა(ა)იპ-ების და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებებს).

³³ მთავრობის ვალის ნაშთი 2.8 მლრდ ლარით (8.3%-ით), ხოლო ნომინალური მშპ 11.6 მლრდ ლარით (12.4%-ით) გაიზარდა.

³⁴ 2025 წლის მშპ-ს შემთხვევაში აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მაჩვენებელი. საპროგნოზო მონაცემები ეყრდნობა 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტის საბაზო სცენარით განსაზღვრულ მაჩვენებლებს.

³⁵ [საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი](#) (# 2384-IXმს-XXმპ დოკუმენტი; მიღების თარიღი: 15/12/2022).

³⁶ [ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის N45-ე ბრძანებით](#) სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 359 საწარმოდან 270 დაკლასიფიცირდა სამთავრობო სექტორის შემადგენელ ნაწილად.

³⁷ 2023 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა 5 სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოს ვალი 39 მლნ ლარის ოდენობით და 2020 წელს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ კომერციული ბანკებიდან აღებული მოკლევადიანი სესხები 18.4 მლნ ლარის

მაკოორდინირებელი უწყების ჩართულობა ამ დრომდე დარეგულირებული არ არის,³⁸ რაც მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს მთავრობის ვალის მდგრადობის შემდგომი უზრუნველყოფისთვის. აღნიშნული საკითხის დარეგულირება წარმოადგენს საჯარო ადმინისტრირების პრინციპების შეფასების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ მოთხოვნას.³⁹

ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებლობა სახელმწიფო ვალის სტატისტიკის და მასთან დაკავშირებული ანალიტიკური ანგარიშების წარმოების საკითხებზე,⁴⁰ თუმცა მთავრობის ვალის და შესაბამისი ანალიტიკური ანგარიშების წარმოებაზე პასუხისმგებლობა ცხადი სახით განსაზღვრული არ არის. აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისთვის, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ „სახელმწიფო ვალის მართვის“ ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. კერძოდ, არსებული კანონმდებლობით, სხვადასხვა მიზნისათვის განსაზღვრული ვალის განმარტებები ფინანსთა სამინისტრომ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საჯარო ფინანსებისა და საჯარო სექტორის ვალის სტატისტიკის სახელმძღვანელოებთან და უზრუნველყოს მათი ურთიერთთავსებადობა.⁴¹ ამ საკითხზე აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გასული წლების მოხსენებებში „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსავლების პროგნოზი 23.4 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა. წლის განმავლობაში პროგნოზირებულზე უკეთესი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 381 მლნ ლარით (1.6%-ით) გაიზარდა, რაც საგადასახადო შემოსავლების 55 მლნ ლარით (0.3%-ით) და სხვა შემოსავლების 340 მლნ ლარით (25.2%-ით) ზრდამ განაპირობა.

2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსავლებმა 24 მლრდ ლარი შეადგინა და 176 მლნ ლარით (0.7%-ით) გადააჭარბა პროგნოზს. გადაჭარბებით შესრულდა გადასახადების (17.5 მლნ ლარით), გრანტების (93.4 მლნ ლარით; 50.1%-ით) და სხვა შემოსავლების (64.7 მლნ ლარით; 3.8%-ით) კომპონენტებიც.

ოდენობით, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული მთავრობის საშინაო ვალის მოცულობაში. აღნიშნული თანხები დღემდე არ არის ასახული შესაბამისი პერიოდის მთავრობის საშინაო ვალის სტატისტიკურ მაჩვენებლებში.

³⁸ აღნიშნულზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია ([მოხსენება საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ, გვ.28.](#))

³⁹ [Assessment Methodology of the Principles of Public Administration](#), 2024, კრიტერიუმი 24.1.9.1


⁴⁰ [საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის დადგენილება №168.](#)

⁴¹ [სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.](#)

ცხრილი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები (მლნ ლარი).

	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ბიუჯეტის კანონი		2025 წლის ფაქტი	2025 წლის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)	
		საწყისი კანონი	ცვლილება		საწყისი კანონი	ცვლილება
გადასახადები	20,197	21,885	21,940	21,957	100.3%	100.1%
გრანტები	336	200	186	280	139.8%	150.1%
სხვა შემოსავლები	1,316	1,350	1,690	1,755	130.0%	103.8%
შემოსავლები	21,849	23,435	23,816	23,992	102.4%	100.7%

დიაგრამა 33. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა (მლრდ ლარი).



3.1 საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების სახით 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მოხილვებულ იქნა 22 მლრდ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1.8 მლრდ ლარით (8.7%-ით) მეტია. საგადასახადო შემოსავლების შესრულებამ სახელმწიფო ბიუჯეტის საწყისი კანონით განსაზღვრულ პროგნოზს 0.3%-ით (72.5 მლნ ლარით), ხოლო საბოლოო კანონით განსაზღვრულ პროგნოზს 0.1%-ით (17.5 მლნ ლარით) გადააჭარბა.

გასული წლების მსგავსად, საგადასახადო შემოსავლების უდიდეს ნაწილს დამატებული ღირებულების (დღგ) (37%) და საშემოსავლო გადასახადები (34.2%) შეადგენს. საგადასახადო შემოსავლების ფორმირებაში შედარებით მცირე კონტრიბუცია აქვს მოგების, აქციის და იმპორტის გადასახადებს, შესაბამისად, 13.1%, 12.4% და 0.7%.

ცხრილი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი).


	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ბიუჯეტის კანონი		2025 წლის ფაქტი	2025 წლის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)	
		საწყისი კანონი	ცვლილება		საწყისი კანონი	ცვლილება
საშემოსავლო გადასახადი	6,628	7,369	7,549	7,515	102%	99.6%
მოგების გადასახადი	3,118	3,070	2,880	2,881	93.9%	100%
დღგ	7,559	8,136	8,136	8,126	99.9%	99.9%
აქციზი	2,488	2,650	2,650	2,729	103%	103%
იმპორტი	139	150	145	147	97.7%	101.1%
სხვა გადასახადები	266	510	580	559	109.7%	96.4%
სულ	20,197	21,885	21,940	21,957	100.3%	100.1%

საგადასახადო შემოსავლებიდან:

- **საშემოსავლო გადასახადის** მოცულობა 2025 წელს 2024 წელთან შედარებით 887.3 მლნ ლარით (13.4%-ით) გაიზარდა. მიღებულმა შემოსავალმა სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელს 2%-ით (146.1 მლნ ლარით) გადააჭარბა, ხოლო საბოლოო კანონის პროგნოზს 0.4%-ით (33.9 მლნ ლარით) ჩამორჩა;
- **დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ)** ფაქტობრივად ოდენობამ 8.1 მლრდ ლარი შეადგინა და 10 მლნ ლარით ჩამორჩა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს;
- **მოგების გადასახადი** სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ თავდაპირველ საპროგნოზო მაჩვენებელს 6.1% (188.6 მლნ ლარით) ჩამორჩა, ხოლო ცვლილებით განსაზღვრულ მაჩვენებელს 1.4 მლნ ლარით გადააჭარბა და 2.9 მლრდ ლარი შეადგინა. 2024 წელთან შედარებით მოგების გადასახადის მოცულობა 236.2 მლნ ლარით (7.6%-ით) შემცირდა;
- **სხვა გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 510 მლნ ლარით განისაზღვრა. კანონში განხორციელებული ცვლილებით მისი პროგნოზი 580 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ 559 მლნ ლარი შეადგინა.

„ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების“ დაბრუნების ქვეანგარიშზე 2025 წლის დასაწყისში არსებული ნაშთი 584 მლნ ლარს შეადგენდა. წლის განმავლობაში ქვეანგარიშზე ჯამურად გადატანილ იქნა 2.5 მლრდ ლარი, საიდანაც 2.7 მლრდ ლარი დაუბრუნდათ გადასახადის გადამხდელს. წლის ბოლოს ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა 333 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 34. 2021-2025 წლებში დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი, ქვეანგარიშიდან გასული თანხებისა და ყოველი თვის ბოლოს არსებული ნაშთის დინამიკა (მლნ ლარი).




2014 წლიდან დღემდე ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი საქონელსა და მომსახურების მოხმარებაზე დაწესებულ გადასახადებს უკავია.⁴² შემდეგ კონტრიბუტორს პერსონალურ შემოსავლებზე დაწესებული გადასახადი წარმოადგენს, რომლის წილი მთლიან გადასახადებში მეტნაკლებად სტაბილურია. რაც შეეხება მოგების გადასახადს, მისი წილი 2017 წლამდე სტაბილურობით ხასიათდებოდა, თუმცა 2017 წელს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების ფონზე მკვეთრად შემცირდა,⁴³ ხოლო 2022 წლიდან დაიწყო თანდათანობით მატება. სტაბილური იყო ქონების გადასახადის წილიც, რომელიც 4%-ს შეადგენდა, თუმცა 2022-2025 წლებში 3%-მდე შემცირდა.


⁴² აღნიშნული მოიცავს დღგ-ს, აქციზსა და იმპორტის გადასახადებს.

⁴³ აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მოგების გადასახადის „ესტონურ მოდელზე“ გადასვლით.

დიაგრამა 35. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა საქართველოში.⁴⁴



დიაგრამა 36. მთავრობის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა OECD-ის ქვეყნებში.⁴⁵



⁴⁴ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წელს მოგების გადასახადის მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეულია საფინანსო სექტორის დაბეგვრამდე მოგების მაჩვენებლის ზრდით.


⁴⁵ <https://taxfoundation.org/data/all/global/oecd-tax-revenue-by-country/>

საქართველოში არსებული საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა გარკვეულწილად განსხვავდება განვითარებულ ქვეყნებში არსებულისგან. კერძოდ, OECD-ის ქვეყნებში⁴⁶ საგადასახადო შემოსავლების ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გადასახადებია, რომელიც უკანასკნელ წლებში დაახლოებით 42%-ს შეადგენს. იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელს. OECD-ის ქვეყნების საგადასახადო შემოსავლებში, საქართველოსთან შედარებით, მკვეთრად მაღალი წილით ხასიათდება მოგების და ქონების გადასახადები, რომლებიც მთლიანი საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 16% და 7%-ია, შესაბამისად.

3.2 გრანტები

გრანტების სახით 2025 წელს ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 279.6 მლნ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 56 მლნ ლარით (16.8%-ით) ნაკლებია. გრანტების ფაქტობრივმა შესრულებამ პროგნოზს 93 მლნ ლარით (50.1%-ით) გადააჭარბა.⁴⁷

დიაგრამა 37. სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების სტრუქტურა (მლნ ლარი).



2025 წელს გრანტების ყველაზე მსხვილი კომპონენტი სსიპ-ებიდან მიღებული გრანტებია (მთლიანი გრანტების 58%),⁴⁸ რომელმაც 161 მლნ ლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15 მლნ ლარით (9.9%-ით), ხოლო 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 16 მლნ ლარით (11.2%-ით) გადააჭარბა. მეორე ყველაზე მსხვილი კომპონენტი უცხოეთიდან მიღებული მიზნობრივი

⁴⁶ <https://data.oecd.org/tax/tax-revenue.htm#indicator-chart>

⁴⁷ გადაჭარბება უმეტესად გამოწვეულია 79.4 მლნ ლარის ოდენობის უცხოეთიდან მიღებული მიზნობრივი დანიშნულების გრანტებით. აღნიშნულ კომპონენტში თანხების მობილიზება დაგეგმილი არ ყოფილა.

⁴⁸ აღნიშნულ გრანტებთან დაკავშირებით ასევე იხილეთ ანგარიშის სსიპ/ა(ა)იპ-ების ქვეთავი.

გრანტებია. ამ ტიპის გრანტების ფაქტობრივმა მოცულობამ 79 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4 მლნ ლარით (4.8%-ით) ნაკლებია.

3.3 სხვა შემოსავლები

სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით სხვა შემოსავლების წლიური გეგმა 1.4 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა. კანონში განხორციელებული ცვლილებით აღნიშნული მაჩვენებელი 1.7 მლრდ ლარამდე გაიზარდა. ფაქტობრივმა შესრულებამ 1.8 მლრდ ლარი და გეგმის 103.8% შეადგინა.

ცხრილი 5. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები (მლნ ლარი).


	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ბიუჯეტის კანონი		2025 წლის ფაქტი	2025 წლის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)	
		საწყისი კანონი	ცვლილება		საწყისი კანონი	ცვლილება
შემოსავლები საკუთრებიდან	718	680	1,048	1,059	155.7%	101.1%
მ.შ. პროცენტები	331	350	350	360	102.8%	102.8%
მ.შ. დივიდენდები	353	300	670	670	223.4%	100%
მ.შ. რენტა	34	30	28	29	96.8%	105.6%
საქონლის და მომსახურების რეალიზაცია	120	130	133	144	110.9%	108.8%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	171	190	190	211	111.1%	111.1%
ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული	307	350	320	341	97.3%	106.4%
სხვა შემოსავლები	1,316	1,350	1,690	1,755	130.0%	103.8%

2025 წელს დივიდენდების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 670.1 მლნ ლარი (გეგმური მაჩვენებლის თითქმის 100%), რომელიც მთლიანად საქართველოს ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული დივიდენდია. 2025 წელს არ გამართულა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა, რის გამოც 2025 წელს საწარმოებიდან ბიუჯეტში დივიდენდების მიმართვას ადგილი არ ჰქონია.

საპროცენტო შემოსავლების სახით მობილიზებულმა თანხამ 359.7 მლნ ლარი შეადგინა და 2.8%-ით გადააჭარბა პროგნოზს. 2025 წელს ამ მუხლის უმსხვილესი კომპონენტია სახელმწიფო საწარმოებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები (147 მლნ ლარი). მეორე უდიდესი კონტრიბუტორია სახაზინო სამსახურის მიერ ფულადი სახსრების მართვის ოპერაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები, 130.1 მლნ ლარის ოდენობით. საპროცენტო შემოსავლის ამ კომპონენტში თანხების მობილიზება მნიშვნელოვნად განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გეგმიდან ჩამორჩენამ და შესაბამისად, წლის განმავლობაში ნაშთის

მკვეთრმა ზრდამ. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის საწყისი და საბოლოო კანონებით დაიგეგმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის გამოყენება, შესაბამისად, 381 მლნ და 369 მლნ ლარის ოდენობით. თუმცა, 2025 წელს გადასახდელების ათვისება, პირველი 11 თვის განმავლობაში გეგმიდან მნიშვნელოვანი ჩამორჩენით ხასიათდებოდა, რაც ნაშთის დაგროვებას იწვევდა (*ნაშთის შესახებ ინფორმაცია დეტალურად იხილეთ „ფინანსური აქტივების“ თავში*) და წლის დასაწყისთან შედარებით, ნოემბრის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2.9 მლრდ ლარამდე გაიზარდა, რომელიც მკვეთრად (1.4 მლრდ ლარით) შემცირდა დეკემბერში და 1.5 მლრდ ლარს გაუტოლდა. თავის მხრივ, ფინანსთა სამინისტრო დაგროვებულ ნაშთს ათავსებდა საბანკო დეპოზიტებზე. შედეგად, ნოემბრის ბოლოს დეპოზიტების საერთო მოცულობამ 2.3 მლრდ ლარი შეადგინა და წლის დასაწყისში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით (850 მლნ ლარი) 1.5 მლრდ ლარით გაიზარდა. დეკემბერში ასიგნებების მაღალი ათვისების პარალელურად დეპოზიტებზე არსებული ნაშთი 250 მლნ ლარამდე შემცირდა.

დიაგრამა 38. სახელმწიფო ბიუჯეტის „საპროცენტო შემოსავლების“ მუხლის სტრუქტურა (მლნ ლარი).



უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხებიდან მობილიზებული საპროცენტო შემოსავალი სრულად ემსახურება სახელმწიფოს თანმდევ საგარეო ვალდებულებებზე წარმოქმნილი საპროცენტო ხარჯების დაფარვას. ანალოგიურად, სადეპოზიტო სერტიფიკატებიდან⁴⁹ გამომუშავებული საპროცენტო შემოსავლის 95% აღნიშნული სერტიფიკატების დაფინანსების მიზნით ემიტირებულ სახაზინო ობლიგაციებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯების დაფარვისთვის გამოიყენება.⁵⁰

⁴⁹ 2020 წლის ივნისსა და ივლისში განხორციელდა 10-წლიანი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციების (კუპონის განაკვეთი - 9.375%) ემისია. ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, მობილიზებული თანხა (594.3 მლნ ლარი) ფინანსთა სამინისტრომ სრულად განათავსა კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებში (სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი - 9.875%).

⁵⁰ აღნიშნული ხარჯი ყოველწლიურად 56 მლნ ლარს შეადგენს.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ანალიზი

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით გადასახდელების წლიური გეგმა 27.9 მლრდ ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი 11.2 მლნ ლარით გაიზარდა და საბოლოოდ, 28 მლრდ ლარს გაუტოლდა. წლის ბოლოს, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტობრივმა მოცულობამ 27.7 მლრდ ლარი და გეგმის 99.2% შეადგინა.

გადასახდელების შემადგენელი კომპონენტებიდან შესრულების კუთხით აღსანიშნავია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი, რომელიც ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ გეგმას 10.1%-ით (343.6 მლნ ლარით) ჩამორჩა⁵¹ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი, რომელმაც გეგმას 23.6%-ით (75.1 მლნ ლარით) გადააჭარბა.⁵² „ხარჯებისა“ და „ვალდებულებების კლების“ მუხლების ფაქტობრივი მაჩვენებლები ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმისგან მცირე გადახრით ხასიათდებიან.

ცხრილი 6. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები და მისი კომპონენტები (მლნ ლარი).


	2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი		2025 წლის ფაქტი	2025 წლის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)	
	საწყისი კანონი	ცვლილება		საწყისი კანონი	ცვლილება
ხარჯები	21,842	22,802	22,854	104.6%	100.2%
შრომის ანაზღაურება	3,035	3,020	2,952	97.3%	97.7%
საქონელი და მომსახურება	2,485	2,467	2,351	94.6%	95.3%
პროცენტი	1,745	1,645	1,632	93.5%	99.2%
სუბსიდიები	1,022	1,476	1,604	157.0%	108.7%
გრანტები	1,856	1,988	2,080	112.0%	104.6%
სოციალური უზრუნველყოფა	8,446	8,644	8,706	103.1%	100.7%
სხვა ხარჯები	3,252	3,561	3,529	108.5%	99.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,259	3,401	3,058	71.8%	89.9%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	424	318	393	92.6%	123.6%
ვალდებულებების კლება	1,417	1,432	1,418	100.1%	99.1%
გადასახდელები	27,942	27,953	27,723	99.2%	99.2%

⁵¹ აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისა“ (29 07) და „ინფრასტრუქტურის განვითარების“ (32 07) პროგრამების ფარგლებში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის გეგმიდან ჩამორჩენით, შესაბამისად, 138.4 მლნ ლარითა და 135.6 მლნ ლარით.

⁵² აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისა“ (29 07) და „მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების“ (57 04 02) ფარგლებში „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის გეგმაზე გადაჭარბებით, შესაბამისად, 87.1 მლნ ლარითა და 13.9 მლნ ლარით.

გასულ წლებთან შედარებით, ფისკალური წლის განმავლობაში ასიგნებების ათვისების თანაბარზომიერება 2025 წელს მნიშვნელოვნად გაუარესდა. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა არსებითად გაიზარდა წლის ბოლოს და მხოლოდ დეკემბერში 4.5 მლრდ ლარი შეადგინა, რაც მთლიანი გადასახდელების 16.3%-ია. შედეგად, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა წლის პირველი 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 113.9%-ით გადააჭარბა.⁵³ მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ფისკალური წლის ბოლოს ბიუჯეტის გადასახდელების ზრდა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებით, შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტურ გარემოებებთან, საბიუჯეტო რესურსის ჭარბი ათვისება წლის ბოლო თვეში ქმნის თანხების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გამოყენების რისკებს.

დიაგრამა 39. გადასახდელებისა და მისი ცალკეული კომპონენტების ყოველთვიური დინამიკა (მლნ ლარი) - 2023-2025 წწ.




⁵³ 2023 და 2024 წლების ანალოგიური მაჩვენებლებია, შესაბამისად, 53% და 65.3%.

დეკემბერში „ხარჯების“ მუხლიდან ათვისებული რესურსის მოცულობამ 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 109.7%-ით გადააჭარბა, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებისთვის ანალოგიურმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 216.2% და 150.6% შეადგინა. გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუარესებულია „ხარჯების“ მუხლის თანაბარზომიერები ათვისების მაჩვენებელი. „ხარჯების“ მუხლის აღნიშნული ტენდენცია გამოიწვია სახელმწიფო საწარმოებისთვის დეკემბერში ამ მუხლიდან გადარიცხული თანხის არსებითმა მოცულობამ, 1.1 მლრდ ლარის ოდენობით (სახელმწიფო საწარმოების მიერ 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ჯამური დაფინანსების 53%).⁵⁴

საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნებების ათვისების ზრდის ტენდენცია შეინიშნება პროგრამების დონეზეც. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით გათვალისწინებული 159 პროგრამიდან⁵⁵ 127-ის შემთხვევაში (პროგრამების საერთო რაოდენობის 79.9%) დეკემბერში ათვისებული ასიგნებების მოცულობა აჭარბებს 11 თვის საშუალოთვიურ ხარჯვის მაჩვენებელს. ამასთან, 69 პროგრამის შემთხვევაში (პროგრამების საერთო რაოდენობის 43.4%),⁵⁶ დეკემბერში ათვისების მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტჯერ აღემატება პირველი 11 თვის საშუალო მაჩვენებელს.

დიაგრამა 40. პროგრამების რაოდენობის განაწილება 2024-2025 წლების დეკემბერში ათვისებული თანხების შესაბამისი წლის 11 თვის საშუალო ხარჯვის მაჩვენებელთან თანაფარდობის მიხედვით.



ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების მნიშვნელოვანი ზრდა ნაწილობრივ გამოწვეულია პირველ სამ კვარტალში ათვისებული რესურსის წლის ბოლოს აკუმულირებით, რამაც ბოლო კვარტალში გეგმაზე გადაჭარბებული ხარჯვა გამოიწვია. კერძოდ, პირველ სამ კვარტალში გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ კვარტალურ გეგმებს ჯამურად 992.8 მლნ ლარით⁵⁷ ჩამორჩა, ხოლო მეოთხე კვარტალში - 763.2 მლნ ლარით გადააჭარბა.

⁵⁴ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საწარმოებზე დაფინანსება მიიმართება რამდენიმე მუხლით: სუბსიდიები, სხვა ხარჯები, ფინანსური აქტივები (აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია სახელმწიფო საწარმოების მართვის ქვეთავში).

⁵⁵ პროგრამების საერთო რაოდენობაში შეყვანილია „დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“ (57 14).


⁵⁶ 2024 წელს ანალოგიური მაჩვენებელი პროგრამების საერთო რაოდენობის 30.3%-ში დაფიქსირდა.

⁵⁷ კვარტალურ გეგმასთან მიმართებით ათვისების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით მე-2 კვარტალი ხასიათდებოდა. კერძოდ, ამ კვარტალში ათვისებული რესურსის ოდენობამ 435.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც

კვარტალურ გეგმებთან მიმართებით მნიშვნელოვანი გადახრებით ხასიათდება გადასახდელების ცალკეული კომპონენტები. კერძოდ:

- „ხარჯების“ მუხლში პირველ სამ კვარტალში აუთვისებელმა რესურსმა 334.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მეოთხე კვარტლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა (386.6 მლნ ლარით);
- „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში პირველ სამ კვარტალში გეგმიდან ჩამორჩენამ ჯამურად 756 მლნ ლარი შეადგინა,⁵⁸ ხოლო მეოთხე კვარტალში გეგმა 412.4 მლნ ლარის გადაჭარბებით შესრულდა;⁵⁹
- „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში პირველი და მესამე კვარტლის გეგმა ჯამურად 115.8 მლნ ლარის გადაჭარბებით შესრულდა,⁶⁰ ხოლო მეორე და მეოთხე კვარტალში აუთვისებელმა რესურსმა 40.7 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 41. გადასახდელების შესრულება კვარტალურ გეგმებთან მიმართებით - 2025 წ.



ბოლო ათწლეულში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ზრდადი დინამიკით ხასიათდება. კერძოდ, 2016-2025 წლებში გადასახდელების მოცულობა 10.3 მლრდ ლარიდან 27.7 მლრდ ლარამდე გაიზარდა (169.4%-ით), ხოლო გადასახდელების საშუალო ზრდის ტემპმა 11.3% შეადგინა.

ძირითადად გამოწვეული იყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, თავდაცვის და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროების ასიგნებების გეგმიდან ჩამორჩენით, შესაბამისად, 65.8 მლნ ლარით, 67.9 მლნ ლარით და 115.5 მლნ ლარით.


⁵⁸ აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია „ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ (25 06), „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისა“ (29 07) და „ინფრასტრუქტურის განვითარების“ (32 07) პროგრამების გეგმიდან ჩამორჩენით, შესაბამისად, 116.1 მლნ ლარით, 186 მლნ ლარითა და 131.8 მლნ ლარით.

⁵⁹ აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების“ (25 02), „ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციისა“ (25 06) და „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების“ (29 07) პროგრამების გეგმაზე გადაჭარბებით, შესაბამისად, 90 მლნ ლარით, 106.5 მლნ ლარითა და 47.7 მლნ ლარით.


⁶⁰ აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისა“ (29 07) და „მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების“ (57 04 02) პროგრამების პირველი კვარტლის ხარჯით, შესაბამისად, 87.1 მლნ ლარითა და 13.9 მლნ ლარით. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამებს „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში კვარტალური განწერით დამტკიცებული გეგმები არ ჰქონდათ.

გადასახდელების უმსხვილესი კომპონენტია „ხარჯების“ მუხლი. 2025 წელს ხარჯების წილი მთლიან გადასახდელებში 82.4%-ს გაუტოლდა, რითაც გადააჭარბა ბოლო ათწლეულის საშუალო მაჩვენებელს (77.5%).

დიაგრამა 42. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლრდ ლარი) და მისი სტრუქტურა (%) - 2016-2025 წწ.⁶¹



დიაგრამა 43. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების (მლრდ ლარი) ფუნქციონალური კლასიფიკაცია - 2016-2025 წწ.



⁶¹ 2021 წელს „ვალდებულებების კლების“ მუხლის მკვეთრი ზრდა გამოწვეულია 2011 წელს გამოშვებული 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დაფარვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით,⁶² წინა წლების მსგავსად, დანახარჯების ყველაზე დიდი წილი სოციალურ დაცვას (27.6%), საერთო-დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებასა (15.1%) და ეკონომიკურ საქმიანობას (14.1%) უჭირავს.

4.1 საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზით საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ხშირ ცვლილებებსა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების არსებობაში.

4.1.1 ბიუჯეტის დაგეგმვა

□ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)

წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) პირველადი ვერსიის შემუშავებით. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყნის ძირითად ფისკალურ ჩარჩოს საშუალოვადიანი პერიოდისთვის და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის განსაზღვრავს ასიგნებების საორიენტაციო ზღვრულ მოცულობებს (ე.წ. ჭერს) დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვის პროცესში, მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების ასიგნებები მნიშვნელოვნად იცვლებოდა 2024 წელს შემუშავებული BDD დოკუმენტის სხვადასხვა ვარიანტებში. ბიუჯეტის დაგეგმვა კომპლექსური პროცესია და ბუნებრივია BDD დოკუმენტის სხვადასხვა ვერსიებში საორიენტაციო მოცულობებს შორის განსხვავებების არსებობა, თუმცა საყურადღებოა აღნიშნული განსხვავებების სიხშირე და მოცულობა. კერძოდ:

- 2024-2027 წლების BDD დოკუმენტის საბოლოო ვარიანტით⁶³ განსაზღვრული 164 პროგრამიდან⁶⁴ 2025 წლის ასიგნებების მოცულობა 2025-2028 წლების BDD დოკუმენტის

⁶² სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) მიხედვით, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (COFOG) მოიცავს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციების ან სოციო-ეკონომიკური მიზნების მიღწევის დეტალური დანახარჯების შესახებ.


⁶³ დოკუმენტი მომზადდა 2024 წლის იანვარში (საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად).

⁶⁴ პროგრამების საერთო რაოდენობაში გათვალისწინებულია მხარჯავი დაწესებულებები, რომლებიც BDD დოკუმენტში არ არის ჩამოთვლილი პროგრამების დონეზე. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებს, ვინაიდან

პირველად ვარიანტში⁶⁵ 97 პროგრამის შემთხვევაში დაკორექტირდა (პროგრამების საერთო რაოდენობის 59%-ს), აქედან 35 შემთხვევაში ცვლილება 10%-ს აღემატებოდა. ასევე, პროგრამების სიას დაემატა ერთი ახალი პროგრამა;⁶⁶

- 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პირველ წარდგენაზე⁶⁷ თანდართულ 2025-2028 წლების BDD დოკუმენტის გადამუშავებულ ვერსიაში, მის პირველად ვარიანტთან შედარებით, ასიგნებების ცვლილება განხორციელდა 110 პროგრამის შემთხვევაში (პროგრამების საერთო რაოდენობის 67%-ს). ამასთანავე, ცვლილების მოცულობა 42 პროგრამის შემთხვევაში 10%-ს აჭარბებდა;
- 2025-2028 წლების BDD დოკუმენტის საბოლოო ვერსიით,⁶⁸ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პირველ ვერსიაზე თანდართულ BDD დოკუმენტთან შედარებით ასიგნებები შეეცვალა 78 პროგრამას (პროგრამების საერთო რაოდენობის 48%-ს). აქედან 30 პროგრამის შემთხვევაში ცვლილება 10%-ს აღემატებოდა. ასევე სიას დაემატა სამი ახალი პროგრამა.⁶⁹

დიაგრამა 44. პროგრამების რაოდენობა, რომელთაც BDD დოკუმენტის სხვადასხვა ვარიანტებში შეეცვალათ 2025 წლის ასიგნებების მოცულობა.



ზემოაღნიშნული ფაქტორები BDD-ის როგორც საშუალოვადიანი დაგეგმვის ინსტრუმენტის ხარისხობრივი გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებს.

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში განხორციელდა სამინისტროების გაყოფა და ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება.

⁶⁵ დოკუმენტი მომზადდა 2024 წლის 10 ივლისამდე (საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად).

⁶⁶ „იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა“ (25 05), რომელიც 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონიდან ამოღებულია.

⁶⁷ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის პირველადი ვარიანტი პარლამენტს წარედგინება არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა.

⁶⁸ დოკუმენტი მომზადდა 2025 წლის იანვარში (საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად).

⁶⁹ „საქართველოს მწვანე მიმართულებაზე გადასვლის ხელშეწყობა (KfW)“ (24 22), „ენერჯის დამაგრებელი მოწყობილობის პროექტი (ADB)“ (24 23), „სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერი ღონისძიებები“ (25 08).

ძლიერი საშუალოვადიანი ფისკალური და საბიუჯეტო ჩარჩოს მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირისა (EU) და OECD-ის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული საჯარო ადმინისტრირების პრინციპების შეფასების მეთოდოლოგია, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და მეზობელი ქვეყნებისთვის საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით რეფორმების განხორციელების პროცესში. დოკუმენტის ერთ-ერთი პრინციპი⁷⁰ შეეხება საშუალოვადიანი ბიუჯეტირების ჩარჩოს, როგორც მთავრობის ფისკალურ გეგმას.

აღნიშნული პრინციპის ფარგლებში განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გააანალიზა შემოსავლებისა და დანახარჯების⁷¹ საშუალოვადიანი პროგნოზების ხარისხი. მოცემული კრიტერიუმები, საანგარიშო პერიოდის მთლიანი შემოსავლებისა და დანახარჯების ფაქტობრივ მაჩვენებლებს უდარებს იმავე ფისკალური წლისთვის ორი წლით ადრე შემუშავებულ საშუალოვადიანი ბიუჯეტირების დოკუმენტში წარმოდგენილ პროგნოზებს.⁷² 2023-2026 წლების BDD დოკუმენტის საბოლოო ვერსიით⁷³ 2025 წლისთვის განსაზღვრულ პროგნოზებსა და ფაქტობრივ შესრულებას შორის სხვაობა შემოსავლების შემთხვევაში 19%-ს, ხოლო დანახარჯების შემთხვევაში 16.4%-ს შეადგენს, რაც აღემატება შეფასების კრიტერიუმით განსაზღვრულ ნიშნულს.

□ 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი სამინისტროების მაგალითზე

საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, სამინისტროები ყოველი წლის 30 ივნისამდე ამზადებენ და ამტკიცებენ⁷⁴ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაში უნდა იყოს BDD დოკუმენტის პირველად ვერსიაში ასახულ ინფორმაციასთან. საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა ყველაზე დეტალური საბიუჯეტო დოკუმენტია, რომელიც ამავედროულად წარმოადგენს სამინისტროების შემდგომი წლის საბიუჯეტო განაცხადის⁷⁵ მომზადების საფუძველს. საბიუჯეტო განაცხადებში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტში.

⁷⁰ [Methodological Framework of the Principles of Public Administration](#) - პრინციპი 23: წლიური ბიუჯეტი არის ყოვლისმომცველი და ეფუძნება სანდო და განახლებად საშუალოვადიან ჩარჩოს, რომელიც აბალანსებს პოლიტიკის პრიორიტეტებსა და ფისკალურ შეზღუდვებს (Principle 23: The annual budget is comprehensive and formulated within a credible and rolling medium-term framework, balancing policy needs with fiscal constraints).

⁷¹ „ხარჯების“ მუხლისა და „არაფინანსური აქტივების ცვლილების“ ჯამური მაჩვენებელი.


⁷² [Methodological Framework of the Principles of Public Administration](#) - Sub-indicator 23.1.2. Preparation of the medium-term fiscal framework/ Criterion 6 and 7.

⁷³ 2023-2026 წლების BDD-ის საბოლოო ვარიანტი მომზადდა 2024 წლის იანვარში.

⁷⁴ საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 34, პუნქტი 4.

⁷⁵ მხარჯავი დაწესებულება საბიუჯეტო განაცხადს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არაუგვიანეს 1 სექტემბრისა.

დიაგრამა 45. სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის საფეხურები.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტების შედარებითი ანალიზი ცხრა სამინისტროს ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების ასიგნებებთან მიმართებით. გამოვლენილი გარემოებებით, საყურადღებოა ასიგნებების საორიენტაციო მოცულობებს შორის განსხვავებების სიხშირე და მოცულობა. კერძოდ:

- 2025-2028 წლების BDD დოკუმენტის პირველად ვარიანტში⁷⁶ წარმოდგენილი 90 პროგრამიდან სამინისტროების მიერ მომზადებულ იმავე პერიოდის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებში დაფინანსება შეეცვალა 25 პროგრამას (პროგრამების საერთო რაოდენობის 28%-ს). მათ შორის, 13 პროგრამის შემთხვევაში ცვლილებების მოცულობა 10%-ს აჭარბებს;
- საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებთან შედარებით საბიუჯეტო განაცხადებში („ჭერის ფარგლებში“) დაკორექტირდა 51 პროგრამის ასიგნებების მოცულობა (პროგრამების საერთო რაოდენობის 57%-ის). კერძოდ, ასიგნებები გაიზარდა 29 და შემცირდა 22 პროგრამის შემთხვევაში. 19 პროგრამისთვის ცვლილება 10%-ს აღემატებოდა. საბიუჯეტო განაცხადში პროგრამების სიას გამოაკლდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ერთი პროგრამა;⁷⁷
- სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პირველი წარდგენით, საბიუჯეტო განაცხადებთან შედარებით ასიგნებები შეეცვალა 55 პროგრამას (პროგრამების საერთო რაოდენობის 62%-ს), მათ შორის 10%-ზე მეტი ოდენობით 21 პროგრამას;
- სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით, ბიუჯეტის კანონში ასიგნებები დაუკორექტირდა 51 პროგრამას (პროგრამების საერთო რაოდენობის 57%-ს), 39 პროგრამაში ზრდის, ხოლო 12 პროგრამაში კლების მიმართულებით. 10%-ზე მეტი ცვლილება დაფიქსირდა 20 პროგრამის შემთხვევაში. ასევე, ასიგნებები განესაზღვრა ოთხ ახალ პროგრამას;⁷⁸


⁷⁶ დოკუმენტი მომზადდა 2024 წლის 10 ივლისამდე.

⁷⁷ „იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა“ (25 06).

⁷⁸ „საქართველოს მწვანე მიმართულებაზე გადასვლის ხელშეწყობა (KfW)“ (24 22), „ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB)“ (24 23), „სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერი ღონისძიებები“ (25 08), „მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა“ (26




- სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში 2025 წლის 10 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით 31 პროგრამას შეეცვალა დაფინანსება (პროგრამების საერთო რაოდენობის 34%-ს), აქედან 23-ს 10%-ზე მეტით. გარდა ამისა, პროგრამების სიას გამოაკლდა ერთი პროგრამა.⁷⁹

დიაგრამა 46. პროგრამების რაოდენობა, რომელთაც 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის სხვადასხვა ეტაპზე შეეცვალათ ასიგნებების მოცულობა; ასევე, ცვლილების მოცულობის პროცენტული განაწილება (%).



დიაგრამა 47. პროგრამების რაოდენობა/(%), რომელთა 2025 წლის ფაქტობრივი ხარჯი 10%-ზე მეტით განსხვავდება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შემუშავებულ დოკუმენტებში მოცემული პროგნოზებისგან.

<p>ფაქტობრივ ხარჯსა და BDD-ით განსაზღვრულ პროგნოზებს შორის 91 პროგრამიდან 10%-ზე მეტი სხვაობა ფიქსირდება 58 პროგრამაში (პროგრამების 64%-ში)</p>	<p>ფაქტობრივ ხარჯსა და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრულ პროგნოზებს შორის 91 პროგრამიდან 10%-ზე მეტი სხვაობა ფიქსირდება 54 პროგრამაში (პროგრამების 59%-ში)</p>	<p>ფაქტობრივ ხარჯსა და საბიუჯეტო განაცხადებით განსაზღვრულ პროგნოზებს შორის 91 პროგრამიდან 10%-ზე მეტი სხვაობა ფიქსირდება 54 პროგრამაში (პროგრამების 59%-ში)</p>
---	---	---



საშუალოვადიან დაგეგმვაში არსებული გამოწვევები თავს იჩენს ბიუჯეტის შესრულების ეტაპზე, რაც საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტებით განსაზღვრულ გეგმებსა და ფაქტობრივ

09). „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი“ (ADB) (24 12 02) ნაცვლად პროგრამისა, წარმოდგენილია ქვეპროგრამის სახით.

⁷⁹ „ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი“ (ADB) (24 23).

მაჩვენებლებს შორის სხვაობაში გამოიხატება. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრული 91 პროგრამის ფაქტობრივი ათვისების მაჩვენებელი განსხვავდება 2025-2028 წლების BDD დოკუმენტის პირველადი ვარიანტით, სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებითა და საბიუჯეტო განაცხადებით განსაზღვრული ასიგნებების მოცულობებისგან. ამასთან 10%-ზე მეტი სხვაობა ფიქსირდება 58 პროგრამაში BDD დოკუმენტთან მიმართებით, ხოლო საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებთან და საბიუჯეტო განაცხადებთან მიმართებით 54-54 პროგრამაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებისა და საბიუჯეტო განაცხადების მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მხარჯავი დაწესებულებების მიერ დამატებითი ყურადღება მიექცეს მათ ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და ქმედითუნარიანობის ზრდის საკითხს.

4.1.2 ბიუჯეტის დაზუსტება


საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ახორციელებენ ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილებას, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ მხარჯავი დაწესებულებები აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კოდექსით ამ მიმართულებით დადგენილ ლიმიტს,⁸⁰ საყურადღებოა მათ მიერ პროგრამებს/ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობა და სიხშირე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი 8 სამინისტროს შემთხვევაში, 2025 წელს განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების⁸¹ ჯამური მოცულობა (პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის) 1.7 მლრდ ლარს შეადგენს (აღნიშნული სამინისტროებისათვის დამტკიცებული ჯამური ასიგნებების 8.5%). სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების ცალკეული შემთხვევები ე.წ. „უკუგატარებების“ სახით. კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში ბიუჯეტის კანონის ცვლილების დროს ხორციელდება წლის განმავლობაში გადანაწილებული ასიგნებების საწყის პოზიციაში დაბრუნება (უკუგატარება). ბიუჯეტის კანონის ცვლილებით კი აღნიშნული ასიგნებები კვლავ უკუგატარებამდე არსებულ მდგომარეობაში ბრუნდება, რის შედეგადაც მათზე აღარ ხდება საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ლიმიტების გავრცელება. 2025 წელს უკუგატარებების ფორმით გადანაწილებული ასიგნებების ჯამურმა მოცულობამ 640 მლნ ლარს გადააჭარბა. მსგავსი მასშტაბით ბიუჯეტის დაზუსტება განსაკუთრებით საყურადღებოა 2025 წლის 10 დეკემბერს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში შესული ცვლილების ფონზე, რომლის ფარგლებშიც ასევე დაკორექტირდა არაერთი პროგრამის/ქვეპროგრამის/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის ასიგნების მოცულობა.


⁸⁰ საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 31, მე-3 ნაწილი: „მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 5%-ს“.

⁸¹ არ მოიცავს სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილ თანხებს.

დიაგრამა 48. სამინისტროების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილებული ასიგნებების წილი სამინისტროს ბიუჯეტში 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ (% და ჯამური ნომინალური მოცულობა მლნ ლარებში)⁸² - 2025 წ.



დიაგრამა 49. პროგრამების განაწილება დაზუსტებული გეგმის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმიდან გადახრის მიხედვით (სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსების გარეშე).



⁸² საქართველოს დევენილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებით ჯამურად გადანაწილებული თანხები არ მოიცავს უკუგატარებების სახით აგრეგირებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების ჯამურ მოცულობებს, შესაბამისად, 52.1 მლნ ლარსა და 592 მლნ ლარს. ასევე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებით გადანაწილებული თანხები არ მოიცავს საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N302 და 29 სექტემბრის N432 დადგენილებების შესაბამისობაში მოყვანის მიზნითა და 2025 წლის 9 ივლისის N1098 განკარგულების საფუძველზე გადანაწილებული თანხების ჯამურ მოცულობას, 489 მლნ ლარს.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 159 პროგრამიდან⁸³ ბიუჯეტის დაზუსტება განხორციელდა 117-ში⁸⁴ (პროგრამების საერთო რაოდენობის 73.6%-ში), დაზუსტების ჯამურმა თანხამ კი 673 მლნ ლარი შეადგინა.⁸⁵ აქედან, 10 პროგრამის შემთხვევაში,⁸⁶ დაზუსტების მასშტაბი პროგრამისთვის ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნების 30%-ს აღემატებოდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი ნაკლოვანებები:

- წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება (*დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში*);
- რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი. კერძოდ, ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა (*დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში*).

4.1.3 ბიუჯეტის ათვისება პროგრამების დონეზე

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებულ დონეზე შესრულების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ცალკეული პროგრამები/ქვეპროგრამები დაბალი ათვისებით ხასიათდებიან. კერძოდ, 17 პროგრამისა (პროგრამების საერთო რაოდენობის 10.7%) და 88 ქვეპროგრამის შემთხვევაში (ქვეპროგრამების საერთო რაოდენობის 21.9%), ათვისებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმის 80%-ზე ნაკლები. ჯამურად, პროგრამების ფარგლებში 2025 წელს ათვისებულმა თანხამ 567 მლნ ლარი შეადგინა.⁸⁷ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელსაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით

⁸³ აღნიშნული მაჩვენებელი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან მოიცავს მხოლოდ „დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების“ (57 14) პროგრამას.

⁸⁴ აღნიშნული მაჩვენებლები არ მოიცავს სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფის შედეგად გამოწვეულ დაზუსტებებს.


⁸⁵ 2024 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 566.5 მლნ ლარი იყო.

⁸⁶ „საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება“ (23 05); „კურორტების განვითარების ხელშეწყობა“ (24 20); „საქართველოს მწვანე მიმართულებაზე გადასვლის ხელშეწყობა (KfW)“ (24 22); „ელექტრონული მმართველობის განვითარება“ (26 05); „სამინისტროს სისტემაში შემავალ სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“ (27 04); „მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში“ (28 02); „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა“ (30 05); „ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სისტემის ჩამოყალიბება და მართვა“ (31 10); „საქართველოს სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა“ (34 01); „სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს ხელშეწყობა“ (40 03).

⁸⁷ 2024 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 387.4 მლნ ლარი იყო.

ათვისების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. აღნიშნული გამოწვეულია პროგრამებისთვის განკუთვნილი გამოუყენებელი ასიგნებების გადანაწილებით სხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში).

დიაგრამა 50. პროგრამების/ქვეპროგრამების განაწილება ათვისების მაჩვენებლის მიხედვით დამტკიცებულ⁸⁸ და დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით (მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვების სახით დაზუსტებული გეგმის ზევით გადახდილი თანხების გამოკლებით) – 2025 წ.



4.2 საინვესტიციო პროექტების მართვა

„საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია“ (PIM მეთოდოლოგია),⁸⁹ რის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მენეჯმენტი, აწესებს მოთხოვნას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებთან ერთად წარდგენის თაობაზე. მიუხედავად ამისა, **გასული წლების მსგავსად, აღნიშნული ანგარიშების მომზადება 2025 წელსაც არ მომხდარა.**

2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების⁹⁰ მოცულობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 896 მლნ ლარით შემცირდა და 7.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 6.8%-


⁸⁸ სხვაობა პროგრამების/ქვეპროგრამების ჯამურ რაოდენობაში დაზუსტებულთან შედარებით გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ზოგიერთი პროგრამისთვის/ქვეპროგრამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გეგმა არ არის განსაზღვრული ან ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში დაზუსტებული გეგმა ნულის ტოლია.

⁸⁹ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

⁹⁰ PIM მეთოდოლოგია ერთმანეთისგან მიჯნავს საინვესტიციო/კაპიტალური პროექტისა და კაპიტალური ხარჯის დეფინიციას. კერძოდ, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მქონე აქტივობების ერთობლიობას და გულისხმობს ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას. კაპიტალური ხარჯი კი გულისხმობს აქტივის შესაქმნელად გაწეულ დანახარჯებს და გაიანგარიშება როგორც ნაერთი ბიუჯეტის „არაფინანსური

ია (2024 წელთან შედარებით შემცირდა 1.8 პ.პ.-ით). ბოლო ხუთი წლის მანძილზე ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების⁹¹ მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებლის მინიმალური ოდენობა 2025 წელს დაფიქსირდა. ამასთანავე, 2026-2029 წლების BDD დოკუმენტის მიხედვით, მომდევნო წლებშიც მოცემული მაჩვენებელი კლებადი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა შესაბამისობაშია ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ მიზნობრივ 6%-7%-იან ნიშნულთან.⁹² აღსანიშნავია, რომ კაპიტალური ხარჯების მშპ-სთან ფარდობის სამიზნე მაჩვენებელი შემცირებულია 2024-2027 წლების BDD დოკუმენტით განსაზღვრულ 8%-იან ნიშნულთან შედარებით.⁹³ **2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, გასული წლების მსგავსად, კაპიტალური ხარჯების მაჩვენებლის შესახებ ინფორმაცია ცხადი სახით წარმოდგენილი არ არის.**

დიაგრამა 51. ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტების არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის ჯამური მაჩვენებელი ნომინალურ გამოსახულებაში და მშპ-სთან მიმართებით (მლრდ ლარი; %).⁹⁴



* პროგნოზი 2026-2029 წლების BDD დოკუმენტის მიხედვით.

აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ ჯამი (ნაშთის გამორიცხვით). საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები აღირიცხება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში, „სხვა ხარჯების“ მუხლში „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ კატეგორიასა და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში. ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტების შემთხვევაში კი „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებში. მოცემულ თავში ნაერთი ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე გაანალიზებულია როგორც კაპიტალური ხარჯების დინამიკა, ასევე კაპიტალური პროექტების მართვის საკითხები.

⁹¹ მოცემულ თავში, ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტების კაპიტალური ხარჯების მაჩვენებლის გამოთვლისთვის გამოყენებულია არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლების ჯამი.


⁹² 2026-2029 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, გვ. 16.

⁹³ 2024-2027 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, გვ. 18.

⁹⁴ 2025 წლის მაჩვენებელი ეყრდნობა ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილ შესაბამისი დონის ბიუჯეტისთვის არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის (ნაშთის გამოკლებით) მაჩვენებლების ჯამს. დანარჩენი წლებისთვის მაჩვენებელი ეყრდნობა BDD დოკუმენტს.

ამასთან, ერთიანი ბიუჯეტის მაჩვენებლის ჩამორჩენა ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებელთან გამოწვეულია კაპიტალური ხარჯების აღირიცხვა-ანგარიშგების განსხვავებული მიდგომით ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტებისთვის.

დიაგრამა 52. კაპიტალური დანახარჯების მშპ-სთან ფარდობის პროგნოზები საშუალოვადიანი პერიოდისთვის და შესაბამისი ფაქტობრივი მაჩვენებლები.




* პროგნოზები ეყრდნობა 2021-2024 წლების, 2022-2025 წლების, 2023-2026 წლების, 2024-2027 წლებისა და 2025-2028 წლების საბოლოო BDD დოკუმენტებში წარმოდგენილ მაჩვენებლებს.

2021-2024 წლებში ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების⁹⁵ მშპ-სთან ფარდობის საშუალოვადიანი საპროგნოზო მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ფაქტობრივ ოდენობებს. განსხვავებული მდგომარეობა დაფიქსირდა 2025 წელს, რაც კაპიტალური ხარჯების არსებითი შემცირებით იქნა გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ კაპიტალური ხარჯების საპროგნოზო და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული მნიშვნელოვანი ცდომილებები საშუალოვადიანი დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს. პროგნოზირების ნაწილში არსებული გამოწვევები, თავის მხრივ პირდაპირ აისახება საბიუჯეტო პარამეტრების სანდოობაზე.

კაპიტალური ხარჯების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და 2025 წლის ფაქტობრივი მონაცემით 6.3 მლრდ ლარს შეადგენს (მშპ-ს 6.1%), რაც ნომინალურ გამოხატულებაში 659 მლნ ლარით (9%-ით), ხოლო მშპ-სთან მიმართებით 1.5 კ.პ.-ით ნაკლებია 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე. ნომინალურ გამოხატულებაში, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი 1.2 მლრდ ლარით შემცირდა, თუმცა გაიზარდა ყველა სხვა კომპონენტი: „კაპიტალური გრანტები“ - 261 მლნ ლარით, „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ - 238 მლნ ლარით, „ფინანსური აქტივების ზრდა“ - 28 მლნ ლარით.

⁹⁵ 1) კაპიტალური ხარჯების მაჩვენებლად, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოყენებულია არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის (ნაშთის გამოკლებით) ჯამი.
2) 2025 წელს, ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებლებს შორის დადებითი სხვაობა გამოწვეულია აღნიშნული დონის ბიუჯეტების მაჩვენებლების გამოთვლის წესით.

დიაგრამა 53. სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები 2024-2025 წლებში და მისი ცვლილების კონტრიბუტორები (მლნ ლარი).



ორგანიზაციულ ჭრილში, 2025 წელს 31 მხარჯავი დაწესებულების ფარგლებში შემცირდა კაპიტალური ხარჯების მოცულობა. აქედან აღსანიშნავია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომლის კაპიტალური ხარჯები შემცირდა 958 მლნ ლარით. მათ შორის, შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:


- ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგ. კოდით 25 02 03) - 338 მლნ ლარით;
- საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგ. კოდით 25 02 02) - 236 მლნ ლარით;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგ. კოდით 25 03) - 203 მლნ ლარით;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგ. კოდით 25 07) - 148 მლნ ლარით.

კაპიტალური ხარჯების ზრდა დაფიქსირდა 19 მხარჯავი დაწესებულებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შემთხვევაში. მათ შორის:

- 247 მლნ ლარით გაიზარდა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები, რაც ძირითადად მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების (პროგ. კოდით 57 04 02) 154 მლნ ლარით ზრდას უკავშირდება;
- 83 მლნ ლარით გაიზარდა თავდაცვის სამინისტროს კაპიტალური ხარჯები, რაც მათ შორის გამოწვეულია თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ქვეპროგრამისა (პროგ. კოდით 29 08 01 01) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამის (პროგ. კოდით 29 07) შესაბამისად, 27 მლნ ლარითა და 21 მლნ ლარით ზრდით;
- 55 მლნ ლარით გაიზარდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კაპიტალური ხარჯები. კერძოდ, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენის ქვეპროგრამის (პროგ. კოდით 31 06 01) კაპიტალური ხარჯების 83 მლნ ლარით ზრდამ

დააბალანსა სხვა მიმართულებებით არსებული კლება და ჯამურად სამინისტროს კაპიტალური ხარჯების ზრდა განაპირობა.

დიაგრამა 54. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების სექტორული კლასიფიკაცია, თითოეული სექტორის მოცულობა ნომინალურ ღირებულებაში და %-ული წილი მთლიან საინვესტიციო პროექტებში - 2025 წ.



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული კაპიტალური ხარჯებიდან, საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტების ფარგლებში გაწეულმა ჯამურმა დანახარჯმა 3.8 მლრდ ლარი შეადგინა⁹⁶ (წლიური გეგმის 96%), რაც 765 მლნ ლარით (17%-ით) ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საინვესტიციო პროექტების დარგობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, ყველაზე მსხვილ კომპონენტს, 2024 წლის მსგავსად, საგზაო ინფრასტრუქტურის (34%) მიმართულება წარმოადგენს.


2025 წელს საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფარგლებში ათვისებული თანხის 76%-ს საბიუჯეტო სახსრები⁹⁷ შეადგენს, 24%-ს - კრედიტები⁹⁸ და 0.1%-ს - გრანტები. საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაში, 2021-2023 წლებთან შედარებით, 2024-2025 წლებში მკვეთრად გაიზარდა საბიუჯეტო სახსრების წილი, ხოლო კრედიტების კომპონენტი შემცირდა. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზია უკანასკნელ წლებში საგარეო წყაროებიდან კრედიტის სახით მობილიზებული რესურსის შემცირება და მისი ჩანაცვლება საშინაო სესხებით, რომელიც საბიუჯეტო სახსრებად კლასიფიცირდება.

⁹⁶ მონაცემები ეყრდნობა 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე თანდართულ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ“ დოკუმენტსა და „სახელმწიფო ბიუჯეტის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების“ დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემებს.

⁹⁷ საბიუჯეტო სახსრები მოიცავს ბიუჯეტის შემოსავლებს, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებით მიღებულ შემოსულობებს, საშინაო ვალის ნაწილში მობილიზებულ რესურსს, საგარეო წყაროებიდან ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების ნაწილში მობილიზებულ რესურსს.

⁹⁸ აღნიშნული არ მოიცავს ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტებისა და საშინაო სესხებით/ობლიგაციების გამოშვებით მობილიზებული რესურსით გაწეულ დანახარჯებს.

დიაგრამა 55. კაპიტალური პროექტების დაფინანსების სტრუქტურა წყაროების მიხედვით - 2021-2025 წწ.



კაპიტალური პროექტების⁹⁹ ანალიზის პროცესში იდენტიფიცირებულ იქნა პროექტების დაგეგმვის/მართვის პროცესთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული კაპიტალური პროექტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ბიუჯეტის კანონზე თანდართულ „კაპიტალური პროექტების დანართში“. თუმცა, საყურადღებოა ამ დოკუმენტში ასახული ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტესთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება ისეთი პროექტები,¹⁰⁰ რომლებიც თვისობრივად შესაბამისობაშია „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით“ განსაზღვრულ საინვესტიციო პროექტების კრიტერიუმებთან, მაგრამ არაა ასახული „კაპიტალური პროექტების დანართში“;
- გასული წლების მსგავსად, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით კაპიტალური პროექტების მნიშვნელოვან ნაწილს შეეცვალა დაფინანსება. მიუხედავად ამისა, არ მომხდარა „კაპიტალური პროექტების დანართის“ განახლება.

⁹⁹ სტატისტიკა წარმოდგენილია „კაპიტალური პროექტების დანართში“ მოცემულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

¹⁰⁰ მაგალითად: Log-in Georgia (WB) (24 08 03 01); ბოჭკოვანი ქსელი საქართველოს სოფლებისთვის (EIB) (24 08 03 02). პროექტებზე ინფორმაციის წყაროა „სახელმწიფო ბიუჯეტის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების“ დოკუმენტი და „პროგრამული დანართი“.

დიაგრამა 56. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების შედეგად „კაპიტალური პროექტების დანართში“ წარმოდგენილი პროექტების რაოდენობისა და გეგმების ცვლილება.¹⁰¹



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების შედეგად პროექტების რაოდენობა გაიზარდა 75-დან 84-მდე,¹⁰² ხოლო ჯამური დაფინანსების მოცულობა 615 მლნ ლარით შემცირდა. სულ დამატებული პროექტებიდან, კაპიტალური ბიუჯეტის დანართის ნაწილი გახდა 5 ისეთი პროექტი, რაც ბიუჯეტის თავდაპირველ კანონში ასახული იყო „სახელმწიფო ბიუჯეტის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების“ სიაში, თუმცა არ იყო წარმოდგენილი კაპიტალური პროექტების დანართში. დამატებული პროექტებიდან, 11 პროექტის¹⁰³ ფაქტობრივმა ჯამურმა ხარჯმა 97 მლნ ლარი შეადგინა. კაპიტალური პროექტების მნიშვნელობისა და გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური გავლენის გათვალისწინებით, საყურადღებოა, მათი ბიუჯეტის კანონში დროული ინტეგრირება საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად, რაც თავის მხრივ, აუცილებელი წინაპირობაა რესურსების ოპტიმალური განაწილებისა და გრძელვადიანი ფისკალური რისკების ეფექტური მართვისთვის.

ინდივიდუალური პროექტების ჭრილში, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით მნიშვნელოვნად გაიზარდა რეგიონებში ინფრასტრუქტურული

¹⁰¹ შეჩერებული პროექტებია: ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB) (24 23) - საწყისი გეგმა 5 მლნ ლარი; თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (EBRD) (57 14 09 01) - საწყისი გეგმა 4 მლნ ლარი; მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში (KfW) (57 14 12) - საწყისი გეგმა 5 მლნ ლარი.

¹⁰² შეჩერდა 3 პროექტი და დაემატა 12 პროექტი.

¹⁰³ ერთი პროექტის როგორც საწყისი, ასევე დაზუსტებული გეგმა და ფაქტობრივად გაწეული ხარჯის ოდენობა ნულის ტოლია (პირდაპირი ჩარიცხვების გამოკლებით). ასევე, 11 პროექტის ჯამური დანახარჯის მაჩვენებელი გაანგარიშებულია პირდაპირი ჩარიცხვების გამოკლებით.

პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებების (პროგ. კოდით 25 04 06) ქვეპროგრამის დაფინანსება (250 მლნ ლარიდან 450 მლნ ლარამდე).¹⁰⁴ ამავედროულად, თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობის (EIB) (პროგ. კოდით 25 02 03 10) ქვეპროგრამის გეგმა 120 მლნ ლარიდან 13 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად 3 მლნ ლარამდე დაკორექტირდა.¹⁰⁵ ასევე, 98 მლნ ლარით შემცირდა (165 მლნ ლარიდან 67 მლნ ლარამდე) საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტების (პროგ. კოდით 25 03 01) გეგმაც.¹⁰⁶

საშუალოვადიანი დაგეგმვის კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა 2019-2025 წლებში მომზადებული იმ კაპიტალური პროექტის საშუალოვადიანი პროგნოზები, რომლებიც 2021-2025 წლებში მიმდინარეობდა. ანალიზის მიზნებისთვის, ინდივიდუალური პროექტების დონეზე ერთმანეთს შეუდარდა კაპიტალური პროექტების ფაქტობრივი დანახარჯი კონკრეტული წლისთვის (t) და იმავე წლისთვის ორი წლით ადრე (t-2), ერთი წლით ადრე (t-1) და პროექტის განხორციელების წელს (t - დაზუსტებული გეგმა) განსაზღვრული გეგმები.¹⁰⁷ ანალიზის შედეგად გამოვლინდა პროგნოზების ხარისხის არსებითი გაუარესება საპროგნოზო ჰორიზონტის ზრდისას, რაც პროექტების საშუალოვადიანი დაგეგმვის პრაქტიკის ნაკლოვანებაზე მიუთითებს. კერძოდ, ინდივიდუალური პროექტების ფაქტობრივი ხარჯის ცალკეულ გეგმურ მაჩვენებელთან ფარდობის საშუალო მედიანური¹⁰⁸ ნიშნულის მიხედვით, ორი წლით ადრე განსაზღვრული გეგმიდან ფაქტობრივი მაჩვენებლის გადახრა საშუალოდ 50%-ს შეადგენს. შესაბამისი წლის ბიუჯეტის კანონზე თანდართულ (t-1) და დაზუსტებულ გეგმებში (t) გეგმიდან გადახრის მაჩვენებელი 15%-მდე მცირდება, თუმცა სიზუსტის დონე კვლავ გამოწვევად რჩება.

ასევე საყურადღებოა კაპიტალური პროექტების ფაქტობრივი ხარჯის სხვადასხვა წლებში მომზადებულ გეგმურ მაჩვენებლებთან ფარდობის ტენდენცია. კერძოდ, ორი წლით ადრე განსაზღვრულ პროგნოზებთან მიმართებით ფაქტობრივი ხარჯების ფარდობის მედიანური მაჩვენებელი უმჯობესდებოდა 2021-2024 წლებში, თუმცა 2025 წელს გაუარესდა. რაც შეეხება ბიუჯეტის კანონზე თანდართულ და დაზუსტებული გეგმების მიმართ ფაქტობრივი ხარჯის ფარდობას, იგი 2021-2023 წლებში უმჯობესდებოდა, თუმცა გაუარესდა 2025 წელს.

¹⁰⁴ ფაქტობრივად ათვისებულ იქნა 459 მლნ ლარი (გეგმის 102%).


¹⁰⁵ ფაქტობრივად ათვისებულ იქნა 2.9 მლნ ლარი (გეგმის 23%).

¹⁰⁶ ფაქტობრივად ათვისებულ იქნა 51 მლნ ლარი (გეგმის 75%).


¹⁰⁷ მონაცემები ეყრდნობა შესაბამისი წლების კაპიტალური პროექტების დანართებში წარმოდგენილ ინფორმაციას.

¹⁰⁸ მედიანური ნიშნული გამოყენებულია ექტრემალური გადახრების გავლენის განეიტრალებისთვის. მედიანური მაჩვენებლების საშუალო ტენდენცია გაანგარიშებულია როგორც [შესწავლილი კაპიტალური პროექტების ფაქტობრივი ხარჯები t წლისთვის გაყოფილი t-i წელს განსაზღვრულ გეგმებაზე] მაჩვენებლის მედიანური ნიშნულის საშუალო 2021-2025 წლებში.

დიაგრამა 57. შესწავლილი პროექტების ფაქტობრივი ხარჯისა და სხვადასხვა წლებში მომზადებული გეგმური მაჩვენებლების შეფარდების მედიანური ნიშნულის საშუალო.



დიაგრამა 58. 2021-2025 წლებში ფაქტობრივი ხარჯისა და იმავე წლისთვის წინა პერიოდებში (t-2, t-1, t) მომზადებული პროგნოზების ფარდობის მედიანური მაჩვენებლები შესწავლილი პროექტებისთვის.




კაპიტალური პროექტების დაგეგმვის კუთხით არსებული გამოწვევები ასევე ცხადად იჩენს თავს ინდივიდუალური პროექტების დონეზე. კერძოდ, შესწავლილი 25 პროექტიდან, რომლებიც წარმოდგენილია 2023-2025 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებზე თანდართულ „კაპიტალური პროექტების დანართებში“,¹⁰⁹ 24 პროექტის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა 2025 წლის გეგმური

¹⁰⁹ ვინაიდან „კაპიტალური პროექტების დანართის“ განახლება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების ფარგლებში არ ხდება, გამოყენებული მონაცემები ეყრდნობა ბიუჯეტის თავდაპირველ კანონებში წარმოდგენილ ინფორმაციას.

მაჩვენებლის მნიშვნელოვან ცვლილებას. კერძოდ, 2025 წლის გეგმური მაჩვენებლების მედიანური გადახრა ამავე წლისთვის 2023 წელს განსაზღვრული პროგნოზისგან 29%-ს, ხოლო 2024 წელს განსაზღვრული პროგნოზისგან 20%-ს უტოლდება. დაგეგმვის კუთხით არსებული გამოწვევები, თავის მხრივ გავლენას ახდენს პროექტების განხორციელების პროცესზე (შესწავლილი პროექტების 2025 წლის შესრულების მედიანური მაჩვენებელი 54%-ია, ხოლო საშუალო მაჩვენებელი - 72%).


დიაგრამა 59. 2025 წლისათვის დაგეგმილი 25 კაპიტალური პროექტის (პროგრამული კოდების მიხედვით) გეგმების შედარება 2023-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებით განსაზღვრულ 2025 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან და 2025 წლის ფაქტობრივი მაჩვენებელი (მლნ ლარი); პროექტების შესრულების მედიანური მაჩვენებელი (%).



დაგეგმვის კუთხით არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს კაპიტალური პროექტების დაფინანსების არსებითი ცვლილება ან/და მათი დასრულების დროში გაჭიანურება. მაგალითად, 2025 წელს მიმდინარე 15 პროექტის შემთხვევაში (პროექტების საერთო რაოდენობის 18%), დასრულების თავდაპირველად განსაზღვრული ვადა სულ მცირე 2 წლით გადავადდა ან/და საწყისი ბიუჯეტი 20%-ზე მეტით შეიცვალა.

განალიზებულ იქნა პროექტები, რომელსაც 2023-2025 წლებში ჰქონდათ არანულოვანი გეგმები.

დიაგრამა 60. 15 კაპიტალური პროექტის საწყისი და საბოლოო დასრულების ვადები 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს¹¹⁰ და 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე¹¹¹ დაყრდნობით, ასევე პროექტების დაფინანსების %-ული და თანხობრივი ცვლილებები (მლნ ლარი).



კაპიტალური პროექტების განმახორციელებელი უწყებებიდან მიღებული განმარტებებით, პროექტების საწყისი ბიუჯეტებიდან და ვადებიდან გადახრების გამომწვევი ძირითადი მიზეზებია:

- **გეოლოგიური სირთულეები** - პროექტების განხორციელების პროცესში, რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა მეწყრული პროცესების განვითარებას, ასევე ისეთი სპეციფიკური საინჟინრო-გეოლოგიური გარემოებების წარმოშობას, რაც სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე არ/ვერ იქნა იდენტიფიცირებული/გათვალისწინებული. აღნიშნულმა განაპირობა დამატებითი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება, სამუშაო პროექტების გადასინჯვა და დამატებითი სამშენებლო სამუშაოების (მაგალითად, საყრდენი კედლებისა და თაღოვანი მილების მშენებლობა) განხორციელების საჭიროება. თავის მხრივ, მოცემული გარემოებები გარკვეულწილად პროექტის შეფასების ეტაპზე არსებულ სისუსტეებზე მიუთითებს;
- **პროექტების მასშტაბის/შინაარსის ცვლილება** - პროექტების განხორციელების პროცესში სამუშაოთა მოცულობა სამი ძირითადი მიმართულებით გაიზარდა: ა) პროექტის დაფარვის

¹¹⁰ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში წარმოდგენილი პროგნოზები მომზადებულია 2021 ფისკალურ წელს.

¹¹¹ 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში წარმოდგენილი პროგნოზები მომზადებულია 2025 ფისკალურ წელს.

არეალის გაფართოება, რაც გულისხმობს მაგალითად, ახალი სოფლების, სკოლებისა და ენერგოეფექტურობის კომპონენტის დამატებას ბენეფიციარ(ებ)ის ან განმახორციელებელი უწყების ინიციატივით; ბ) ტექნიკური გადაწყვეტების ჩანაცვლება, მაგალითად, თავდაპირველად დაგეგმილი სამელიორაციო მიღების შეცვლა სახიდე გადასასვლელებით, ტექნიკური საჭიროებიდან გამომდინარე; გ) გრუნტის მდგრადობის გაუმჯობესება - ფერდის მოჭრა, საყრდენი კედლების მოწყობა, ქვის სვეტებისა და ვერტიკალური დრენაჟის მონტაჟი, რომელთა საჭიროება წინასწარი კვლევებით გამოვლენილი არ ყოფილა. ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს პროექტის სტრატეგიული დაგეგმვის, წინასწარი სკრინინგისა და ალტერნატივების ანალიზის არასათანადო განხორციელებაზე.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის მიხედვით, ისევე როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სტანდარტების თანახმად, კაპიტალური პროექტის შეფასების ეტაპზე უნდა ჩატარდეს ყველა ტექნიკური შეფასება, მათ შორის, გეოლოგიური კვლევა, ალტერნატივების ანალიზი და პროექტის მასშტაბის განსაზღვრა. ზემოაღნიშნული პროექტების ანალიზი მიუთითებს შეფასების ეტაპზე არსებულ სისუსტეებზე, რამდენადაც, ხშირ შემთხვევებში, ამ ეტაპზე გასაკეთებელი აქტივობები უშუალოდ პროექტის შესრულების ეტაპზე ხორციელდება.

კაპიტალური პროექტების მართვის პროცესში იდენტიფიცირებული გამოწვევები თავის მხრივ გავლენას ახდენს პროექტების წლიური ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლებზე, რაც ხშირ შემთხვევაში, ათვისებული რესურსის ან/და ფაქტობრივი ხარჯის გეგმაზე მნიშვნელოვან გადაჭარბებაში გამოიხატება (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ 3-ში). კერძოდ, ჯამურად საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ბიუჯეტის შესრულების მაღალი მაჩვენებლის (96%) მიუხედავად, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული 94 ინფრასტრუქტურული პროექტიდან მნიშვნელოვანი ნაწილის¹¹² შემთხვევაში ადგილი აქვს გეგმებიდან არსებით გადახრას. კერძოდ, 32 პროექტის შემთხვევაში ათვისებულია საბოლოო გეგმით გამოყოფილი დაფინანსების 80%-ზე ნაკლები, მათ შორის 14 პროექტის შემთხვევაში - 50%-ზე ნაკლები. აქედან 10 პროექტი 2024 წელსაც ანალოგიური ტენდენციით ხასიათდებოდა. 12 პროექტის ბიუჯეტის ათვისებამ 20%-ზე მეტით გადააჭარბა გეგმურ მაჩვენებელს, მათ შორის 4 პროექტს ანალოგიური შესრულება ჰქონდა 2024 წელსაც. მხოლოდ 41 პროექტის შემთხვევაშია ათვისების მაჩვენებელი 80%-120%-იან დიაპაზონში.


კაპიტალური პროექტების ფარგლებში გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების გეგმიდან გადახრა ტენდენციური ხასიათის მატარებელია. კერძოდ, ჩატარებული ანალიზით, 2015-2025 წლების ბიუჯეტის კანონებზე თანდართული კაპიტალური ბიუჯეტის დანართებით¹¹³ განსაზღვრული გეგმები შედარდა შესაბამისი წლების ათვისების მაჩვენებლებს. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ კაპიტალური პროექტების დაგეგმვასთან/მართვასთან დაკავშირებული გამოწვევები სისტემური და

¹¹² სტატისტიკა ეყრდნობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის „კაპიტალური პროექტების დანართსა“ და „საინვესტიციო პროექტების“ დოკუმენტში წარმოდგენილ პროექტებს.

¹¹³ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილებისას არ ხდება კაპიტალური პროექტების დანართის განახლება. შესაბამისად, ანალიზისთვის გამოყენებულია ბიუჯეტის კანონის თავდაპირველი ვერსიის მონაცემები.

განგრძობადი ხასიათისაა, ვინაიდან წლიდან წლამდე ადგილი აქვს როგორც ნულოვანი, ასევე დაბალი ათვისების მქონე პროექტების არსებობას.

დიაგრამა 61. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების პროცენტული განაწილება დამტკიცებულ გეგმებთან ათვისების %-ული მაჩვენებლების მიხედვით და მედიანური %-ული ათვისება თითოეული წლისათვის - 2015-2025 წწ.



დადებითად უნდა შეფასდეს, რომ 2024-2025 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ნულოვანი ათვისების მქონე კაპიტალური პროექტების წილი. თუმცა, ამავდროულად 11 წლიან პერიოდში, 80%-ზე დაბალი ათვისების მქონე პროექტების წილი 2025 წლისთვის წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია, ხოლო 80%-120%-იანი ათვისების დიაპაზონში არსებული პროექტების წილი მინიმალურ ნიშნულზეა. ასევე, 2025 წელს მინიმალურ დონეზეა (68%) ათვისების მედიანური მაჩვენებელიც.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ათვისების ნაწილში განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი კრედიტით დაფინანსებული პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის გადახდას კრედიტის ათვისებულ ნაწილზე.¹¹⁴ მსგავსი ტიპის პროექტების დაბალი ათვისების ტენდენცია საბოლოო ჯამში შესაბამისი სესხების ფარგლებში გამოყოფილი რესურსის დაბალ ათვისებაში აისახება, რაც იწვევს კრედიტის მომსახურების ხარჯების ზრდას. 2015-2022 წლებში გაფორმებული 12 საინვესტიციო სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში ათვისებულმა თანხამ 188.7 მლნ ევრო შეადგინა, რაც ხელშეკრულებებით ჯამურად გათვალისწინებული თანხის 24%-ია (ჯამური თანხა 786 მლნ ევრო). აღნიშნულ სესხებზე 2025 წელს გადახდილია 4.7 მლნ ლარის ოდენობის ვალდებულების გადასახადი. მოცემული საგარეო კრედიტების ხარჯზე დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების უმეტესობა გასულ წლებშიც დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ 3-ში).

¹¹⁴ ვალდებულების გადასახადის გადახდა იწყება სესხის ეფექტურად გახდომის შემდეგ და ერიცხება კრედიტის ათვისებულ ნაწილს, მიუხედავად იმისა მიმდინარეობს თუ არა სესხის ათვისება.

ზემოაღნიშნული ტენდენციების გამომწვევი მიზეზების ინდივიდუალური პროექტების დონეზე ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პროექტების სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე არსებული გამოწვევები, რაც უკავშირდება კონტროლირებად ან/და არაკონტროლირებად ფაქტორებს (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ 3-ში). მათ შორის:

- პროექტის მიმდინარეობისას მისი მასშტაბის ზრდა ან დიზაინის ცვლილება, რაც იწვევს დაგეგმილი ეტაპებისა თუ სამუშაოების დროში გადაწევას. ასევე, წინასწარ განსაზღვრული აქტივობების, მათ შორის, ადამიანური რესურსის მობილიზების ან ნებართვების მოპოვების დროში გაჭიანურება, რაც ხელს უშლის პროექტების დაგეგმილ ვადებში განხორციელებას;
- ტენდერის ჩაშლა ან შეწყვეტა, რაც ქმნის მისი ხელახალი გამოცხადების საჭიროებას და აფერხებს სამუშაოების დროულად დაწყებას. ასევე, კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამუშაოების არაჯეროვანი შესრულება, მათ შორის, სამუშაოების დაგვიანებით ან ხარვეზებით განხორციელება, რაც ზოგჯერ კონტრაქტის შეწყვეტით სრულდება;
- მოლაპარაკებები, რაც უკავშირდება კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამუშაოების ღირებულების გაზრდის მოთხოვნას ან/და ხელშეკრულების/კონტრაქტის საბოლოო ვარიანტსა თუ სატენდერო პირობების შეთანხმებას.
- რთულ გეოლოგიურ რელიეფზე სამუშაოების მიმდინარეობისას მეწყრული პროცესების განვითარება, რაც სამუშაოების მიმდინარეობას უშლის ხელს. ასევე, არასათანადო კლიმატური პირობები, რაც აფერხებს სამუშაოების დროულ განხორციელებას.

4.3 საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები


2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ჯამური მოცულობა 5.4 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 12.6%-ით (604 მლნ ლარით) აღემატება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობა 39 მლნ ლარით (0.7%-ით) გაიზარდა, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ 5.3 მლრდ ლარი შეადგინა (გეგმის 97.6%).¹¹⁵ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ყველაზე მსხვილი კომპონენტებია საშინაო (953 მლნ ლარი) და საგარეო (2.1 მლრდ ლარი) სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი

¹¹⁵ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა მოიცავს სხვა მხარჯავი დაწესებულებებისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის (57 13) პროგრამიდან გადარიცხულ თანხებს, შესაბამისად, 43 მლნ ლარის, 4 მლნ ლარის, 2 მლნ ლარისა და 2 მლნ ლარის ოდენობით.

თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (696 მლნ ლარი)¹¹⁶ და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (827 მლნ ლარი).¹¹⁷

გასულ წელთან შედარებით გაუარესებულია რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდის კვარტლების მიხედვით ათვისების თანაბარზომიერება. კერძოდ, მეოთხე კვარტალში ათვისებული თანხის მოცულობამ მთლიანი ხარჯის 42.1% შეადგინა.¹¹⁸ 2025 წელს ფონდიდან ფაქტობრივად გადარიცხული თანხა 827 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც 8.9%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (759 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ მეოთხე კვარტალში ფონდის რესურსების ათვისების მაღალი ტენდენცია ნაწილობრივ გამოწვეულია დეკემბერში ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით ფონდის მოცულობის 115 მლნ ლარით გაზრდით (875 მლნ ლარამდე), რომელიც მრავალწლიანი პროექტების ფარგლებში 2025 წელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დაფინანსებაზე მიიმართა. ფონდიდან რესურსების არათანაბარზომიერი ხარჯვა წარმოქმნის ფისკალური წლის ბოლოს თანხების დაჩქარებულ რეჟიმში განკარგვის რისკს, რაც თავის მხრივ, ზრდის რესურსების არაეფექტიანად და არაეკონომიურად გამოყენების ალბათობას.

დიაგრამა 62. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გადარიცხული თანხების დინამიკა, კვარტლების მიხედვით - 2025 წ. (მლნ ლარი).




მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით 90 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა. ფისკალური წლის ბოლოს მთავრობის სარეზერვო ფონდის დაზუსტებულმა მოცულობამ 87.1 მლნ ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 77.8 მლნ ლარი (დამტკიცებული გეგმის 86.4%) შეადგინა.

¹¹⁶ გარდა აღნიშნული თანხისა „ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების“ (57 04) პროგრამაში 823 მლნ ლარი გადმორიცხულ იქნა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 15 მლნ ლარი მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, ხოლო 35 მლნ ლარი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან.

¹¹⁷ რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანხა ათვისებულ იქნა „ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერებისა“ (57 04) და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა“ (33 03) პროგრამებში, შესაბამისად, 823 მლნ ლარი და 4 მლნ ლარი.

¹¹⁸ 2024 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 38.3% იყო.

დიაგრამა 63. 2025 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების განაწილება მიზნობრიობის მიხედვით (მლნ ლარი).



მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების უდიდესი ნაწილი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების (45%),¹¹⁹ კულტურის სამინისტროსა (25.1%) და სპორტის სამინისტროს (11.3%) დაფინანსებისთვის გამოიყო. ფონდიდან გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის ანალიზის მიხედვით, ყველაზე მეტი თანხა ინფრასტრუქტურული და სოციალური ტიპის ხარჯების დაფინანსებაზე მიიძარტა (44.9%), ხოლო ყველაზე ნაკლები - იურიდიული, ფინანსური, საკონსულტაციო და სარეკლამო მომსახურებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის ხარჯების დაფინანსებაზე (4.5 ათასი ლარი).

4.4 საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

საბიუჯეტო პროცესში სსიპ/ა(ა)იპ-ების შესახებ ინფორმაციის ანგარიშგების კუთხით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში არ ხდება ინფორმაციის ასახვა ინდივიდუალური სსიპ/ა(ა)იპ-ის შემოსულობების/გადასახდელების შესახებ მათი ფორმირების წყაროების¹²⁰ მიხედვით და ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში, არ ხდება „ინფორმაცია ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ“ დანართის განახლება. შესაბამისად, მონაცემებთან დაკავშირებული ზემოხსენებული შეზღუდვიდან გამომდინარე ვერ ხერხდება სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული და ათვისებული რესურსების სრულფასოვანი ანალიზი. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ინფორმაცია უწყებების მიერ კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსულობებისა და ამ


¹¹⁹ გამოყოფილი თანხის ძირითადი ნაწილი მიიძარტა 2025 წლის თებერვალში დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობის შედეგად წარმოქმნილი საჭიროებების დასაფინანსებლად.

¹²⁰ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი საქმიანობიდან მიღებული.

შემოსულობებიდან გაწეული გადასახდელების შესახებ, სახელმწიფო ბიუჯეტთან კონსოლიდაციის გარეშე.¹²¹

2025 წელს სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ მიღებულმა საკუთარმა შემოსულობებმა და გაწეულმა გადასახდელებმა, შესაბამისად, 4.4 მლრდ ლარი და 3.9 მლრდ ლარი შეადგინა და ორივე მაჩვენებელი გაიზარდა 2024 წელთან შედარებით, შესაბამისად, 629 მლნ ლარით და 358 მლნ ლარით.

დიაგრამა 64. სსიპ/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსულობები და მათ ფარგლებში გაწეული გადასახდელები (მლნ ლარი).



სსიპ/ა(ა)იპ-ების 2025 წლის ბიუჯეტების¹²² გეგმა-ფაქტის ანალიზთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ გეგმური მაჩვენებლები 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველ კანონზე თანდართულ ინფორმაციას ეყრდნობა, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის ცვლილების ფარგლებში, არ მომხდარა შესაბამისი მონაცემების განახლება. აქედან გამომდინარე, 2025 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონის მიხედვით, 21 უწყების მიერ საკუთარი შემოსულობები და გადასახდელები ნულოვანი ოდენობით დაიგეგმა. თუმცა ფაქტობრივად, 20-მა უწყებამ მიიღო 25.3 მლნ ლარის ოდენობის შემოსულობა, ხოლო 15-მა უწყებამ დახარჯა 24.7 მლნ

¹²¹ წარმოდგენილი ინფორმაცია უშუალოდ სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯების გარდა ასევე მოიცავს მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ თანხას და აღნიშნულის ფარგლებში გაწეულ ხარჯს; სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ/ა(ა)იპ-ებზე გაცემულ მიმდინარე და კაპიტალურ გრანტებს და აღნიშნულის ფარგლებში გაწეულ ხარჯებს; სსიპ/ა(ა)იპ-ებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტების სახით მიმართულ თანხებს. სახელმწიფო ბიუჯეტთან კონსოლიდაციის გარეშე აღნიშნული თანხები კლასიფიცირდება როგორც სსიპ/ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლები და მათ ფარგლებში გაწეული ხარჯები.


¹²² ანალიზი არ მოიცავს საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ/ა(ა)იპ-ებისა და რესურსცენტრების მონაცემებს, ვინაიდან საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ/ა(ა)იპ-ები არ არიან წარმოდგენილი სსიპ/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსულობების/გადასახდელების ნაერთი ბალანსის დოკუმენტში, ხოლო რესურსცენტრების საკუთარი შემოსავლების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები, რომელიც რესურსცენტრების საკუთარ შემოსავლად კლასიფიცირდება. ამასთანავე, დაგეგმვის პროცესში არსებული გამოწვევების უკეთ იდენტიფიცირებისთვის, მაჩვენებლები არ მოიცავს „გრანტების“ მუხლით მიღებულ შემოსავლებს.

ლარი. მათ შორის, 14 უწყების მიერ ერთდროულად მოხდა შემოსავლების მიღება და გადასახდელების გაწევა, შესაბამისად, 25.2 მლნ ლარისა და 24.6 მლნ ლარის ოდენობით.¹²³

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის შემთხვევაში შემოსულობების/გადასახდელების ნულოვანი ოდენობით დაგეგმვას და შემდგომ ფაქტობრივად მიღებას/გაწევას სისტემატური ხასიათი გააჩნია. კერძოდ, ზემოხსენებული 14 ორგანიზაციიდან 4-ის მიერ, 2023-2024 წლებში, საკუთარი შემოსულობები და მათ ფარგლებში გასაწევი გადასახდელები ასევე ნულოვანი გეგმით განისაზღვრა, თუმცა 2024 წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსულობები და გაწეული გადასახდელები, შესაბამისად, 11.5 მლნ ლარსა და 11.8 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო 2023 წელს - 3.1 მლნ ლარსა და 3 მლნ ლარს.

ნულოვანი გეგმური მაჩვენებლების გარდა აღსანიშნავია არანულოვან გეგმებსა და შესაბამის ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებითი განსხვავებები, რაც დამახასიათებელი ტენდენციაა გასული წლებისათვისაც.

დიაგრამა 65. სსიპ/ა(ა)იპ-ების განაწილება საკუთარი შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივ და გეგმურ მაჩვენებლებს შორის %-ული გადახრების მიხედვით. დიაპაზონი აჩვენებს ფაქტობრივ და გეგმურ მაჩვენებლებს შორის არსებულ %-ულ სხვაობას, ხოლო რიცხვები - უწყებების რაოდენობას - 2023-2025 წწ.¹²⁴



¹²³ ფაქტობრივი მაჩვენებლები არ მოიცავს „გრანტების“ მუხლიდან მიღებულ შემოსულობებსა და შესაბამისი მოცულობები ასევე გამორიცხულია გადასახდელებიდან.

¹²⁴ მონაცემები წარმოდგენილია შემოსულობებისა და გადასახდელების ნულოვანი გეგმური მაჩვენებლების მქონე უწყებების გარეშე.

სსიპ/ა(ა)იპ-ების გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრები სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული. კერძოდ, ბიუჯეტის დაბალი ათვისების (გეგმის 80%-ზე ნაკლები) გამომწვევ მიზეზებს შორის აღსანიშნავია წლის განმავლობაში აქტივობების/ინიციატივების ცვლილება, გადადება, გაუქმება ან შეფერხებით მიმდინარეობა, ასევე კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამუშაოების/სერვისების დაბალი ტემპით/ხარვეზებით განხორციელება/მიწოდება. **ზოგიერთ შემთხვევაში დაბალი ათვისება დაგეგმვის პროცესში არსებული ხარვეზებითაა განპირობებული.** მაგალითად:

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (გეგმა - 9.1 მლნ ლარი, ფაქტი - 3.4 მლნ ლარი (გეგმის 38%)) – 2025 წელს დაგეგმილი იყო ცენტრის საგამოცდო პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა, რომლის განხორციელებაც ვერ მოესწრო. ასევე, ცენტრში არსებული ვაკანსიებიდან გამომდინარე ხარჯვით ნაწილში წარმოიქმნა ეკონომია;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (გეგმა - 19.6 მლნ ლარი, ფაქტი - 7.2 მლნ ლარი (გეგმის 37%)) - დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებული იყო ახალი ოფისის შესყიდვა, რომელიც არ განხორციელდა. ასევე, წლის განმავლობაში არსებულმა ვაკანსიებმა, საოფისე, მივლინებების, ტრანსპორტისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისათვის გათვალისწინებულ ხარჯებში წარმოქმნილმა ეკონომიებმა გამოიწვია დაბალი ათვისება;
- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (გეგმა - 186 მლნ ლარი, ფაქტი - 144 მლნ ლარი (გეგმის 78%)) - სააგენტოს მიერ დაგეგმილი ფოტოჯიხურების შესყიდვა ვერ განხორციელდა განსაზღვრულ ვადებში. ასევე, ახალი თაობის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისთვის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად გათვალისწინებული იყო დაახლოებით 40 მლნ ლარი, რომლის სრულად გადახდა ვერ მოხერხდა პროდუქტის მოწოდების ვადებიდან გამომდინარე (აუთვისებელი დარჩა 14 მლნ ლარამდე);
- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (გეგმა - 44 მლნ ლარი, ფაქტი - 33 მლნ ლარი (გეგმის 74%)) – „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში დაგეგმილი 8.8 მლნ ლარიდან ათვისებული იქნა 1.7 მლნ ლარი, რაც უკავშირდება, ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო სამუშაოების ჩანაცვლებას სარემონტო სამუშაოებით. ასევე, ადმინისტრაციული შენობის რემონტის ნაცვლად განხორციელდა მისი პრივატიზება.

სსიპ/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრების სიხშირისა და მასშტაბის გათვალისწინებით, რაც რიგ შემთხვევებში, სისტემატურ ხასიათს ატარებს, მიზანშეწონილია, უწყებების მიერ დამატებითი ყურადღება გამახვილდეს დაგეგმვის ეტაპზე საკუთარი შემოსულობებისა და გადასახდელების რეალისტური პროგნოზების განსაზღვრაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა წლების მოხსენებებშიც.


შემოსულობების/გადასახდელების გეგმებსა და ფაქტებს შორის არსებული გადახრები ასახავს ჰპოვებს სსიპ/ა(ა)იპ-ების ნაშთების გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის განსხვავებაში, რაც გარკვეულ შემთხვევებში, სისტემატურ ხასიათს ატარებს. კერძოდ, 2025 წელს გაგრძელდა 2022-2024

წლების ტენდენცია¹²⁵ და ნაშთის ზრდის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა გეგმას. შესწავლილი 229 უწყების¹²⁶ შემთხვევაში, ნაშთის შემცირება დაიგეგმა ჯამურად 132 მლნ ლარის ოდენობით, თუმცა ფაქტობრივად ადგილი ჰქონდა ნაშთის ზრდას, 416 მლნ ლარით. ნაშთის გეგმებსა და ფაქტებს შორის 10 მლნ ლარზე მეტი სხვაობა აქვს 14 ორგანიზაციას. მათ შორის, 7 უწყების შემთხვევაში, ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდებოდა 2023-2024 წლებშიც.

დიაგრამა 66. შესწავლილი 229 სსიპ/ა(ა)იპ-ის ნაშთების გეგმური და ფაქტობრივი მოცულობების შედარებითი ანალიზი 2025 წლის მდგომარეობით. დიაპაზონი აჩვენებს ფაქტობრივ და გეგმურ მაჩვენებლებს შორის ნომინალურ სხვაობას, ხოლო რიცხვები - უწყებების რაოდენობას.



დიაგრამა 67. სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ კომერციულ ბანკებსა და ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ნაშთები 2026 წლის 5 იანვრის მდგომარეობით (მლნ ლარი).



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა.

¹²⁵ 2024 წელს შესწავლილი 230 უწყების შემთხვევაში დაიგეგმა ნაშთის შემცირება 192 მლნ ლარით, თუმცა ფაქტობრივად ადგილი ჰქონდა ნაშთის ზრდას 162 მლნ ლარით. 2023 წელს შესწავლილი 234 უწყების შემთხვევაში ნაშთის შემცირება დაიგეგმა ჯამურად 215 მლნ ლარის მოცულობით, თუმცა ფაქტობრივად ადგილი ჰქონდა ნაშთის ზრდას 344 მლნ ლარით. 2022 წელს შესწავლილი 233 უწყების შემთხვევაში ნაშთის ზრდა დაიგეგმა ჯამურად 61 მლნ ლარის მოცულობით, ხოლო ფაქტობრივმა მაჩვენებელმა 300 მლნ ლარი შეადგინა.

¹²⁶ მაჩვენებელი არ მოიცავს საგანმანათლებლო რესურსცენტრების მფლობელობაში არსებულ ნაშთებს.

სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, 2025 წელს სსიპ/ა(ა)იპ-ების ნაშთი 470 მლნ ლარით გაიზარდა და წლის ბოლოს 1.99 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული თანხიდან 355 მლნ ლარი სახელმწიფო ხაზინაში იყო განთავსებული, ხოლო 1.6 მლრდ ლარი - კომერციულ ბანკებში.

2025 წელს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან 76-მა უწყებამ მიიღო 179 მლნ ლარის ოდენობის საპროცენტო შემოსავალი, რაც 25 მლნ ლარით მეტია 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 8 ორგანიზაციის საპროცენტო შემოსავლები გაიზარდა ერთ მლნ ლარზე მეტით.¹²⁷ თავის მხრივ, ერთ მლნ ლარზე მეტი ოდენობის საპროცენტო შემოსავალი 21-მა უწყებამ მიიღო, მათ შორის 8 უწყებამ - 5 მლნ ლარზე მეტი,¹²⁸ ჯამურად 134 მლნ ლარი, რაც მთლიანი საპროცენტო შემოსავლების 75%-ია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ სსიპ/ა(ა)იპ-ებს 2025 წლის ბოლოს კომერციულ ბანკებში განთავსებული ჰქონდათ 1.1 მლრდ ლარი, საიდანაც 833 მლნ ლარი (76%) მოთხოვნამდე ანაზრებსა და საბარათე ანგარიშებზე იყო განთავსებული, ხოლო 264 მლნ ლარი (24%) - ვადიან დეპოზიტებზე (20 უწყების მიერ).¹²⁹ ვადიანი დეპოზიტებიდან 26 მლნ ლარი განთავსებულია 1 წლამდე ვადით, 237 მლნ ლარი - 1-დან 2 წლამდე ვადით, 0.5 მლნ ლარი კი 2 წელზე მეტი ვადით (საკონტრაქტო ვადიანობით).

2025 წელს 45 სსიპ/ა(ა)იპ-ის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტის¹³⁰ სახით მიიმართა 161 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრული გეგმის (145 მლნ ლარი) 111%-ია.


¹²⁷ სსიპ - შემოსავლების სამსახური - 7.5 მლნ ლარით; სსიპ - აწარმოე საქართველოში - 5.9 მლნ ლარით (რაც გამოწვეულია განხორციელებული ცვლილებით, რომლის საფუძველზე 2023 წლიდან სსიპ-ის განკარგვაში რჩება საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაცემულ თანხებზე დარიცხული პროცენტი); სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - 4.6 მლნ ლარით; სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო - 3.6 მლნ ლარით; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი - 2.2 მლნ ლარით; სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო - 1.8 მლნ ლარით; სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 1.3 მლნ ლარით; სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო - 1.2 მლნ ლარით.

¹²⁸ სსიპ - აწარმოე საქართველოში - 28.5 მლნ ლარი; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი - 25.3 მლნ ლარი; სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო - 23.5 მლნ ლარი; სსიპ - შემოსავლების სამსახური - 19.4 მლნ ლარი; სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო - 15.3 მლნ ლარი; სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - 11.1 მლნ ლარი; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო - 5.7 მლნ ლარი; სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - 5.6 მლნ ლარი.

¹²⁹ ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი; სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი; სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ - საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი; სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია; სსიპ - ჯ.კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი; სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო; სსიპ - ველური ბუნების ეროვნული სააგენტო; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - კოლეჯი "იბერია"; სსიპ - კოლეჯი მოდუსი; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი; სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო.

¹³⁰ სსიპ-ებს, რომელთა წლიური შემოსავალი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა აღემატება 1 მლნ ლარს, დაევალებათ საკუთარი შემოსავლის არანაკლებ 10%-ის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში.

დიაგრამა 68. სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული გრანტების გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი).



4.5 პროგრამული ბიუჯეტირება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონსა და შესრულების წლიურ ანგარიშს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი/მიღწეული შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტის მომზადება 2012 წლიდან დაიწყო, იგი ჯერ კიდევ არ მტკიცდება კანონით და მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე თანდართული „პროგრამული ბიუჯეტის დანართიდან“ შერჩეული 20 პროგრამა.¹³¹ ანალიზის შედეგად გამოვლინდა ისეთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რაც ართულებს, რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის ანგარიშგების ეტაპზე შეფასდეს პროგრამების ეფექტიანობა.


შესწავლილი პროგრამების 75%-ს აქვს სამზე მეტი საბოლოო შედეგი. შესაბამისად, ამ პროგრამების შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის¹³²

¹³¹ 2025 წელს, ხუთი ყველაზე მაღალი ბიუჯეტის მქონე პრიორიტეტიდან („ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ (მთლიანი ბიუჯეტის 38.9%), „თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება“ (მთლიანი ბიუჯეტის 18.2%), „რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი“ (მთლიანი ბიუჯეტის 13.8%), „განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება“ (მთლიანი ბიუჯეტის 13.6%), „სოფლის მეურნეობა“ (მთლიანი ბიუჯეტის 4.1%)) შემთხვევითი შერჩევით შერჩევის პრინციპით შეირჩა თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების 30%.

¹³² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის № 385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

რეკომენდაცია.¹³³ აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია მხარჯავი დაწესებულებების მიერ მისაღწევი შედეგების წარმოდგენით აგრეგირებულად, პროგრამების დონეზე, რამდენადაც ქვეპროგრამების არ ქონის გამო არ ხდება შედეგების დეტალიზაცია ქვეპროგრამებში. აქედან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საბოლოო და შუალედური შედეგები. შესწავლილი პროგრამების 55%-ს პროგრამული ბიუჯეტის დანართში ქვეპროგრამები წარმოდგენილი არ აქვს.

დიაგრამა 69. პროგრამების განაწილება (პროგრამული კოდის მიხედვით) მოსალოდნელი შედეგების რაოდენობისა და ქვეპროგრამებად დეტალიზაციის მიხედვით.



იმის გათვალისწინებით, რომ შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების უმთავრესი მიზანია მიღწეულ შედეგებსა და დახარჯულ რესურსებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში პროგრამები წარმოდგენილ იქნეს ქვეპროგრამების დონეზე და შესაბამისად, მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს როგორც პროგრამების, ასევე ქვეპროგრამებისთვის.

გასული წლების მსგავსად, ხარვეზები შეინიშნება პროგრამების/ქვეპროგრამების საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორებში. იმ პროგრამების 44.4%-ში,¹³⁴ რომლებიც წარმოდგენილია ქვეპროგრამების დონეზე, საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება ერთიდაიგივე ინდიკატორები. კერძოდ, ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს ქვეპროგრამების ინდიკატორების აგრეგირებული სახით წარმოდგენას პროგრამის დონეზე.

¹³³ პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მიხედვით რეკომენდებულია პროგრამას ჰქონდეს არაუმეტეს 3 საბოლოო შედეგისა.

¹³⁴ „მოსახლეობის სოციალური დაცვა“ (27 03), „პროფესიული განათლება“ (32 03), „უმადლესი განათლება“ (32 04), „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (32 07).

აღნიშნული ეწინააღმდეგება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც „შედეგების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის“ (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 4-ში).

პროგრამების 73.1%-ის შემთხვევაში გამოყენებულია მხოლოდ რაოდენობრივი ტიპის ინდიკატორი. ანალოგიური მაჩვენებელი ქვეპროგრამებისთვის 91%-ია. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ რაოდენობრივი ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო შედეგების შესრულების სრულფასოვან შეფასებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, საბოლოო შედეგის შემთხვევაში რაოდენობრივ ინდიკატორებთან ერთად გამოყენებულ იქნეს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით განსაზღვრული სხვა ტიპის ინდიკატორებიც (ხარისხობრივი, ეფექტიანობის, ხარჯზე მიბმული და ეფექტურობის ინდიკატორები).

დიაგრამა 70. ჩატარებული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით ინდიკატორების განაწილება მეთოდოლოგიით განსაზღვრული ტიპების მიხედვით.¹³⁵




პროგრამების ფარგლებში მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშებისას, საყურადღებოა დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებული განსხვავებები, განსხვავებების შესახებ ანგარიშება და შესაბამისი განმარტებების წარმოდგენის საკითხი. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით, დაგეგმილისგან განსხვავებული შედეგის (მიზნობრივი მაჩვენებლის) მიღწევის შემთხვევაში, ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს განმარტება აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების შესახებ. ჩატარებული ანალიზით, პროგრამების/ქვეპროგრამების ინდიკატორების 11.9%-ის შემთხვევაში შეუძლებელია დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება და ცდომილების იდენტიფიცირება, ვინაიდან მიზნობრივი მაჩვენებლების ნაწილს არ გააჩნია 2025 წლისთვის განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებელი ან მიღწეული მაჩვენებლის წარმოდგენა ხორციელდება დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულთან შეუსაბამოდ, განსხვავებული ფორმატით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე შეაფასა რამდენად ხდება განმარტებითი ინფორმაციის წარმოდგენა ისეთი პროგრამებისთვის/ქვეპროგრამებისთვის, რომელთა ინდიკატორების

¹³⁵ ნაერთი - წარმოადგენს ორი ტიპის ინდიკატორის გაერთიანებას.

ფაქტობრივი მაჩვენებლები 10%-ით და მეტით განსხვავდებოდა მიზნობრივისგან.¹³⁶ ასევე ინდიკატორების 40.4%-ის შემთხვევაში, განმარტება წარმოდგენილი არ არის ან მოცემული განმარტება ზოგადი ხასიათისაა და არ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას გადახრის გამოწვევი მიზეზების შესახებ (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 4-ში).

დიაგრამა 71. დაგეგმილ და მიღწეულ სამიზნე მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავებების პროცენტული განაწილება პრიორიტეტების მიხედვით.



საყურადღებოა ასევე დაგეგმილ და მიღწეულ სამიზნე მაჩვენებლებს შორის განსხვავების მასშტაბიც. კერძოდ, ინდიკატორების 23.9%-ში ფიქსირდება 50%-ზე მეტი განსხვავება დაგეგმილ და მიღწეულ სამიზნე მაჩვენებლებს შორის. პრიორიტეტების ჭრილში, აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია „სოფლის მეურნეობისა“ და „რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმის“ პრიორიტეტებისთვის. კერძოდ, ამ პრიორიტეტების ფარგლებში შესწავლილი პროგრამების/ქვეპროგრამების ინდიკატორებიდან სამიზნე მაჩვენებლებში 50%-ზე მეტმა გადახრამ, შესაბამისად, 54.8% და 42.9% შეადგინა.

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა კომპლექსური პროცესია, რომელშიც ჩართულია მრავალი მხარე. შესაბამისად, მიზანშეწონილია შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით. რეფორმის გაცხადებული მიზნობრივი ნიშნულების არსებობა გაზრდის ამ პროცესში ჩართული საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხს და ხელს შეუწყობს რეფორმის მიმდინარეობის მონიტორინგს.

¹³⁶ გეგმასთან მიმართებით როგორც ჩამორჩენის, ასევე გადაჭარბების შემთხვევები.

რეკომენდაციები:

ფინანსთა სამინისტროს:

- სსიპ/ა(ა)იპ-ების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისა და ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში მოხდეს „ინფორმაცია ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ“ დანართის განახლება ცვლილებების გათვალისწინებით.
- მიზანშეწონილია, კაპიტალური პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით“ განსაზღვრული პერიოდული ანგარიშების მომზადება და მათი წარმოდგენა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებთან ერთად.

საქართველოს მთავრობას:

- მიზანშეწონილია, ფორმალურად დამტკიცდეს პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.

5. ფინანსური აქტივების მართვა

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით ფინანსური აქტივების ზრდა 424 მლნ ლარის, ხოლო ფინანსური აქტივების კლება 781 მლნ ლარის დონეზე დაიგეგმა. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, ფინანსური აქტივების ზრდის გეგმური მაჩვენებელი 318 მლნ ლარამდე (106 მლნ ლარით; 25.1%-ით),¹³⁷ ხოლო ფინანსური აქტივების კლების გეგმა - 709 მლნ ლარამდე (72 მლნ ლარით, 9.2%-ით)¹³⁸ შემცირდა.

ცხრილი 7. ფინანსური აქტივების შესახებ მონაცემები (მლნ ლარი).

	2024 ფაქტი	2025 წლის ბიუჯეტის კანონი		2025 ფაქტი	2025 წლის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)	
		საწყისი კანონი	ცვლილება		საწყისი კანონი	ცვლილება
ფინანსური აქტივების ზრდა	365	424	318	472	111%	149%
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	80		
სესხები	252	422	315	303	72%	96%
აქციები და სხვა კაპიტალი	113	2	2	90	3,683%	3,683%

¹³⁷ შემცირება სრულად გამოწვეულია სესხების კომპონენტის კლებით.

¹³⁸ შემცირება გამოწვეულია, ერთი მხრივ, „ვალუტა და დეპოზიტების“ მუხლის საპროგნოზო მაჩვენებლის 12 მლნ ლარით კლებით (ანუ ბიუჯეტის ნაშთის გამოყენების შემცირებით), ხოლო მეორე მხრივ, სესხების კომპონენტის 60 მლნ ლარით შემცირებით.

ფინანსური აქტივების კლება	536	781	709	379	48%	53%
ვალუტა და დეპოზიტები	191	381	369	-	0%	0%
სესხები	345	400	340	378	94%	111%
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	1		

ფაქტობრივი მონაცემებით, 2025 წელს ფინანსური აქტივების ზრდამ 472 მლნ ლარი შეადგინა და 48.7%-ით (154.6 მლნ ლარით) გადააჭარბა გეგმას, რაც ძირითადად გამოწვეულია „აქციები და სხვა კაპიტალის ზრდის“ მუხლის გეგმაზე 87.8 მლნ ლარით გადაჭარბებით და ბიუჯეტის ნაშთის 79.6 მლნ ლარით ზრდით. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი 379 მლნ ლარს გაუტოლდა და 46.6%-ით (330.9 მლნ ლარით) ჩამორჩა გეგმას, რაც ძირითადად განაპირობა ბიუჯეტის ნაშთის გამოუყენებლობამ (დაგეგმილი იყო 369 მლნ ლარის ათვისება).

5.1 ვალუტა და დეპოზიტები

2025 წლის დასაწყისში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1.4 მლრდ ლარს შეადგენდა. 2025 წლის ბიუჯეტის საწყისი და საბოლოო კანონებით დაიგეგმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის გამოყენება, შესაბამისად, 381 და 369 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის პირველ 11 თვეში გადასახდელების ათვისება გეგმიდან მნიშვნელოვანი ჩამორჩენით ხასიათდებოდა, რამაც ნაშთის დაგროვება განაპირობა. შედეგად, ნოემბრის ბოლოს ნაშთის მოცულობა 2.9 მლრდ ლარამდე გაიზარდა (1.5 მლრდ ლარით), რომელიც მკვეთრად შემცირდა დეკემბერში (1.4 მლრდ ლარით). აღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის ბოლოს, შემცირების ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 80 მლნ ლარით გაიზარდა და 1.5 მლრდ ლარს გაუტოლდა. მოცემული თანხა ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის გარდა მოიცავს 2020 წლის ივნისსა და ივლისში, მთავრობის განკარგულების საფუძველზე,¹³⁹ კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებში განთავსებულ 594.3 მლნ ლარს, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება.


ფისკალური წლის პირველ 11 თვეში, ნაშთის დაგროვების პარალელურად, ფინანსთა სამინისტროს მიერ ხდებოდა კომერციულ ბანკებში დეპოზიტებზე განთავსებული თანხების ოდენობის ზრდაც. ნოემბრის ბოლოს, განთავსებული დეპოზიტების საერთო მოცულობამ 2.3 მლრდ ლარი შეადგინა და 1.5 მლრდ ლარით გაიზარდა წლის დასაწყისში არსებულ მაჩვენებელთან (850 მლნ ლარი) შედარებით. დეკემბერში, ასიგნებების ათვისების მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად, დეპოზიტებზე არსებული ნაშთის მოცულობა 250 მლნ ლარამდე შემცირდა.

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან წლის განმავლობაში კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების საშუალო შეწონილმა ვადიანობამ 23.1 დღე შეადგინა, საიდანაც ძირითად ნაწილს ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტები

¹³⁹ მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულება.

წარმოადგენდა.¹⁴⁰ წლის ბოლოს პორტფელში არსებული 250 მლნ ლარის ოდენობის დეპოზიტების ნაშთის¹⁴¹ საშუალო შეწონილმა ნარჩენმა ვადიანობამ 11.3 დღე შეადგინა.

დიაგრამა 72. აუქციონის გზით კომერციულ ბანკებში განთავსებული ნაშთის მოცულობა ყოველი თვის ბოლოს (მლნ ლარი).



სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებულ იქნა 130.1 მლნ ლარის საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლის ამ კომპონენტში თანხების ასეთი მოცულობით მობილიზება ძირითადად განაპირობა წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გეგმიდან ჩამორჩენამ და შესაბამისად, არსებითი მოცულობის ნაშთის დაგროვებამ.

5.2 სესხები

5.2.1 საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხები


2025 წელს, სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად, საგარეო წყაროებიდან მობილიზებული საკრედიტო რესურსიდან გადასესხდა 288.7 მლნ ლარი,¹⁴² რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 108 მლნ ლარით (30.6%-ით) ნაკლებია. გადასესხებული თანხების ძირითადი ნაწილი მიიმართა წყალმომარაგება/წყალარინების (46.5%) და მუნციპალური ინფრასტრუქტურული (44.3%) პროექტების განსახორციელებლად.

¹⁴⁰ 2025 წელს ერთ თვეზე მეტი (180 დღიანი) ვადიანობის მქონე დეპოზიტის განთავსება მოხდა ორჯერ, თებერვალსა და აგვისტოში. თითოეულის ჯამური თანხა შეადგენდა 50 მლნ ლარს.

¹⁴¹ დეპოზიტების ნაშთიდან 50 მლნ ლარი განთავსებულია 6 თვიან დეპოზიტებში, ხოლო 200 მლნ ლარი 1 თვემდე ვადიანობის დეპოზიტებში.


¹⁴² ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები - 135.7 მლნ ლარი; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - 126.4 მლნ ლარი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 26.6 მლნ ლარი.

დიაგრამა 73. საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მიზნობრიობის დინამიკა.



2025 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების (შემდგომში - გადასესხებები) მთლიანი პორტფელის მოცულობა 3 მლრდ ლარს შეადგენს და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 102 მლნ ლარითაა (3.6%-ით) გაზრდილი.¹⁴³ პორტფელში აღირიცხება 83 სესხი,¹⁴⁴ საიდანაც 27 რესტრუქტურირების შედეგად წარმოქმნილი სესხია¹⁴⁵ (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 5-ში).

დიაგრამა 74. საგარეო საკრედიტო რესურსიდან გაცემული სესხების დინამიკა და მათი წილი მთავრობის ვალში (მლრდ ლარი; %).




¹⁴³ ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად გაიზარდა 205.9 მლნ ლარით, ხოლო გადასესხებების წმინდა ზრდით შემცირდა 103.9 მლნ ლარით, რამაც საბოლოოდ ნაშთის 102 მლნ ლარით ზრდა გამოიწვია.

¹⁴⁴ სესხები, რომელთა ფარგლებშიც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორს ერიცხებოდა დავალიანება.

¹⁴⁵ რესტრუქტურირებულ სესხებში ერთიანდება ვადადაუმდგარი სესხები, რომელთა გადავადებასაც ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო ბენეფიციარის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. აღნიშნული 27 რესტრუქტურირებული სესხიდან 23 სესხის შემთხვევაში ძირითადი თანხის გადახდა იწყება 2025 წლის შემდგომი წლებიდან.

დიაგრამა 75. საგარეო საკრედიტო რესურსიდან გაცემული სესხების სტრუქტურა ბენეფიციარების მიხედვით - 31.12.2025-ის მდგომარეობით.¹⁴⁶



სესხების არსებულ პორტფელში ბენეფიციარებს (მსესხებლებს) წარმოადგენენ ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ორგანიზაციები, მუნიციპალური ერთეულები და კერძო სექტორის საწარმოები.¹⁴⁷

თანხობრივად, სესხების 80.3% (2.4 მლრდ ლარი) ხუთ სახელმწიფო საწარმოზე¹⁴⁸ გაცემული. მათგან სამი¹⁴⁹ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ერთი¹⁵⁰ ინფრასტრუქტურის

¹⁴⁶ სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

¹⁴⁷ შპს „GWP“ – 0.2 მლნ ლარი (სესხის დაფარვის ვადა იწურება 2036 წელს) ; სს „პროკრედიტ ბანკი“ – 0.3 მლნ ლარი (სესხის დაფარვის ვადა იწურება 2026 წელს).

¹⁴⁸ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“; შპს „ენგურჰესი“; შპს „საქაერონავიგაცია“; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

¹⁴⁹ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“; შპს „ენგურჰესი“; შპს „საქაერონავიგაცია“ - სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის შედეგად მიკუთვნებულია კორპორაციათა სექტორს.

¹⁵⁰ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ - სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის შედეგად მიკუთვნებულია სამთავრობო სექტორს.

სამინისტროს, ერთი კი გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს¹⁵¹ კონტროლს ქვეშ იმყოფება. 2025 წელს ხუთივე საწარმოზე ჯამურად გადასესხდა 153 მლნ ლარი, ხოლო გადასესხებული კრედიტების ძირი თანხის დაფარვაზე საწარმოებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა 203.4 მლნ ლარი.

საყურადღებოა, რომ გასული წლების მსგავსად, ფინანსურ აქტივებსა და მათზე ოპერაციებში აღირიცხება ისეთ საწარმოებზე (დებიტორებზე) გაცემული სესხები, რომლებიც რეგულარულად იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას საოპერაციო ხარჯებისა და მათ ბალანსზე რიცხული ვალდებულებების მომსახურების ხარჯების დასაფარად. აღნიშნული თავის მხრივ საწარმოების შეზღუდულ გადახდისუნარიანობასა და ვალდებულებების მომსახურების პროცესში სახელმწიფოს არაპირდაპირი ფორმით მონაწილეობაზე მიუთითებს.¹⁵²

ცხრილი 8. სახელმწიფო ბიუჯეტის დებიტორი კომპანიები, რომლებზეც რეგულარულად გაიცემა სუბსიდიები საოპერაციო ხარჯების დაფინანსების ან/და ვალდებულებების მომსახურების მიზნით (მლნ ლარი).

		2023	2024	2025	2026*	2027*	2028*	2029*
შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	საწარმოს მიერ მიღებული სუბსიდიები	22.9	131.8	203.8				
	საწარმოს მხრიდან გადასესხებების მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	106.3	75.6	66	164	192.4	208	179.6
	მ.შ. გადახდილი პროცენტი	34.6	53.5	53.9	46.3	42.8	39.2	35.1
	მ.შ. გადახდილი ძირი	71.7	22	12.1	117.7	149.5	168.8	144.4
შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“	საწარმოს მიერ მიღებული სუბსიდიები	15	16.5	60.5				
	საწარმოს მხრიდან გადასესხებების მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	9.2	10.5	11.4	11.9	5.6	3.9	3.8
	მ.შ. გადახდილი პროცენტი	8.62	9.7	10.5	11	4.9	3.2	3.2
	მ.შ. გადახდილი ძირი	0.57	0.8	0.8	0.9	0.8	0.6	0.5

ბენეფიციართა მეორე ჯგუფს ავტონომიური რესპუბლიკები და მუნიციპალიტეტები წარმოადგენენ. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროზე, ქ. ბათუმის მერიასა და ქ. თბილისის მერიაზე გადასესხებული თანხების ნაშთის მოცულობამ ჯამში 517.6 მლნ ლარი შეადგინა.¹⁵³

¹⁵¹ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ - სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის შედეგად მიკუთვნებულია სამთავრობო სექტორს. აღნიშნული კომპანია ინფრასტრუქტურის სამინისტროდან გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეცა 2025 წელს.

¹⁵² მაგალითად, 2025 წელს შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად და ვალდებულებების მომსახურების მიზნით, სუბსიდიის სახით გადაეცა 203.8 მლნ ლარი, რომლის ნაწილი (66 მლნ ლარი) მოხმარდა საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მომსახურებას (ძირი თანხის დაფარვას 12.1 მლნ ლარი, ხოლო პროცენტის და სესხის საკომისიოებს - 53.9 მლნ ლარი). მსგავს პრაქტიკას ადგილი ჰქონდა გასულ წლებშიც.

¹⁵³ გარდა აღნიშნულისა, საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე სესხების გაცემა ხორციელდება სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდზე, რომელიც თავის მხრივ, აღნიშნული რესურსის გადასესხებას

საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე სახელმწიფო საწარმოებზე სესხების გაცემის საკითხი რეგულირდება მთავრობის განკარგულებით,¹⁵⁴ რომლის მიხედვითაც:

- სახელმწიფო საწარმოზე გადასესხება უნდა განხორციელდეს არანაკლებ იმავე პირობებით (პროცენტი, სესხის ხანგრძლივობა) რა პირობებშიც გაფორმდა სესხის ძირითადი ხელშეკრულება;
- დაფარვის გრაფიკი უნდა გაიწეროს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

არსებული პრაქტიკით, მეწარმე იურიდიულ პირებზე სესხის გაცემის ეტაპზე ზემოაღნიშნული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, თუმცა განკარგულება არ ვრცელდება ცენტრალურ სსიპ/ა(ა)იპ-ებზე, მუნიციპალიტეტებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებზე. ამასთანავე, აღნიშნული განკარგულება არ არეგულირებს სახელმწიფო საწარმოებზე გადასესხების განხორციელების შემდგომ მოვლენებს, მათ შორის, საბოლოო ბენეფიციარების მხრიდან გადახდის პირობების ცვლილებას. ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოუწესრიგებლობის შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში, ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულებები შესაძლოა გადავადდეს რესტრუქტურირებულ სესხად დარეგისტრირების გარეშე და არ განხორციელდეს შესაბამისი საურავის დარიცხვა. ზოგიერთ შემთხვევაში კი ადგილი აქვს სესხების რესტრუქტურირებას, ასევე საურავის დარიცხვის გარეშე. საყურადღებოა, რომ **აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ფორმალურად გაწერილი პოლიტიკა/პროცედურა არ არსებობს, რაც გარკვეულ შემთხვევებში წარმოშობს არაერთგვაროვან და ნაკლებად გამჭვირვალე მიდგომებს.** მაგალითად, 2025 წელს განხორციელდა შპს „ენგურჰესთან“ გაფორმებული 3 ქვესასესხო ხელშეკრულების¹⁵⁵ ფარგლებში 3.5 მლნ ევროსა და 3.9 მლნ ლარის მოცულობის ძირითადი თანხის რესტრუქტურირება საურავის დარიცხვის გარეშე, მაშინ როდესაც სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ გაფორმებული 4 ქვესასესხო ხელშეკრულების¹⁵⁶ ფარგლებში რესტრუქტურირების ნაცვლად ადგილი ჰქონდა ძირითადი თანხის (ჯამურად 8.2 მლნ ევრო) გადახდის გადავადებას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასესხებულების პორტფელში რესტრუქტურირებული სესხების ნაშთი 493.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი პორტფელის 16.6%-ია. იმის გათვალისწინებით, რომ ქვესასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და გადავადების შემთხვევაში, ძირითადი სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება, სესხების რესტრუქტურირაცია ბიუჯეტისადმი დამატებითი ფინანსური წნეხის წყაროა, რაზეც არაერთხელ აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა წლების მოხსენებებში.

ახორციელებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ წყაროდან მუნიციპალური განვითარების ფონდზე გაცემული სესხების ჯამური მოცულობა 58.6 მლნ ლარს შეადგენდა.

¹⁵⁴ მთავრობის N 2737 განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მეწარმე იურიდიული პირების დაფინანსების წესისა და პრინციპების განსაზღვრის შესახებ“, 2017 წლის 28 დეკემბერი.

¹⁵⁵ მთავრობის 2025 წლის 3 ივნისის N 927 განკარგულება.

¹⁵⁶ მთავრობის 2025 წლის 30 დეკემბრის N 2298 განკარგულება.

ზემოხსენებული საკითხების დარეგულირების მიზნით, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა წლებში გაცემული რეკომენდაციები¹⁵⁷ და ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს საგარეო საკრედიტო წყაროებიდან მობილიზებული რესურსის გადასესხების ფორმალური პოლიტიკა/პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აისახება გადასესხების პროცესის სრული ციკლი და შესაბამისად, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას აღნიშნული პროცესის თითოეული ეტაპისთვის.¹⁵⁸ აღსანიშნავია, რომ ასეთი დოკუმენტის არსებობას მოითხოვს მსოფლიო ბანკის „ვალის მართვის ეფექტიანობის შეფასების სახელმძღვანელო“ (DeMPA).¹⁵⁹

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს თან ერთვოდეს დეტალური ინფორმაცია საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების პორტფელში განხორციელებული ცვლილებებისა და პორტფელის საბოლოო მდგომარეობის შესახებ.

5.2.2 საბიუჯეტო რესურსიდან გაცემული სესხები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებიდან გაცემულ სესხებს¹⁶⁰ (შემდგომში - საბიუჯეტო სესხები), მათი დინამიკის ანალიზით ვლინდება მართვის ეფექტიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები. საბიუჯეტო სესხების აღრიცხვის წესი რეგულირდება საბიუჯეტო კოდექსით,¹⁶¹ რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების შესახებ მონაცემები აისახება ერთიან რეესტრში, რომელსაც აწარმოებს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, სესხის გამცემი უწყებების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამასთანავე, საბიუჯეტო კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით, სესხის გამცემი უწყებები ვალდებული არიან

¹⁵⁷ მაგალითად, ქვესასესხო ხელშეკრულებების რესტრუქტურირებებსა და გადავადებებზე.

¹⁵⁸ მსგავსი ტიპის პოლიტიკის დოკუმენტის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმისა და საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის პარალელურად. სტანდარტი, აღნიშნული ხასიათის ფინანსური აქტივებისთვის ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ითხოვს მისი გაუფასურების მდგომარეობის შეფასებას შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენას გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 29 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. პარაგრაფები 67-79).


¹⁵⁹ DPI-10 (2) – გადასესხებული კრედიტების გაცემის დოკუმენტირებული პოლიტიკისა და პროცედურების ხელმისაწვდომობა. 2020 წელს საქართველოს „ვალის მართვის ეფექტიანობის შეფასების“ (DeMPA) ფარგლებში აღნიშნული კომპონენტი ყველაზე დაბალი ქულით (D-თი) შეფასდა.

¹⁶⁰ პარაგრაფში მოცემული სტატისტიკა ეყრდნობა ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ სახელმწიფო სესხების ერთიანი რეესტრის მონაცემებს.


¹⁶¹ [საბიუჯეტო კოდექსი](#), მუხლი 64.

ფინანსთა სამინისტროს თვეში ერთხელ წარუდგინონ ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ,¹⁶² თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.¹⁶³

დიაგრამა 76. ერთიან რეესტრში ასახული საბიუჯეტო რესურსიდან სულ გაცემული და მათ შორის ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა სესხის გამცემი უწყებების მიხედვით¹⁶⁴ - 2025 წ.



დიაგრამა 77. თითოეული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთიან რეესტრში ასახულ ვადაგადაცილებულ საბიუჯეტო სესხებზე არსებული დავალიანება (მლნ ლარი).



2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, ზემოხსენებულ პორტფელში აღრიცხულია 160 სესხი,¹⁶⁵ რომელთა ჯამური ძირი თანხა 392.4 მლნ ლარია. აღსანიშნავია, რომ 160 სესხიდან 74 სარგებლობს საშელავათო პერიოდით,¹⁶⁶ 1 სესხი იფარება გრაფიკის მიხედვით,¹⁶⁷ ხოლო 85 სესხი ვადაგადაცილებაშია, რომლებზეც დარიცხული ჯამური დავალიანება 393.6 მლნ ლარია. ამასთანავე, ვადაგადაცილებულ სესხებზე დავალიანების 58%-ს პირგასამტეხლო,¹⁶⁸ 35.6%-ს სესხის ძირი თანხა, ხოლო 6.4%-ს დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო ხარჯია.

¹⁶² სესხის ხელშეკრულების, სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის გრაფიკი, ასევე მათში განხორციელებული ცვლილებების ასლები.

¹⁶³ ინფორმაციის წარდგენის დეტალური წესი და შესაბამისი ფორმები დამტკიცებულია [ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 ივნისის N 180 ბრძანებით](#).

¹⁶⁴ სხვა სამინისტროებში გაერთიანებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (3 სესხი); საქართველოს სპორტის სამინისტრო (1 სესხი); ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (1 სესხი).

¹⁶⁵ არ მოიცავს რესტრუქტურული ვალდებულებების ერთიან რეესტრში ასახულ 23 რესტრუქტურული საბიუჯეტო სესხს, რომელთა ჯამური დავალიანება 6.5 მლნ ლარს შეადგენს.

¹⁶⁶ მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N 309 განკარგულებით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 74 სესხის ძირისა და პროცენტის დაფარვა დაიწყება 2029 წლიდან. აღნიშნულ სესხებზე გაცემული ძირი თანხა, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4.7 მლნ ლარს შეადგენს (მთლიანი პორტფელის 1.2%).

¹⁶⁷ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული სესხი სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე“.

¹⁶⁸ აღნიშნული მაჩვენებელი 2022 და 2023 წლებში, შესაბამისად, 56.6%-სა და 57.9%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საბიუჯეტო სესხების დავალიანების ძირი თანხის მოცულობა შემცირდა 3.8 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გამყარებით აშშ დოლართან მიმართებით.¹⁶⁹

2022 წლის დეკემბერში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე“ საბიუჯეტო რესურსიდან გაცემული 230 მლნ ლარის ოდენობის სესხის ფარგლებში, 2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, დაბრუნებულია 120 მლნ ლარი.¹⁷⁰ დარჩენილი 110 მლნ ლარის ძირი თანხის დაფარვა გადავადდა 2027 წელს.¹⁷¹

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს მთავრობის მიერ სესხების გაცემას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში შექმნილი ფონდებიდან სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე. საყურადღებოა, რომ სესხის გაცემა ხორციელდება არაერთგვაროვანი პირობებით და მიზნობრივობით.

ბენეფიციარი	გაცემული თანხა (მლნ ლარი)	სესხის გაცემის წელი	მიზნობრიობა	პირობა
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	3.5	2019	ავტოპარკის განახლება	საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს + 0.5%. უნდა დაიფაროს 2026-2029 წლებში ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი გრაფიკით.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	20	2022	უცხოურ კომპანიასთან გაფორმებული მორიგების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულების დაფარვა	უპროცენტო სესხი, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს 2027 წლის ბოლომდე თანაბარ გადახდებზე.

¹⁶⁹ პორტუგელში აღრიცხული სესხების (სესხის ძირების მიხედვით შეწონილი) 23.5% გაცემულია აშშ დოლარში, მათ შორის, დავალიანების მქონე სესხების (სესხის ძირების მიხედვით შეწონილი) 65.7%. ეროვნული ვალუტის გამყარებით სესხების დავალიანების ძირი თანხა შემცირდა 3.8 მლნ ლარით. 2025 წელს ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ დაიფარა ერთი სესხი „შპს მედულა - ქიმიოთერაპიისა და იმუნოთერაპიის კლინიკის“ მიერ, 28.5 ათასი ლარის ოდენობით.

¹⁷⁰ 2024 წელს დაბრუნდა 60 მლნ ლარი, ხოლო 2025 წელს ასევე 60 მლნ ლარი.

¹⁷¹ მთავრობის 2025 წლის 19 დეკემბრის N 2166 განკარგულება.

რუსთავის მუნიციპალიტეტი	19.9	2024-2025	ავტობუსების შესყიდვა	საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს + 1%. უნდა დაიფაროს 2026-2036 წლებში ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი გრაფიკით.
-------------------------	------	-----------	----------------------	---

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სესხის გაცემის პროცედურა ნაწილობრივ რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N 23 დადგენილებით,¹⁷² თუმცა სესხის გაცემის კრიტერიუმებისა და პირობების განმსაზღვრელი ერთიანი ფორმალური დოკუმენტი არ არსებობს. გარდა ამისა, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე გასაცემ სესხებზე არ ვრცელდება ამავე კოდექსის 64-ე მუხლით დადგენილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრში აღრიცხვის ვალდებულება. აღნიშნული თავის მხრივ წარმოქმნის გარკვეულ გამოწვევებს გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებისა და ანგარიშგაღებულების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, შემუშავდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა დონის სახელმწიფო ერთეულზე სესხის გაცემის კრიტერიუმებისა და პირობების განსაზღვრის, ასევე სესხის აღრიცხვა-ანგარიშგებისა და საბიუჯეტო დოკუმენტაციაში წარმოდგენის წესი.

5.3 აქციები და სხვა კაპიტალი

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლით შემოსულობების მიღება დაგეგმილი არ ყოფილა, თუმცა წლის განმავლობაში აღნიშნულ კომპონენტში მობილიზებულმა თანხამ 826 ათასი ლარი შეადგინა. რაც შეეხება „აქციები და სხვა კაპიტალის“ ზრდას, ამ მუხლით გაწეული გადასახდელების მოცულობა 90.2 მლნ ლარს გაუტოლდა და 87.8 მლნ ლარით გადააჭარბა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს.

5.4 სახელმწიფო საწარმოები

სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის ფარგლებში, 2023 წლის 15 თებერვალს დამტკიცებული სექტორიზაციის რეესტრით¹⁷³ იდენტიფიცირებულ იქნა 377 საწარმო, საიდანაც სამთავრობო სექტორს მიეკუთვნა 325 საწარმო (მათ შორის, 167 ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს ქვემ

¹⁷² საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.

¹⁷³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის N45 ბრძანება „სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის რეესტრის დამტკიცების შესახებ“.

მყოფი). 2024 წლის 7 თებერვალს, სექტორიზაციის რეესტრში განხორციელებული ცვლილებით, საწარმოთა ჯამური რიცხვი 359-მდე შემცირდა, მათ შორის სამთავრობო სექტორის საწარმოთა რაოდენობა - 270-მდე. რეესტრში საწარმოთა რაოდენობისა და სტატუსების ცვლილება ერთი მხრივ, საწარმოთა ნაწილის რეკლასიფიკაციით, მეორე მხრივ კი არსებულ საწარმოთა ლიკვიდაციით, რესტრუქტურისაციითა ან/და პრივატიზებით იქნა გამოწვეული.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №269 ბრძანებითა¹⁷⁴ და საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის №6 დადგენილებით,¹⁷⁵ სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოები ეტაპობრივად უნდა გადავიდნენ სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის მომსახურებაზე. კერძოდ, 2026 წლის 1 იანვრამდე - ყველა საწარმო გადაყვანილი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშზე. თუმცა, აღნიშნული პროცესი 2027 წლის პირველ იანვრამდე გადავადდა.¹⁷⁶

განახლებული რეესტრის მიხედვით, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების უდიდესი ნაწილი (40-ზე მეტი საწარმო) იმყოფება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვაში. სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული დარჩენილი საწარმოები იმყოფებიან სხვადასხვა სამინისტროს,¹⁷⁷ ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალიტეტებისა და მთავრობის მიერ შექმნილი სხვა ორგანიზაციების მართვაში.¹⁷⁸ სახელმწიფო საწარმოების მაკონტროლებელი უწყებების დივერსიფიცირებამ შესაძლოა გარკვეული სირთულეები წარმოქმნას დაგეგმილი რეფორმების¹⁷⁹ კოორდინაციისა და განხორციელების პროცესში, მაშინ როდესაც რეფორმის განმახორციელებელ ფინანსთა სამინისტროს მათზე პირდაპირი კონტროლი არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რეფორმის პროცესში ჩართული სახელმწიფო საწარმოების მაკონტროლებელი უწყებების მხრიდან დამატებითი ყურადღება მიექცეს რეფორმის თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებას. ამ კუთხით არსებული რისკის რეალიზების მაგალითია სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი

¹⁷⁴ სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე 2024-2025 წლებში ეტაპობრივად გადასვლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

¹⁷⁵ სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების კომერციული ბანკების ანგარიშებიდან თანხების ხაზინის ერთიანი ანგარიშთა სისტემაში გადატანის წესის დამტკიცების თაობაზე.

¹⁷⁶ [საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 9 ივლისის ბრძანება №178 „სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე 2024-2026 წლებში ეტაპობრივად გადასვლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.](#)

¹⁷⁷ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ინფრასტრუქტურის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

¹⁷⁸ სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ (სს „საპარტნიორო ფონდის“ სამართალმემკვიდრე).

¹⁷⁹ „საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის“, „საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმისა“ და „საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023 წლის პილოტირების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ [საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N 573 დადგენილება.](#)

ანგარიშზე გადასვლის ვადის გახანგრძლივება, რაც თავის მხრივ აუცილებელი წინაპირობაა საბიუჯეტო სისტემის კონსოლიდირების პრინციპის დაკმაყოფილებისთვის.¹⁸⁰

საწარმოთა სექტორიზაციის რეფორმის ფარგლებში, მათი ფინანსური მაჩვენებლების ფისკალურ პარამეტრებში ინტეგრაციის მიზნით, საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილებით¹⁸¹ და ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის №46 ბრძანებით, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებულ სახელმწიფო საწარმოებს დაევალებათ ფინანსთა სამინისტროსთვის კვარტალური და წლიური ანგარიშების წარდგენა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.¹⁸² ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფი სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 113 საწარმოდან 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ინფორმაცია წარმოდგენილია 70 საწარმოს შესახებ. დანარჩენი საწარმოების მხრიდან ინფორმაციის წარმოუდგენლობის ძირითადი მიზეზებია საწარმოთა რეგისტრაციის გაუქმება, გაკოტრების საქმისწარმოება ან/და ფუნქციონირების შეჩერება/შეწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო კოდექსით¹⁸³ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფი სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ. არსებული პრაქტიკით ამ ინფორმაციის წარმოდგენა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად არ ხდება. შესაბამისად, ბიუჯეტის კანონით არ არის განსაზღვრული სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების გეგმური ფინანსური მაჩვენებლები, რაც ანგარიშგების ეტაპზე შეუძლებელს ხდის გაანალიზდეს ფაქტობრივი მაჩვენებლების მიმართება გეგმასთან. **საბიუჯეტო სისტემის ყოვლისმომცველობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის¹⁸⁴ პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით,**

¹⁸⁰ კონსოლიდირება – ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა, გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 4. პუნქტი ზ.

¹⁸¹ საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 56, ნაწილი პირველი, პუნქტი ი¹.

¹⁸² ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის №46 ბრძანება „სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის კვარტალურად და წლიურად წარსადგენი ინფორმაციის ნუსხისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების შესახებ“. ბრძანების დანართი 1 განსაზღვრავს საწარმოების მიერ წარსადგენი ინფორმაციის უნიფიცირებულ ფორმას, რაც შემდგომში აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.

¹⁸³ საბიუჯეტო კოდექსი, მუხლის 38, ნაწილი 4, პუნქტი ე¹.

¹⁸⁴ ყოვლისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;

გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ დოკუმენტაციაში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები ერთიანი ბიუჯეტის შემადგენელი კომპონენტები არიან და შესაბამისად, მონაწილეობენ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ორივე ფისკალური წესის (ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი და ვალის წესი) ფორმირებაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი¹⁸⁵ სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 70 საწარმოს ჯამური შემოსულობები 3.3 მლრდ ლარს, ხოლო გადასახდელები 2.5 მლრდ ლარს შეადგენს. აქედან 7 საწარმოს მიერ გენერირდა 100 მლნ ლარზე მეტი შემოსულობა,¹⁸⁶ ჯამში 2.8 მლრდ ლარი, რაც მთლიანი შემოსულობების 85%-ია. აღნიშნული საწარმოების გადასახდელები თავის მხრივ 2.1 მლრდ ლარი და ჯამური გადასახდელების 82%-ია. საწარმოების კონსოლიდირებული ფისკალური ბალანსი დადებითია და 533 მლნ ლარს შეადგენს. საწარმოთა შემოსავლების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის „სუბსიდიების“ და „სხვა კაპიტალური ტრანსფერების“ მუხლიდან სამთავრობო სექტორის საწარმოებში წლის განმავლობაში გადარიცხულ იქნა ჯამში 1.6 მლრდ ლარი, საიდანაც 1.5 მლრდ ლარი ზემოაღნიშნული 7 საწარმოდან 6-ზე მიიმართა.

აღსანიშნავია, რომ საწარმოთა ნაწილი დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგულარულად მიღებულ დაფინანსებაზე, რაც გარკვეულ შემთხვევებში ფუნქციონირების ხარჯების ან/და ვალდებულებების დაფარვას ხმარდება. თუმცა, არც ბიუჯეტის კანონში და არც ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში არ ხდება ინფორმაციის წარმოდგენა საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების სრული მოცულობისა და მიზნობრიობის შესახებ.¹⁸⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ფისკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესებისთვის, მიზანშეწონილია, სახელმწიფო საწარმოების მიერ (სექტორიზაციის გათვალისწინებით) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ დეტალური ინფორმაცია, დაფინანსების მიზნობრიობის ჩათვლით, წარმოდგენილი იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის

¹⁸⁵ საქართველოს 2025 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები, სსიპ/ა(ა)იპ-ის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) და ცენტრალური ხელისუფლების მართვაში არსებული სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების შემოსულობები/გადასახდელები.

¹⁸⁶ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ - 1.1 მლრდ ლარი; სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ - 746 მლნ ლარი; შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ - 379 მლნ ლარი; შპს „საქართველოს მელიორაცია“ - 210 მლნ ლარი; შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგური“ - 165 მლნ ლარი; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ - 134 მლნ ლარი; შპს „სთარინგ ჯორჯია“ - 104 მლნ ლარი.

¹⁸⁷ ინფორმაციის წარმოდგენა ნაწილობრივ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში. კერძოდ, დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას სესხებისა და სუბსიდიების სახით სახელმწიფო საწარმოებზე მიმართული დაფინანსების შესახებ, თუმცა არ მოიცავს ინფორმაციას „სხვა ხარჯების“ მუხლიდან მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერების სახით გაცემული თანხების შესახებ, რომელმაც 2025 წელს 1.1 მლრდ ლარი შეადგინა. გარდა ამისა, დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები არ იძლევა ინფორმაციას გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის შესახებ.

შესრულების წლიურ ანგარიშსა და სხვა რელევანტურ საბიუჯეტო დოკუმენტებში. ამ საკითხზე ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა წლების ანგარიშებშიც. აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის რეკომენდაციას იძლევა ასევე ღია ბიუჯეტის ინდექსის 2023 წლის შეფასებაც.¹⁸⁸

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიზით, 2025 წელს 7 სამინისტროს¹⁸⁹ კონტროლის ქვეშ მყოფმა საწარმოებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯამურად 2 მლრდ ლარის ოდენობის დაფინანსება მიიღეს, საიდანაც 1.1 მლრდ ლარი (მთლიანი დაფინანსების 53.4%) ორგანიზაციებს 2025 წლის დეკემბერში გადაერიცხათ. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საწარმოების ნაშთის ზრდას.¹⁹⁰ საწარმოებს მიღებული თანხიდან:

- 1.1 მლრდ ლარი გადაეცათ კაპიტალური ტრანსფერის სახით;¹⁹¹
- 730 მლნ ლარი გადაეცათ სუბსიდიის სახით;¹⁹²
- 153 მლნ ლარი გადაეცათ სესხის სახით, სხვადასხვა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად;¹⁹³
- თანხის მცირე ნაწილი (17 მლნ ლარი) ა(ა)იპ - სამედიცინო ჰოლდინგს გადაეცა გრანტის სახით მისი კონტროლის ქვეშ მყოფი კლინიკების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად. ასევე, 4 მლნ ლარი გადაეცა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს (ესკოს)“ ეკონომიკის სამინისტროს მიერ „ვალდებულებების კლების“ მუხლიდან არსებული ვალდებულებების დაფარვის მიზნით.

საწარმოებისთვის გადარიცხული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მათი მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ან/და აკუმულირებული ზარალის დაფარვას ემსახურება. აღნიშნული დაფინანსებიდან, 1.77 მლრდ ლარი სამთავრობო სექტორს მიკუთვნებულ საწარმოებზე მიიმართა, ხოლო 218.4 მლნ ლარი - კორპორაციათა სექტორის საწარმოებზე.

¹⁸⁸ IBP, [Open Budget Survey 2023](#), გვ. 5.

¹⁸⁹ ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; კულტურის სამინისტრო; სპორტის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.

¹⁹⁰ 2025 წელს სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების ნაშთი 756 მლნ ლარით გაიზარდა.

¹⁹¹ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, საწარმოების დაფინანსება ამ მუხლიდან ხორციელდება შემდეგი მიზნობრივობით: 1) წლების მანძილზე აკუმულირებული დანაკარგებისა და უარყოფითი საოპერაციო ბალანსის შესავსებად ან/და 2) საწარმოში ინვესტირების მიზნით, თუკი არ არსებობს ინვესტიციიდან უკუგების და სარგებლის მიღების მოლოდინი.


¹⁹² საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ამ მუხლში აღირიცხება ბიუჯეტიდან რეგულარულად გაცემული სახსრები, რომელიც ხმარდება საწარმოთა საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

¹⁹³ მოიცავს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ (97 მლნ ლარი), შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისათვის“ (29 მლნ ლარი), სს „სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ (25 მლნ ლარი) და შპს „ენგურჰესისათვის“ (1.3 მლნ ლარი) გაცემულ სესხებს.

ცხრილი 9. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები დაფინანსების სახისა და სამინისტროების მიხედვით - 2025 წ. (მლნ ლარი).

უწყება	კაპიტალური ტრანსფერები	სუბსიდიები	სესხები	გრანტები	ვალდებულებების კლება-საგარეო კრედიტორები	ჯამი
ინფრასტრუქტურის სამინისტრო	582.7	225.3	106.5	-	-	914.6
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	135.8	350.7	19.9	-	-	506.4
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	328.8	104.7	26.6	-	4.1	464.3
კულტურის სამინისტრო	31.6	42.1	-	-	-	73.7
ჯანდაცვის სამინისტრო	-	-	-	17.3	-	17.3
სპორტის სამინისტრო	3.5	6.5	-	-	-	10.1
იუსტიციის სამინისტრო	-	0.4	-	-	-	0.4
ჯამი	1,082.6	729.7	153.0	17.3	4.1	1,986.8

დიაგრამა 78. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები დაფინანსების სახისა და საწარმოების სექტორიზაციის მიხედვით - 2025 წ. (მლნ ლარი).



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო საწარმოთა დაფინანსების ანალიზის პროცესში იდენტიფიცირებულ იქნა აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული შემდეგი ნაკლოვანებები:

- 2025 წლის ბოლოს, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სუბსიდიის სახით გადაეცა 203.8 მლნ ლარი. აღნიშნული თანხის მიზნობრიობას წარმოადგენდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მიმართ არსებული ვალდებულების მომსახურება და დაფარვა, ასევე საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. კომპანიის აღნიშნული ფინანსური ვალდებულება წარმოქმნილია საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რესტრუქტურირებულია. საყურადღებოა, რომ საწარმოს დაფინანსებას მსგავსი მიზნობრიობით ადგილი ჰქონდა გასულ წლებშიც;
- 2025 წლის დეკემბერში, შპს „სთარინგ ჯორჯია“-ს შვილობილ კომპანია შპს „სერვის 7“-ს, კომერციული ბანკიდან აღებული სესხის რეფინანსირების მიზნით გადაეცა 11.6 მლნ ლარი. აღნიშნული თანხის გადარიცხვა განხორციელდა „სხვა ხარჯების“ მუხლის „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ კატეგორიიდან. მსგავსი მიზნობრიობით შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ გაცემული დაფინანსება აღრიცხულ იქნა „სუბსიდიის“ მუხლში, რაც ბიუჯეტიდან საწარმოების დაფინანსების აღრიცხვა-ანგარიშგების არაერთგვაროვან მიდგომაზე მიუთითებს;
- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საბიუჯეტო რესურსიდან 1.1 მლნ ლარი ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს გავლით გადაერიცხა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია“, რომელიც 100%-ით სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოა. აღნიშნულის მიუხედავად, ნაცვლად „სუბსიდიები სახელმწიფო საწარმოებს“ მუხლისა თანხა გადაირიცხა „სუბსიდიები კერძო საწარმოებს“ მუხლიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი სამთავრობო სექტორის საწარმოების ნაშთი ჯამურად 756 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, იმ 14 საწარმოდან, რომელთაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღეს დაფინანსება, 11-ის ნაშთი გაიზარდა ჯამურად 721 მლნ ლარით.

ცხრილი 10. ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს მიერ მიღებული დაფინანსებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები - 2025 წ. (ათასი ლარი).

დასახელება	მიღებული დაფინანსება	2025 წლის 12 თვის ფაქტი - ნაშთის ცვლილება
შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	881,201	276,900
შპს „მოსავლის მართვის კომპანია“	240,132	143,876
შპს „საქართველოს მელიორაცია“	189,006	140,165
შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგური“	150,000	88,941
შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“	108,144	47,267
შპს „სთარინგ ჯორჯია“	73,714	19,845

შპს „ემ თი ეი“	25,500	417
შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“	9,152	2,728
შპს „ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“	1,530	111
სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“	1,330	606
შპს „თოლია 2020“	356	35
სულ	1,680,065	720,889

საბიუჯეტო კოდექსის უნივერსალობის პრინციპი¹⁹⁴ საბიუჯეტო ორგანიზაციებს ფისკალური წლის დასრულებისას უკრძალავს ბიუჯეტიდან მიღებული შემოსულობების შენარჩუნებას. ყველა ესეთი აუთვისებელი რესურსი მიმართული უნდა იქნეს ბიუჯეტში. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს სსიპ/ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსულობები. გამომდინარე იქიდან, რომ ამ კონტექსტში სახელმწიფო საწარმოები არ განიხილებიან საბიუჯეტო ორგანიზაციებად,¹⁹⁵ მათ ეძლევათ მოქნილობა თავიანთ განკარგვაში დაიტოვონ ბიუჯეტიდან მიღებული თანხები. საწარმოების დაფინანსების არსებული პრაქტიკა:

- იძლევა სახელმწიფო ბიუჯეტის რეალური შესრულების შესახებ არასწორ ინფორმაციას, ვინაიდან ბიუჯეტიდან საწარმოებზე გადარიცხული თანხების საწარმოების მიერ ნაშთად დაგროვების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტის ჭრილში აღნიშნული ჩაითვლება ათვისებულად, მაშინ როდესაც, რეალურად აღნიშნული რესურსი დაუხარჯავია და განთავსებულია საწარმოების კომერციული ბანკების ანგარიშებზე. თავის მხრივ, მოცემული პრაქტიკა გავლენას ახდენს სხვადასხვა ფისკალური პარამეტრის (მაგ. ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი, ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები და სხვა) გაანგარიშებაზე;
- შეიცავს რისკებს სახელმწიფო საწარმოებისათვის გამოყოფილი დაფინანსების რეალური საჭიროებების არსებობის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი არ მოიცავს ინფორმაციას საწარმოებისათვის წლის განმავლობაში გადასაცემი რესურსების

¹⁹⁴ უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

¹⁹⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის, „ს“ ქვეპუნქტი-ს მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული ან/და მის მიმართ ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (მისი არსებობის შემთხვევაში), თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია. საქართველოს მთავრობის ვალის გაანგარიშებისას სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული საწარმო არის საბიუჯეტო ორგანიზაცია.

გეგმური მაჩვენებლების შესახებ, შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსების მოცულობა მათ საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე განისაზღვროს სახელმწიფო საწარმოების საჭიროებები და წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები შესაბამისი დაფინანსების მოცულობა. აღნიშნული დადებითად აისახება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებაზე და ამავდროულად, გააუმჯობესებს ბიუჯეტის კონსოლიდირებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების ხარისხს.

საერთაშორისო სახელმძღვანელოების/უკეთესი პრაქტიკების მიხედვით,¹⁹⁶ სახელმწიფო საწარმოების მართვის კონტექსტში მნიშვნელოვანია რიგი საკითხების გათვალისწინება/არსებობა. მაგალითად:

- საჭიროა სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მხარდაჭერის კრიტერიუმების შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება დაფინანსების გამოყოფის განმსაზღვრელი ინდიკატორები/პირობები;
- საწარმოების შესახებ ანგარიშგება, სადაც წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ხარისხობრივი, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში მიღწეული შედეგების შესახებ. არსებული პრაქტიკით, სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით ინფორმაციის წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული „ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი“ და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მე-7 თავი.¹⁹⁷ თუმცა აღნიშნულ დოკუმენტებში არ არის მოცემული ინფორმაცია საწარმოებისთვის გამოყოფილი თანხების მიზნობრიობისა და რეალურად მიღწეული შედეგების შესახებ;
- უნდა ხდებოდეს ინფორმაციის წარმოდგენა საწარმოების წინაშე არსებული რისკებისა და მათი მართვის სტრატეგიების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ „ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი“ მოიცავს ინფორმაციას 15-მდე მსხვილი საწარმოს რისკის რეიტინგის შესახებ, რაც მათი ფინანსური კოეფიციენტების (ROA, ROE, Current Ratio, Debt to Equity) საფუძველზე დგება და კონკრეტული ფინანსური რისკების მიმართ სახელმწიფო საწარმოთა მოწყვლადობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ოპერაციული, სტრატეგიული და მმართველობითი რისკებისა და მათი მართვის შესახებ სრულყოფილ ანგარიშგებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ კუთხით გაგრძელდეს მუშაობა სახელმწიფო საწარმოების შესახებ ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით.

¹⁹⁶ [OECD Guidelines on Corporate Governance of State-Owned Enterprises; Managing Fiscal Risks from State-Owned Enterprises \(IMF\); The Fiscal Transparency Code \(IMF\)](#).

¹⁹⁷ ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები, სსიპ/ა(ა)იპ-ის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) და ცენტრალური ხელისუფლების მართვაში არსებული სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების შემოსულობები/გადასახდელები

ზემოაღნიშნულ საკითხებზე ყურადღება ასევე გამახვილებული იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებულ ანგარიშში სახელმწიფო საწარმოების შესახებ.¹⁹⁸

რეკომენდაციები:

ფინანსთა სამინისტროს:

- მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს საგარეო საკრედიტო წყაროებიდან მობილიზებული რესურსის გადასესხების ფორმალური წესი/პოლიტიკა, რომელშიც აისახება გადასესხების პროცესის სრული ციკლი და შესაბამისად, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას აღნიშნული პროცესის თითოეული ეტაპისთვის.
- ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, შემუშავდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა დონის სახელმწიფო ერთეულზე სესხის გაცემის კრიტერიუმებისა და პირობების განსაზღვრის, ასევე სესხის აღრიცხვა-ანგარიშგებისა და საბიუჯეტო დოკუმენტაციაში წარმოდგენის წესი.
- მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სტანდარტიზებული ჩარჩო/მიდგომა, რის საფუძველზეც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი იქნება დეტალური ანგარიშგება წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოებზე მიმართული დაფინანსების მოცულობის, მისი მიზნობრიობის და მიღწეული შედეგების შესახებ, ინდივიდუალური საწარმოების მიხედვით;
- მიზანშეწონილია, შემუშავდეს სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მხარდაჭერის კრიტერიუმები/პირობები, რის საფუძველზეც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე განისაზღვრება საბიუჯეტო ასიგნებებიდან სახელმწიფო საწარმოებისათვის გამოსაყოფი თანხების მოცულობა. აღნიშნული, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს დაფინანსების გამჭვირვალობას, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის სახელმწიფო საწარმოების ანგარიშვალდებულების ხარისხს.

6. სახელმწიფო და მთავრობის ვალი

6.1 სახელმწიფო ვალი

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით სახელმწიფო ვალის¹⁹⁹ ზღვრული მოცულობა 36.4 მლრდ ლარის ოდენობით განისაზღვრა. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით აღნიშნული მაჩვენებელი 32.2 მლნ ლარით (0.1%-ით) შემცირდა. **2025 წლის 31**

¹⁹⁸ [IMF, State-Owned Enterprises Reform: Progress, Challenges, and Next Steps. May 2026.](#)



¹⁹⁹ სახელმწიფო ვალი განმარტებულია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით. სახელმწიფო ვალი მოიცავს სახელმწიფო მმართველობის სექტორისა და ეროვნული ბანკის ვალს. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით ყოველწლიურად ხდება სახელმწიფო ვალის ზღვრული მაჩვენებლის განსაზღვრა.

დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის ფაქტობრივმა მოცულობამ 36.6 მლრდ ლარი²⁰⁰ (მშპ-ს 35%) შეადგინა, რაც 229.6 მლნ ლარით მეტია ზღვრულ ოდენობაზე. აღნიშნული გამოიწვია სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრულ მაჩვენებელზე 228.2 მლნ ლარით გადაჭარბებამ, რაც თავის მხრივ განაპირობა გაცვლითი კურსის ეფექტმა.

2025 წელს სახელმწიფო ვალის ნაშთი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2.5 მლრდ ლარით (7.3%-ით) გაიზარდა. მათ შორის, საშინაო ვალი გაიზარდა 1.6 მლრდ ლარით, ხოლო საგარეო ვალი - 934.9 მლნ ლარით. საგარეო ვალის ნაშთის ზრდა სრულად გაცვლითი კურსის რყევის შედეგია. კერძოდ, ვალუტის გაუფასურების შედეგად (ევროს მიმართ) საგარეო ვალი 1.1 მლრდ ლარით გაიზარდა, რაც ნაწილობრივ დაბალანსდა სესხების უარყოფითი წმინდა ცვლილებით, 135.7 მლნ ლარის ოდენობით.

დიაგრამა 79. სახელმწიფო ვალის (მლრდ ლარი), რეალური მშპ-ს და სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპის დინამიკა.

დიაგრამა 80. სახელმწიფო ვალის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ზღვრული და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლრდ ლარი).



6.2 მთავრობის ვალი


2025 წლის ბოლოს მთავრობის ვალის²⁰¹ მოცულობა 35.9 მლრდ ლარს გაუტოლდა და წინა წელთან შედარებით 2.8 მლრდ ლარით (8.3%-ით) გაიზარდა. მთავრობის ვალმა მშპ-ს 34.4% შეადგინა და 1.3

²⁰⁰ არ მოიცავს ისტორიული ვალის პირობით მოცულობას (672 მლნ ლარი).

²⁰¹ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალს, არ მოიცავს IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალს და დამატებით მოიცავს მუნიციპალიტეტების, სსიპ-ებისა და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სესხების სახით არსებულ ვალდებულებებს.



პ.პ.-ით შემცირდა 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული პარამეტრის შემცირების ძირითადი მიზეზი ნომინალური მშპ-ს 11.6 მლრდ ლარით (12.4%-ით) ზრდაა.

დიაგრამა 81. მთავრობის ვალის ნაშთის მოცულობა (წლის ბოლოს) და მისი ფარდობა შესაბამისი წლის მშპ-სთან (მლრდ ლარი; %).



დიაგრამა 82. მთავრობის ვალის ნაშთის ზრდაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი (მლნ ლარი).

დიაგრამა 83. საგარეო და საშინაო ვალის წილი მთავრობის მთლიან ვალში (მლრდ ლარი; %).



მთავრობის ვალის მოცულობაზე გავლენა იქონია ახალი სესხების აღებამ და ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ. კერძოდ, ვალდებულებების წმინდა ზრდის შედეგად (სესხება - დაფარვა) ვალის ნაშთი 1.7 მლრდ ლარით (საშინაო ვალი - 1.66 მლრდ ლარით; საგარეო ვალი - 46 მლნ ლარით) გაიზარდა, ხოლო ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად - 1.1 მლრდ ლარით.

2025 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, საგარეო ვალის წილი მთავრობის მთლიან ვალში 67.4%-ია, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (69.7%) 2.3 პ.პ.-ით ნაკლებია. აღსანიშნავია რომ, მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით, მთავრობის ვალის პორტფელში საგარეო ვალის

წილისათვის დადგენილია 65%-იანი საშუალოვადიანი ნიშნული, რომელიც ჯერჯერობით მიღწეული არ არის.²⁰²

მთავრობის ვალის მართვის პროცესში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია „ვალის მართვის სტრატეგია“ და „ვალის მდგრადობის ანალიზი“ (DSA). სტრატეგიაში გაცხადებული ხედვა უნდა ემსახურებოდეს DSA-ით პროგნოზირებული ვალის მდგრადი დონის მიღწევას ან/და შენარჩუნებას.²⁰³ „ვალის მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტი ეყრდნობა IMF-ისა და WB-ის მიერ 2005 წელს ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიას,²⁰⁴ რომლის განახლება განხორციელდა 2014 და 2021 წლებში. განახლებული მეთოდოლოგიით გაფართოვდა ვალის დაფარვის მაჩვენებელი, გაუმჯობესდა სუვერენული რისკების შეფასების ინსტრუმენტები, გაიზარდა პროგნოზირების ჰორიზონტი და მეთოდოლოგია თანხვედრაში მოვიდა IMF-ის დაკრედიტების ჩარჩოსთან.²⁰⁵ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და ვალის მდგრადობის ანალიზი განხორციელდეს IMF-ისა და WB-ის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2025 წელს ფინანსთა სამინისტრომ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით, მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის განახლება განხორციელა საშუალოვადიანი ბიუჯეტირების დოკუმენტებთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადებამდე.²⁰⁶ მიზანშეწონილია, ამ მიმართულებით გაგრძელდეს მუშაობა და საბიუჯეტო პარამეტრებში მაქსიმალურად იქნეს ასახული მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიაში შესაბამისი წლ(ებ)ისთვის მოცემული მაჩვენებლები/მიზნობრივი ნიშნულები.

საყურადღებოა, რომ მთავრობის ვალის მართვის განახლებულ სტრატეგიაში ზოგიერთი მიმართულების²⁰⁷ ფარგლებში დაგეგმილი რეფორმების განსახორციელებელი აქტივობების/ღონისძიებების ნაწილს კვლავ არ აქვს განსაზღვრული განხორციელების ვადები ან/და შუალედური მიზნობრივი ნიშნულები/შედეგები. ასევე, ცალკეული აქტივობები/ღონისძიებები საჭიროებს ფორმალურად გაწერილი კრიტერიუმების არსებობას. კრიტერიუმებისა და ვადების განსაზღვრა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისეთი ამოცანებისთვის, რომელთა მიზნობრივი ნიშნულები განსაზღვრულია მხოლოდ მოცემული სტრატეგიით და არ რეგულირდება სხვა

²⁰² ვალუტის კურსის ცვლილების რისკის შესამცირებლად მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2025-2029 წლებისთვის მიზნობრივ ნიშნულად, საშუალოვადიან პერიოდში, განსაზღვრავს მთავრობის ვალის პორტფელში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილის 65%-მდე შემცირებას.

²⁰³ [Developing a Medium-Term Debt Management Strategy \(MTDS\) - Updated Guidance Note for Country Authorities, February 2019](#), IMF & WB, გვ. 16

²⁰⁴ [Information Note on Modifications to the Fund's Debt Sustainability Assessment Framework for Market Access Countries](#), IMF.

²⁰⁵ [Review of the debt sustainability framework for market access countries](#), IMF, გვ. 3.

²⁰⁶ განახლებული 2025-2029 წლების მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია აერთიანებს 2025-2028 წლების და 2026-2029 წლების მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიებს.

²⁰⁷ მაგალითად, მე-3 და მე-5 მიმართულებებში. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ [დასკვნაში „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე](#).


რომელიმე მარეგულირებელი აქტით. აღნიშნულ საკითხებზე ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გასული წლების მოხსენებებშიც.

6.3 მთავრობის საგარეო ვალი


მთავრობის საგარეო ვალის მოცულობამ 2025 წლის ბოლოს 24.2 მლრდ ლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 1.1 მლრდ ლარით (4.8%-ით) გაიზარდა. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის უდიდესი ნაწილი - 18.6 მლრდ ლარი (მთლიანი საგარეო ვალის პორტფელის 76.8%) მრავალმხრივი კრედიტორებისგან აღებული სესხებია. მრავალმხრივ კრედიტორებს შორის უმსხვილესია აზიის განვითარების ბანკი (ADB) (6.9 მლრდ ლარი, მთლიანი მრავალმხრივი კრედიტის მოცულობის 37.1%) და მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WB) (6.2 მლრდ ლარი, მთლიანი მრავალმხრივი კრედიტის მოცულობის 33.3%).

მთავრობის საგარეო ვალში ასევე მნიშვნელოვანია ორმხრივი კრედიტების წილიც, რომელიც 17.6%-ია (4.3 მლრდ ლარი). უმსხვილესი ორმხრივი კრედიტორები არიან საფრანგეთი, გერმანია და იაპონია. აღნიშნული ქვეყნების მიმართ ჯამური დავალიანება 4.2 მლრდ ლარს (ორმხრივი კრედიტორების წილის 98.7%) შეადგენს.

დიაგრამა 84. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი კრედიტორების მიხედვით²⁰⁸ (მლრდ ლარი).



დიაგრამა 85. მთავრობის მრავალმხრივი კრედიტების სტრუქტურა დონორების მიხედვით²⁰⁹ - 2025 წ.




²⁰⁸ 2023 წლიდან საგარეო ვალის ნაშთში გარანტირებული კრედიტების კომპონენტი აღარ არის.

²⁰⁹ ADB - აზიის განვითარების ბანკი; WB (IBRD, IDA) - მსოფლიო ბანკი; EIB - ევროპის საინვესტიციო ბანკი; EBRD - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; AiIB - აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი; IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი. კატეგორია „სხვა“ მოიცავს შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებს: ევროკავშირი (EU), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB) და სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO).

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და შეიმუშავა სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით მობილიზებული საკრედიტო რესურსის ერთგვაროვანი სააღრიცხვო მიდგომა. კერძოდ, 2026 წლის იანვრიდან ფინანსთა სამინისტრომ დანერგა მთავრობის ვალის პორტფელის აღრიცხვის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან (IMF-ის მეთოდოლოგიასთან) და გულისხმობს ფასიანი ქაღალდების შეფასებას საკონტრაქტო ილდის გათვალისწინებით.

2025 წელს საგარეო კრედიტების სახით მიღებულმა შემოსულობებმა 1.5 მლრდ ლარი შეადგინა და სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს 28.4 მლნ ლარით (1.9%-ით) ჩამორჩა. 2024 წელთან შედარებით კრედიტების მოცულობა 240.4 მლნ ლარით (13.8%-ით) შემცირდა. 2025 წელს საგარეო წყაროებიდან მიღებული რესურსის ძირითადი ნაწილი საინვესტიციო კრედიტებია, ჯამური მოცულობით 902.1 მლნ ლარი (საგარეო კრედიტებიდან მობილიზებული შემოსულობების 60.2%), რომელიც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 509.7 მლნ ლარითაა (36.1%-ით) შემცირებული. რაც შეეხება ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს,²¹⁰ 2024 წელთან შედარებით მათი მოცულობა 269.3 მლნ ლარით (82.2%-ით) გაიზარდა და 596.7 მლნ ლარი შეადგინა. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით, აღნიშნული მაჩვენებლისთვის დაწესებული ზღვრული ნიშნული 250 მლნ აშშ დოლარია, რაც 2025 წლის შემთხვევაში დაკმაყოფილებულია.

დიაგრამა 86. საგარეო კრედიტების სახით მიღებული შემოსულობები (მლნ ლარი).²¹¹



²¹⁰ საინვესტიციო კრედიტებისგან განსხვავებით, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების უმეტესობას განსაზღვრული მიზნობრიობა ცხადი სახით არ გააჩნიათ, მიიმართებიან წლიური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო კალათაში და მათი განკარგვა ხდება გადასახდებლების საერთო მიზნობრიობით.

²¹¹ 2021 წლის საკრედიტო რესურსის გაზრდილი მოცულობა გამოწვეულია ანტიპანდემიური/ანტიკრიზისული ღონისძიებების დაფინანსებისთვის საჭირო ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მობილიზებით და 2011 წელს გამოშვებული ევრობლიგაციების რეფინანსირებით.

2025 წელს გაფორმდა ექვსი ახალი სასესიო ხელშეკრულება,²¹² ჯამურად 767.1 მლნ ევროს ნომინალური ღირებულებით. ყველა ხელშეკრულება გაფორმებულია მრავალმხრივ კრედიტორებთან.²¹³ ხუთი სესხი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას ითვალისწინებს, ხოლო ერთი - ბიუჯეტის მხარდამჭერია. ყველა სესხი აღებულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის პირობით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი შედგება ექვს სხვადასხვა ვალუტაში²¹⁴ დენომინირებული სესხებისგან. აღსანიშნავია, რომ საგარეო ვალის ნაშთში აღრიცხულია აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) აღებული 68.2 მლნ ლარის ოდენობის სესხი, რომელიც „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის მიხედვით²¹⁵ წარმოადგენს საშინაო ვალს, რამდენადაც საშინაო ვალად კლასიფიცირდება ეროვნული ვალუტით გამოსახული ვალდებულებები.

2025-2029 წლების მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით, პრიორიტეტი ენიჭება ევროში დენომინირებულ სესხებს ლარი-ევროს გაცვლითი კურსის შედარებით სტაბილურობიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში საგარეო სესხების სავალუტო სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, შემცირდა დოლარსა და SDR-ში²¹⁶ დენომინირებული ვალდებულებების წილი, ევროში აღებული ვალდებულებების წილი კი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 68%-ს²¹⁷ გაუტოლდა. ლარი-ევროს გაცვლითი კურსის შედარებით სტაბილური ტენდენციის მიუხედავად, საყურადღებოა საგარეო ვალის პორტფელში ევროში დენომინირებული სესხების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც მთავრობის საგარეო ვალის მოწყვლადობას ევროს გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ არსებითად ზრდის.

2025 წელს ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებით 4%-ით გამყარდა, ხოლო ევროსთან მიმართებით 8.3%-ით გაუფასურდა. მთავრობის საგარეო ვალის ზრდაში ლარის გაუფასურების ეფექტმა ჯამურად 1.1 მლრდ ლარი შეადგინა.²¹⁸

²¹² ექვსივე სესხი გაფორმებულია ევროში.

²¹³ აზიის განვითარების ბანკი (ADB) - 606.7 მლნ ევრო; აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) - 125 მლნ ევრო; რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) - 35.4 მლნ ევრო.

²¹⁴ აშშ დოლარი, ევრო, ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR), იაპონური იენი, ქუვეითური დინარი, ქართული ლარი.

²¹⁵ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონი, მუხლი 1, პუნქტი ბ.


საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი – ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებით.

²¹⁶ SDR - წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომლის ღირებულებაც ემყარება 5 ვალუტას: აშშ დოლარს, ევროს, ჩინურ იუანს, იაპონურ იენს და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგს.


²¹⁷ აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს SDR-ში შემავალ ევროს კომპონენტს. იმის გათვალისწინებით, რომ ევრო SDR-ის დაახლოებით მესამედს შეადგენს, მთავრობის საგარეო ვალში ევროს წილი დაახლოებით 71%-ია.

²¹⁸ აშშ დოლართან (USD), იაპონურ იენტან (JPY) და ქუვეითურ დინართან (KWD) მიმართებით ლარის გამყარებამ გამოიწვია საგარეო ვალის შემცირება, შესაბამისად, 207.1 მლნ, 8.6 მლნ და 0.8 მლნ ლარის


დიაგრამა 87. მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა ვალუტების მიხედვით.




დიაგრამა 88. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი - 2025 წ. (მლნ ლარი).



დიაგრამა 89. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი საპროცენტო განაკვეთის სახეების მიხედვით.



დიაგრამა 90. წლის ბოლოს დაფიქსირებული ლარის გაცვლითი კურსის %-ული ცვლილება.



უკანასკნელ წლებში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება საკრედიტო პორტფელში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი და 2025 წლის ბოლოსთვის 54.3%-ს შეადგენს. საყურადღებოა, რომ მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი მთავრობის მთლიან საგარეო ვალში მინიმუმ 50% უნდა იყოს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული კრედიტების წილი საგარეო ვალის პორტფელის


ოდენობით, ხოლო ევროსა (EUR) და ნასესხობის სპეციალური უფლებების (SDR) მიმართ ლარის გაუფასურებამ საგარეო ვალი გაზარდა, შესაბამისად, 1.3 მლრდ ლარითა და 19.7 მლნ ლარით.

45.7%-ია და შესაბამისად, სტრატეგიის მიზნობრივი ნიშნული დარღვეულია. გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგიის ნიშნულსა და ფაქტობრივ მაჩვენებელს შორის განსხვავება მზარდი ტენდენციით ხასიათდება,²¹⁹ რაც საპროცენტო ხარჯის მოწყვლადობას გლობალური მონეტარული პოლიტიკის მიმართ მნიშვნელოვნად ზრდის. ამ საკითხზე არაერთხელ გამახვილდა ყურადღება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებშიც. აღსანიშნავია, რომ საჯარო ადმინისტრირების პრინციპების შეფასების მეთოდოლოგიის (OECD SIGMA) ერთ-ერთი კრიტერიუმია²²⁰ მთლიან სახელმწიფო ვალში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი. კერძოდ, შეფასების მიხედვით, კარგ პრაქტიკად მიიჩნევა მოცემული მაჩვენებლის 25%-ზე დაბალი ოდენობა.

6.4 მთავრობის საშინაო ვალი

2025 წელს მთავრობის საშინაო ვალი წინა წელთან შედარებით 1.7 მლრდ ლარით (16.5%-ით) გაიზარდა და 11.7 მლრდ ლარს გაუტოლდა²²¹. მოცემული ზრდა გამოწვებულია სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთის 1.6 მლრდ ლარით ზრდით და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხების 93 მლნ ლარით ზრდით. 2024 წელთან შედარებით 2.3 პ.პ.-ით გაიზარდა საშინაო ვალის წილი მთავრობის მთლიან ვალში და 32.6% შეადგინა. 2022 წლიდან მთავრობის საშინაო ვალის წილი მთლიანი ვალის პორტფელში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალოვადიან მიზნობრივ ნიშნულად 35%-ია განსაზღვრული.

დიაგრამა 91. მთავრობის საშინაო ვალის კომპოზიცია და მისი წილი მთავრობის მთლიან ვალში (სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა წარმოდგენილია ბიუჯეტში შესული თანხის მიხედვით) (მლნ ლარი).²²²



²¹⁹ 2023 წელს 7 ახალი სასესხო ხელშეკრულებიდან ყველა გაფორმდა ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, 2024 წელს 10 ახალი ხელშეკრულებიდან - 8, ხოლო 2025 წელს - 6-დან ექვსივე.


²²⁰ [Assessment Methodology of the Principles of Public Administration 2024](#), კრიტერიუმი 24.1.9.9.

²²¹ მონაცემი წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ემისიიდან ბიუჯეტში შესული თანხას.

²²² სხვა ფასიანი ქაღალდები მოიცავს ობლიგაციებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ობლიგაციებს ღია ბაზრის ოპერაციებისთვის.

2025 წლის ბოლოს, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთში უდიდესი წილი (39%) 1-3 წლამდე ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციებს უკავია და 2024 წელთან შედარებით 13.7 პ.პ.-ით არის გაზრდილი. ასევე, 5 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციების წილი მთლიან პორტფელში 2.1 პ.პ.-ით გაიზარდა და 27.5%-ს გაუტოლდა, ხოლო 3-5 წლამდე ნარჩენი ვადიანობის მქონე ფასიანი ქაღალდების წილი 11.6 პ.პ.-ით (მთლიანი პორტფელის 26.5%) შემცირდა.

დიაგრამა 92. სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი ნარჩენი ვადიანობის მიხედვით (მონაცემები წარმოდგენილია ბიუჯეტში შესული თანხის მიხედვით (მლნ ლარი)).²²³



2024 წლიდან ფინანსთა სამინისტრო ვალდებულებების მართვის ოპერაციების (LMO) ფარგლებში აქტიურად იყენებს გამოსყიდვის (buy back) და გაცვლის (switch) ოპერაციებს. 2025 წელს LMO ოპერაციების ფარგლებში ჩატარდა 10 გაცვლის ოპერაცია, საერთო ნომინალური მოცულობით 500 მლნ ლარი და 5 გამოსყიდვის ოპერაცია, საერთო ნომინალური მოცულობით 200 მლნ ლარი. LMO ოპერაციების განხორციელება ნაწილობრივ რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.²²⁴ აღნიშნული ოპერაციების მასშტაბის ზრდის პარალელურად, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ დამატებით შეიმუშაოს სახელმძღვანელო/წესი, რომელშიც დეტალურად განისაზღვრება ვალდებულებების მართვის ოპერაციებთან დაკავშირებული სრული ციკლი.

²²³ დიაგრამაზე წარმოდგენილი მაჩვენებლები არ მოიცავს სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს. კერძოდ, ობლიგაციებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის და ობლიგაციებს ღია ბაზრის ოპერაციებისთვის.


²²⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის ერთობლივი ბრძანება №10/01-№51 „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

2025 წელს განხორციელებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის შედეგად, საშინაო ვალდებულებების ზრდამ 3.4 მლრდ ლარი შეადგინა, ფასიანი ქაღალდების ძირი თანხის დაფარვით საშინაო ვალდებულებების კლებამ კი 1.8 მლრდ ლარი. შედეგად, საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა 1.6 მლრდ ლარს გაუტოლდა.²²⁵

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მიხედვით, მთავრობის საშინაო ვალის საშუალო შეწონილი ვადიანობის (ATM - Average Time to Maturity) მინიმალური ზღვარი 2025-2029 წლებისთვის 3 წელს შეადგენს, მაშინ როდესაც მთავრობის მთლიანი ვალისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 6.5 წლითაა განსაზღვრული. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მთავრობის ვალში საშინაო ვალის წილის ზრდის პირობებში, რეფინანსირების რისკების მინიმიზაციისთვის, მიზანშეწონილია, სტრატეგიაში ასახული ATM-ის მინიმალური ზღვარი საშინაო ვალისთვის ეტაპობრივად გადაიხედოს ზრდის მიმართულებით.

2025 წელს შეიცვალა სახაზინო ვალდებულებების სარგებლიანობის განაკვეთები. კერძოდ, 6 თვიან სახაზინო ვალდებულებებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთმა 7.5% შეადგინა, ხოლო 12 თვიანზე 7.6%, რაც შესაბამისად, 0.6 პ.პ.-ით და 0.4 პ.პ.-ით ნაკლებია 2024 წლის მაჩვენებლებზე. 5 და 10 წლიანი სახელმწიფო ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 0.5 პ.პ.-ითა და 0.2 პ.პ.-ით გაიზარდა და შესაბამისად, 9%-სა და 8.7%-ს გაუტოლდა.

დიაგრამა 93. სახაზინო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები ვადიანობის მიხედვით (%).²²⁶




უკანასკნელი წლების პრაქტიკით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის უდიდესი ნაწილი ადგილობრივი კომერციული ბანკების მფლობელობაში იმყოფება. 2025 წელს წინა წელთან შედარებით კომერციული ბანკების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების წილი 2.1 პ.პ.-ით გაიზარდა და 71% შეადგინა, სხვა რეზიდენტი ინვესტორების წილი 2 პ.პ.-ით გაიზარდა და 14.8%-ს გაუტოლდა, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის მფლობელობაში არსებული ფასიანი

²²⁵ LMO ოპერაციების გათვალისწინების გარეშე საშინაო ვალის ზრდამ 2.9 მლრდ ლარი, ხოლო საშინაო ვალის კლებამ 1.3 მლრდ ლარი შეადგინა.

²²⁶ 2024-2025 წლებში 2 წლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია არ მომხდარა.

ქალაქების წილი 5.5 პ.პ.-ით შემცირდა და 11.2% შეადგინა. ბოლო წლებში სხვა რეზიდენტების წილის მკვეთრი ზრდა განპირობებულია საპენსიო სააგენტოს აქტივობით, რომელმაც 2022 წლის აპრილიდან დაიწყო საქართველოს სახაზინო ობლიგაციების შესყიდვა და 2025 წლის ბოლოს ამ ინსტრუმენტში განთავსებული თანხის მოცულობამ მისი აქტივების 16.3% (1.3 მლრდ ლარი) და სახაზინო ფასიანი ქალაქების მთლიანი ნაშთის 11.8% შეადგინა.

დიაგრამა 94. სახაზინო ფასიანი ქალაქების განაწილება მათი მფლობელების მიხედვით (მონაცემები წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით მლნ ლარში).




გამოწვევად რჩება, სახაზინო ფასიანი ქალაქების ბაზარზე არარეზიდენტი ინვესტორების მონაწილეობა, რომელთა მფლობელობაში არსებული ფასიანი ქალაქების წილი ბოლო 5 წლის განმავლობაში 1%-დან 5%-მდე მერყეობს.

6.5 მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები


2025 წელს მთავრობის ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე ჯამურად მიიძღრათა 4.3 მლრდ ლარი²²⁷ (მათ შორის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯი 28.6 მლნ ლარი). მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვისთვის გაწეული ხარჯებში 52.4%-ს საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები წარმოადგენს, რომელიც 2.3 მლრდ ლარს გაუტოლდა. აქედან უმეტესი ნაწილი (60.1%) ძირის დაფარვაზე მიიძღრათა.

²²⁷ არ მოიცავს გამოსყიდვის/გაცვლის არასაკასო (LMO) ოპერაციებით გათვალისწინებულ თანხას 514.4 მლნ ლარს.


დიაგრამა 95. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების დინამიკა (მლნ ლარი).



დიაგრამა 96. ცენტრალური ბანკების მონეტარული საპროცენტო განაკვეთების დინამიკა²²⁸ - 2021-2026 (I კვ).



დიაგრამა 97. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მთავრობის საგარეო ვალზე (%)²²⁹



საყურადღებოა, რომ 2022 წლიდან გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო


²²⁸ წყარო : [Bank for International Settlements \(BIS\)](https://www.bis.org/)

²²⁹ 2020 წლის ჩათვლით ვალის პორტფელში შედიოდა 2011 წელს გამოშვებული ევროობლიგაციები, რომლის კუპონის განაკვეთი 6.875%-ს შეადგენდა. 2021 წლის აპრილში აღნიშნული ევროობლიგაციების რეფინანსირება განხორციელდა ახალი, 2.75% კუპონის მქონე ევროობლიგაციებით. შედეგად, გლობალური საპროცენტო განაკვეთების უცვლელობის პირობებში მომდევნო წლებში უნდა შემცირებულიყო ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.

განაკვეთი და 2023 წლის ბოლოსთვის 3.4%-ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლიდან, გლობალური მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქების კვალდაკვალ, კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და 2025 წლის ბოლოსთვის 2.7% შეადგინა. იმის გათვალისწინებით, რომ საგარეო ვალის პორტფელის 54.3% ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებშია წარმოდგენილი, გაზრდილია საგარეო ვალის საპროცენტო ხარჯის მოწყვლადობა გლობალური მონეტარული პოლიტიკის მიმართ.

მეორე მხრივ, საშინაო წყაროებიდან მობილიზებული რესურსი საგარეო წყაროებთან შედარებით მაღალი საპროცენტო ხარჯებით ხასიათდება. შედეგად, მთავრობის ვალის პორტფელში საშინაო ვალის წილის ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის საპროცენტო ხარჯის მოცულობას.

დიაგრამა 98. მთავრობის ვალის მომსახურების (პროცენტის) ხარჯები (მლნ ლარი) და მისი ფარდობა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან (%) და მშპ-სთან (%).²³⁰



* აღნიშნავს პროგნოზს.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიაში საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად განსაზღვრა საპროცენტო ხარჯის შეფარდება მშპ-სთან. აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს. 2025 წლის ბოლოს მოცემული მაჩვენებელი 1.6%-ს შეადგენდა და არსებული პროგნოზებით 2029 წლისთვის მოსალოდნელია მისი მცირედით ზრდა 1.7%-მდე.


²³⁰ საპროგნოზო მონაცემები ეყრდნობა 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტის საბაზო სცენარით ნაერთი ბიუჯეტისთვის განსაზღვრულ მაჩვენებლებს.

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა წლების მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს თან ახლავს ინფორმაცია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ მთავრობის განკარგულებით²³¹ განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ მოხსენებებში 2022-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშების შესახებ ჯამში გაიცა 10 რეკომენდაცია. არსებული მდგომარეობით, შესრულებულია 5 რეკომენდაცია, ხოლო დანარჩენი 5 შეუსრულებელია (თითოეული რეკომენდაციის შესრულების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 6 -ში).

დიაგრამა 99. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.



²³¹ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 11 სექტემბრის N1302 განკარგულება.

დანართები

დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები

<p>1. რიგ შემთხვევებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს წლის განმავლობაში რესურსების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მათი ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება.</p>
<ul style="list-style-type: none">• ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეპროგრამის „ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის განვითარება“ (24 08 02 02 01) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმა 8.5 მლნ ლარის ტოლია. სამინისტროს მიერ ქალაქ ქუთაისში მდებარე ყოფილი პარლამენტის შენობაში ტექნოლოგიური ჰაბის გახსნისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვისა და კაპიტალური სარემონტო სამუშაოების დაფინანსების მიზნით, აღნიშნულ მუხლზე წლის განმავლობაში დამატებით მობილიზდა 9.2 მლნ ლარი (დამტკიცებული ბიუჯეტის 108.5%). სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული მიზნობრიობით თანხის ნაწილი 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე მოთხოვნილი იყო ზღვრული მოცულობის ზემოთ დაფინანსების ფარგლებში, თუმცა მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში.• იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის“ (26 01 01) ქვეპროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის დამტკიცებული ასიგნებების მოცულობამ 150 ათასი ლარი შეადგინა. სამინისტროს მიერ Microsoft-ის ლიცენზიების შესყიდვასთან დაკავშირებული დავალიანების დაფარვის მიზნით, დეკემბერში ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შემდეგ, ამ მუხლში მობილიზებულ იქნა 2.7 მლნ ლარი (დამტკიცებული ბიუჯეტის 1,800%). აღსანიშნავია, რომ ლიცენზიების შესყიდვა განხორციელდა 2016-2017 წლებში. უწყების განმარტებით, ლიცენზიების შესყიდვასთან დაკავშირებული დავალიანების დაფარვისათვის საჭირო ასიგნება მოთხოვნილი იყო 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ზღვრული მოცულობის ზემოთ, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული თანხა არ იქნა გათვალისწინებული. <p>ასევე, „ციფრული მმართველობის განვითარება“ (26 05 01) ქვეპროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლში წლის განმავლობაში ჯამურად მიიმართა 2.2 მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული გეგმის 84.8%) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთათვის შრომის ანაზღაურების ხარჯების დაფინანსების მიზნით. სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს აღნიშნული მიზნობრიობით საბიუჯეტო განაცხადით ჭერს ზემოთ მოთხოვნილი ჰქონდა ასიგნება, რაც ბიუჯეტში არ იქნა გათვალისწინებული.</p> <ul style="list-style-type: none">• ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა“ (27 03 03 07 01) ქვეპროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლში მობილიზებულ იქნა 3.1 მლნ ლარი ამავე ქვეპროგრამის „სოციალური უზრუნველყოფის“, „მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებიდან სასწრაფო დახმარების მანქანების სარემონტო ხარჯების დაფარვის, ზამთრის საბურავების შეძენის, მშენებარე შენობის ელექტროენერჯის სისტემაზე ახალ მომხმარებლად რეგისტრაციის საფასურის გადახდის და აგრეთვე, ცენტრის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების მიზნით. უწყების განმარტებით, თანხის მობილიზების საჭიროება განპირობებული იყო სატრანსპორტო საშუალებების მოძველების შედეგად მათი მიმდინარე რემონტის ხარჯების ზრდით. ამასთან, დაგეგმილი იყო ავტოპარკის 100 ერთეულით განახლება, რაც შეამცირებდა მიმდინარე შეკეთების ხარჯებს, თუმცა რიგი მიზეზების გამო ახალი სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა ვერ განხორციელდა. გარდა ამისა, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არ იქნა გათვალისწინებული თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების თანხები.• თავდაცვის სამინისტროს „სამედიცინო სერვისების გაუმჯობესება“ (29 03 01) ქვეპროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში მობილიზებულ იქნა 1.9 მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული გეგმის 2,457%) სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და

სტანდარტებთან შესაბამისობისათვის ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯების დაფინანსების მიზნით, თუმცა აღნიშნული თანხა საბოლოოდ გადატანილ იქნა „საქონელი და მომსახურების“ მუხლში სამხედრო ჰოსპიტალის მიერ სამედიცინო და კომუნალური ხარჯების დაფინანსებისთვის. უწყების განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება დაიწყო 2025 წელს, საჭირო იყო ელექტრონული ტენდერის გამოცხადება, რომელიც ხანგრძლივი პროცესია და იყო ალბათობა რომ შესყიდვის პროცესი ვერ დასრულდებოდა წლის ბოლომდე და შესაბამისად, ვერ მოხდებოდა თანხის ათვისება. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჰოსპიტალის წინაშე მდგარი სამედიცინო და კომუნალური ხარჯების დაფარვაზე.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი“ (31 02 02) ქვეპროგრამის „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლისა და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების ლაბორატორიული კვლევის დაფინანსების მიზნით დამატებით მობილიზებულ იქნა 0.7 მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული გეგმის 18.3%). სამინისტროს განმარტებით, 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში აღნიშნული კვლევებისთვის საჭირო თანხა მოთხოვნილი იყო შესაბამის ქვეპროგრამაში ზღვრული მოცულობის ზემოთ, რაც არ იქნა გათვალისწინებული.

- კულტურის სამინისტროს „ციცინათელას პარკის რეაბილიტაცია“ (33 07 63) ქვეპროგრამის „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ მუხლში წლის განმავლობაში ჯამურად მობილიზებულ იქნა 20 მლნ ლარი (მათ შორის, 11.6 მლნ ლარი დეკემბერში, ბიუჯეტის კანონის ცვლილების შემდეგ) ციციანათელას პარკის რეაბილიტაციის, გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფისა და სახელმწიფო საწარმოს - შპს „სერვისი - 7“-ის მიერ კომერციული ბანკისგან აღებული სესხის (დარიცხული პროცენტის ჩათვლით) დაფარვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით. უწყების განმარტებით, მობილიზებული თანხებით 2025 წლის ბოლოს განხორციელდა მაღალი რისკის შემცველი ატრაქციონების ახალი თანამედროვე ტიპის ატრაქციონებით ეტაპობრივად ჩანაცვლებისა და ასევე, ტურისტული მიმართულების მეტი პოპულარიზაციის მიზნით ახალი გასართობი ატრაქციონების დამატებასთან დაკავშირებული შესაბამისი შესყიდვის პროცედურები.

ასევე, „შავი ზღვის კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა“ (33 02 04) ქვეპროგრამის „სუბსიდიების“ მუხლი ბიუჯეტის კანონით განისაზღვრა 21 მლნ ლარით. შპს „სთარინგ ჯორჯიას“ მიერ კონცერტების ორგანიზების, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისა (საკონცერტო დარბაზი „ბლექ სი არენა“, მისი დამხმარე შენობა-ნაგებობები, შადრევნები, „მუსიკოსთა პარკის“ მოვლა-პატრონობა) და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსების მიზნით, ნოემბერში დამატებით მობილიზებულ იქნა 3.5 მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული გეგმის 16.5%). სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული ღონისძიებები დაიგეგმა 2025 წლის მიმდინარეობისას, საკონცერტო სეზონის დასრულების შემდგომ. ამასთან, შპს „სერვისი 7“-ის შპს „სთარინგ ჯორჯიასთან“ შერწყმის შედეგად დაიგეგმა ახალი აქტივობები, რაც 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ცნობილი არ იყო.

2. გარკვეულ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი. კერძოდ, ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს „სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის“ (30 02 01) ქვეპროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში „სამინისტროს ცენტრალური აპარატის“ (30 01 01) ქვეპროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან ოქტომბერში გადატანილ იქნა 1.3 მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული ბიუჯეტის 37.8%) სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებებისთვის (შვეულმფრენებისთვის) საჭირო დეტალების შექმნის მიზნით. დეკემბრის ბოლოს, აღნიშნული თანხიდან 1.2 მლნ ლარი „სამინისტროს ცენტრალური აპარატის“ (30 01 01) ქვეპროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში დაბრუნდა. სამინისტროს განმარტებით, შესასყიდი ნაწილების დეფიციტურობის გამო განხორციელდა

ხელშეკრულების გამრავალწლიანება, რამაც გამოიწვია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში თავისუფალი რესურსის წარმოქმნა.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შექმნა“ (31 06 01) ქვეპროგრამის „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ მუხლიდან 30 სექტემბერს გადანაწილდა 17.6 მლნ ლარი (მოცემულ პერიოდში ამ მუხლის დამტკიცებული ბიუჯეტის 39.1%) „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ (31 03 05 01) ქვეპროგრამის „სუბსიდიების“ მუხლში. დეკემბრის ბოლოს, იმავე 31 06 01 ქვეპროგრამის „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ მუხლში, სამინისტროს სხვადასხვა პროგრამებიდან მობილიზებულ იქნა 17.6 მლნ ლარი.

დანართი 2. ბიუჯეტის ათვისება პროგრამების დონეზე - მაგალითები

სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები, რომელთაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით მაღალი ათვისება აქვთ - 2025 წ. (ათასი ლარი). მონაცემები დალაგებულია პროგრამული კოდის მიხედვით.²³²

პროგრამის დასახელება/პროგრამული კოდი	ბიუჯეტის კანონი საწყისი (1)	ბიუჯეტის კანონი საბოლოო (2)	დაზუსტებული გეგმა (3)	ფაქტი (4)	(4/2) %	(4/3) %
ქვეყნის ბრენდის განვითარების ღონისძიებები (24 01 02)	3,000	3,000	2,054	2,024	67.5%	98.5%
მარკეტინგული და იურიდიული კონსულტაციების ხარჯი (24 01 04)	1,650	1,650	724	689	41.8%	95.2%
შრომის ბაზრის ანალიზი (24 01 05)	500	500	411	385	77.1%	93.7%
ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები (24 04)	2,900	2,900	2,333	2,182	75.2%	93.5%
საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08 02 01)	36,300	36,300	26,274	25,540	70.4%	97.2%
Log-in Georgia (WB) (24 08 03 01)	19,000	17,100	6,600	6,557	38.3%	99.4%
ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	20,000	20,000	14,939	14,921	74.6%	99.9%

²³² გეგმასთან შესადარისობის მიზნით ფაქტობრივი მაჩვენებელი არ მოიცავს მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვების ფარგლებში დაზუსტებული გეგმის ზევით განხორციელებულ გადახდებს ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

კურორტების განვითარების ხელშეწყობა (24 20)	6,000	4,500	2,813	2,739	60.9%	97.4%
სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები (25 02 02 05)	30,000	25,000	16,260	16,259	65.0%	100.0%
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	1,825	1,825	1,261	1,260	69.0%	99.9%
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (27 01 09)	5,700	5,700	3,371	3,356	58.9%	99.6%
მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა და მართვა (27 01 11)	1,104	1,104	813	807	73.1%	99.2%
შინ მოვლის მომსახურებით უზრუნველყოფა (27 02 03 01 07)	2,000	2,000	1,537	1,537	76.8%	100.0%
მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება (27 02 03 02 10)	1,500	1,500	743	743	49.5%	100.0%
ტუბერკულოზის მართვა (27 03 02 06 01)	12,346	12,346	7,775	7,775	63.0%	100.0%
ტუბერკულოზის მართვა (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) (27 03 02 06 02)	2,054	2,054	1,421	1,400	68.2%	98.6%
„საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება“ - ტუბერკულოზის კომპონენტი (27 03 02 06 03)	3,100	3,100	642	642	20.7%	100.0%
„საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება“ - შიდსის კომპონენტი (27 03 02 07 03)	2,590	2,590	1,366	1,366	52.8%	100.0%
ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)	2,000	2,000	466	465	23.3%	99.9%
დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება (27 03 04)	500	500	112	112	22.3%	100.0%

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა (27 05 04)	2,500	2,500	773	718	28.7%	92.9%
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)	2,000	2,000	1,507	1,411	70.6%	93.6%
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება (28 01 05)	1,520	1,520	621	616	40.6%	99.3%
მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (28 02)	1,300	1,300	583	583	44.9%	100.0%
პროფესიული განვითარება (29 02 03)	2,655	2,655	2,098	2,098	79.0%	100.0%
სასწავლო კურსები (29 02 05)	1,200	1,200	577	577	48.1%	100.0%
ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და რეაბილიტაცია (29 03 04)	1,000	1,000	596	596	59.6%	100.0%
კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (29 04 02)	7,230	11,230	8,507	8,507	75.7%	100.0%
გარემოსდაცვითი პროგრამა (31 01 04)	2,000	2,000	900	900	45.0%	100.0%
მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა (31 02 04)	2,700	2,700	1,945	1,752	64.9%	90.1%
დანერგე მომავალი (31 05 04)	26,000	26,000	14,200	14,192	54.6%	99.9%
ქართული ჩაი (31 05 05)	500	500	22	22	4.4%	100.0%
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (31 05 06)	13,000	13,000	4,385	4,385	33.7%	100.0%
პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა (31 05 08)	1,150	1,150	472	471	41.0%	99.8%
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება (31 05 09)	1,000	1,000	53	53	5.3%	100.0%
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი (31 05 10)	10,000	10,000	5,839	5,475	54.8%	93.8%
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა (31 05 13)	1,000	1,000	92	86	8.6%	93.7%
მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა (31 05 19)	1,000	1,000	555	553	55.3%	99.6%

ქართული ბოსტნეული სათბურებიდან (31 05 20)	8,000	8,000	2,700	2,696	33.7%	99.9%
რადიოაქტიური და დარიშხან-შემცველი ნარჩენების მართვის ღონისძიებები (31 12 02)	6,250	6,250	4,351	3,998	64.0%	91.9%
ჰიდრომეტეოროლოგიის მონიტორინგი (31 13 02)	8,000	8,000	3,110	2,814	35.2%	90.5%
გეოლოგიური მონიტორინგი (31 13 03)	3,800	3,800	1,340	1,181	31.1%	88.1%
ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისა და თანამემამულის სტატუსის მქონე პირების უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 02 04)	2,500	2,500	1,547	1,547	61.9%	100.0%
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (32 04 05)	6,665	6,665	4,765	4,169	62.5%	87.5%
ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისათვის ადამიანური რესურსების განვითარება (32 06 04)	585	585	427	391	66.8%	91.5%
სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი (33 02 01 13)	8,107	8,107	5,975	5,906	72.8%	98.8%
სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი (34 05 03 01)	2,500	2,500	1,733	1,700	68.0%	98.1%
თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (EBRD) (57 14 02 02)	10,000	1,500	65	65	4.4%	100.0%

ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელსაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით ათვისების მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით კი შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეპროგრამაზე „ქვეყნის ბრენდის განვითარების ღონისძიებები“ (24 01 02) სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 3 მლნ ლარი, ფაქტობრივად ათვისებულმა თანხამ კი 2 მლნ ლარი (გეგმის 67.5%) შეადგინა. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ქვეპროგრამის ათვისება დაბალი იყო გასულ წლებშიც. კერძოდ, 2024 წელს გეგმის 16.6%-ს (82.9 ათასი ლარი), 2023 წელს 53.6%-ს (1.9 მლნ ლარი), ხოლო 2022 წელს 1%-ს (26.2 ათასი) შეადგენდა.
- გასული წლების მსგავსად, დაბალი ათვისებით ხასიათდება სამინისტროს კიდევ ერთი ქვეპროგრამა „მარკეტინგული და იურიდიული კონსულტაციების ხარჯი“ (24 01 04), რომლის დამტკიცებული გეგმა 1.7 მლნ ლარს, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი 689.1 ათას ლარს (გეგმის 41.8%) შეადგენდა. ამ ქვეპროგრამის ათვისება 2024 წელს გეგმის 7.8%-ის (265.5 ათასი ლარი), 2023 წელს 58.6%-ის (234.3 ათასი ლარი), ხოლო 2022 წელს 1.5%-ის (59.3 ათასი ლარი) ტოლია.
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვეპროგრამაზე „ტუბერკულოზის მართვა (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (27 03 02 06 02) სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 2.1 მლნ ლარი შეადგინა, ფაქტობრივად ათვისებულმა თანხამ კი 1.4 მლნ ლარი (გეგმის 68.2%). ქვეპროგრამის ათვისების მაჩვენებელი დაბალი იყო გასულ წლებშიც. კერძოდ, 2024 წელს გეგმის 66.4% (1.4 მლნ ლარი), 2023 წელს 60.8% (1.2 მლნ ლარი), ხოლო 2022 წელს 53.4% (1.1 მლნ ლარი). ათვისებლობის ძირითად მიზეზს ტუბერკულოზის პრევენციისა და ინციდენტების, ასევე ბენეფიციართა მიმართვიანობის კლება წარმოადგენს. სამინისტროს მიერ 2024 წლის ათვისებლობის გამომწვევი მიზეზის პასუხად წარმოდგენილი განმარტებით, იგეგმებოდა ახალ შემთხვევათა კლების დინამიკის გათვალისწინებით პროგნოზული გათვლების კორექტირება და შემდგომი წლების ბიუჯეტებში ასახვა. მიუხედავად ამისა, 2025 წლის ბიუჯეტი 2024 წელთან შედარებით 16 ათასი ლარით მეტი ოდენობით დაიგეგმა.

ასევე, დაბალი ათვისებით ხასიათდება „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვის“ (27 01 08) და „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა“ (27 01 09) ქვეპროგრამები, რომელთა დამტკიცებული ბიუჯეტები, შესაბამისად, 1.8 მლნ ლარსა და 5.7 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო ათვისების მაჩვენებელი 69% და 58.9%-ია. ორივე პროგრამის შემთხვევაში ათვისებლობის გამომწვევ ძირითად მიზეზს ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული ვაკანტური პოზიციების არსებობა წარმოადგენს, რაც რეორგანიზაციის პროცესითაა გამოწვეული. ამ ქვეპროგრამების ათვისების საკითხზე ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

- თავდაცვის სამინისტროს „კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება“ (29 04 02) ქვეპროგრამის გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტის საწყისი კანონით 7.2 მლნ ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის კანონში 10 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით ქვეპროგრამის დაფინანსება 11.2 მლნ ლარამდე გაიზარდა (55.3%-ით), ხოლო ფაქტობრივად ათვისებულმა თანხამ 8.5 მლნ ლარი, საბოლოო დამტკიცებული გეგმის 75.7% შეადგინა. უწყების განმარტებით, არ განხორციელდა სხვადასხვა კავშირგაბმულობის აპარატურის შესყიდვა. აღსანიშნავია, რომ მოცემული ქვეპროგრამა დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა 2024 წელსაც.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანდაფინანსების პროექტი“ (31 05 10) წლიურმა ფაქტობრივმა ხარჯმა 5.5 მლნ ლარი (გეგმის 54.8%) შეადგინა. უწყების განმარტებით, ათვისებლობის მიზეზია ბენეფიციართა დაბალი აქტივობა. ანალოგიური მიზეზით დაბალი ათვისებით ხასიათდება „ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ (31 05 13) ქვეპროგრამა, რომლის დამტკიცებულმა გეგმამ 1 მლნ ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 86.2 ათასი ლარი შეადგინა (გეგმის 8.6%). ამ ქვეპროგრამების ათვისების მაჩვენებელი დაბალი იყო გასულ წლებშიც.

ასევე, დაბალი ათვისებით ხასიათდება „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ (31 05 20) ქვეპროგრამა, რომლის დამტკიცებული გეგმა 8 მლნ ლარის, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი 2.7 მლნ ლარის ტოლია (გეგმის 33.7%). აღნიშნული პროგრამა დაიწყო 2024 წლის ბოლოს და ითვალისწინებდა სათბურის მოწყობის 18 თვიან პერიოდს, შესაბამისად, საანგარიშგებო წელს ვერ მოესწრო თანხის სრულად ათვისება. უწყების განმარტებით, დაგეგმვის ეტაპზე „ნავარაუდები იყო, რომ სათბურების მშენებლობა/მოწყობა არის შედარებით სწრაფად შესასრულებელი და ბენეფიციარების უმრავლესობას არ დასჭირდებოდა ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული ვადის სრულად გამოყენება“.

- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ქვეპროგრამაზე „ა(ა)იპ - აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა“ (32 01 07) სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გამოყოფილმა თანხამ 2 მლნ ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 634 ათასი ლარი შეადგინა (დამტკიცებული გეგმის 32%). უწყების განმარტებით, სკოლაში სასწავლო პროცესი არ დაწყებულა, შესაბამისად ვერ მოხერხდა ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული თანხის ათვისება. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მიზეზით ქვეპროგრამა დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა 2024 წელსაც.

დანართი 3. საინვესტიციო პროექტების მართვა - მაგალითები

2024-2025 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონებით განსაზღვრული გეგმების მიმართ დაბალი ათვისების მქონე საინვესტიციო პროექტები.

პროექტის დასახელება	2024 წლის ათვისება	2025 წლის ათვისება
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01)	49.3%	12.0%
შენობებში მწვანე ინვესტიციების პროექტი (EBRD) (25 06 01 04 01)	20.0%	20.7%
ქუთაისის წყალარინების პროექტი (EIB, EPTATF) (25 04 05)	5.2%	36.0%
მდგრადი ურბანული მობილობა (KfW) (57 14 05)	51.7%	41.1%
საქართველოს მთიან რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება (E5P, NEFCO) (25 06 01 05)	76.1%	43.2%
საქართველო-ზემო სამგორის ირიგაციის პროექტი (EIB) (31 06 04 02)	31.1%	57.7%
ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08)	53.2%	66.7%
კლიმატკონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი (ADB) (31 06 04 01)	2.9%	73.6%
პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (26 02 03)	78.1%	74.4%
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB) (25 02 02 10)	57.2%	77.2%

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე დაბალი ათვისების მქონე საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები (ათასი ლარი). მონაცემები დალაგებულია ათვისების მაჩვენებლის ზრდადობის მიხედვით.²³³

პროექტის დასახელება	ბიუჯეტის კანონი - გეგმა (1)	ფაქტი (2)	(2) / (1) %
მწვანე და ინკლუზიური რეგიონული კარიბჭის განვითარება (ADB) (24 06 05 03)	1,000	0	0.0%
თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (EBRD) (57 14 02 02)	1,500	65	4.4%
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01)	60,000	7,221	12.0%
ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB) (25 02 03 11)	31,305	4,260	13.6%
პროფესიული განათლება I (KfW) (32 10)	6,600	1,134	17.2%
შენობებში მწვანე ინვესტიციების პროექტი (EBRD) (25 06 01 04 01)	500	103	20.7%
საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB) (27 04 02)	3,000	649	21.6%

²³³ გეგმასთან შესადარისობის მიზნით ფაქტობრივი მაჩვენებელი არ მოიცავს მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვების ფარგლებში დაზუსტებული გეგმის ზევით განხორციელებულ გადახდებს ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა (EIB) (25 02 03 10)	12,575	2,872	22.8%
შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB) (24 14 02)	25,000	6,479	25.9%
ქუთაისის წყალარინების პროექტი (EIB, EPTATF) (25 04 05)	3,925	1,414	36.0%
მდგრადი ურბანული მობილობა (KfW) (57 14 05)	11,000	4,526	41.1%
საქართველოს მთიან რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება (E5P, NEFCO) (25 06 01 05)	15,505	6,694	43.2%
საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი (AFD) (31 06 04 03)	650	305	47.0%
მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) - MEPA (KfW) (25 05 03 02)	27,955	12,273	43.9%
საქართველო-ზემო სამგორის ირიგაციის პროექტი (EIB) (31 06 04 02)	800	462	57.7%
500 კვ ეგზ ჯვარი-წყალტუბო (WB) (24 14 01 03)	11,094	6,485	58.5%
ბაკურიანის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების პროგრამა (EBRD) (25 03 06)	300	182	60.6%
საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB) (26 08 - 31 06 03)	31,900	19,708	61.8%
რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (25 03 03)	8,300	5,470	65.9%
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჯინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 07)	17,100	11,330	66.3%
რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) (25 03 04)	5,000	3,324	66.5%
კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 01 05)	12,402	8,250	66.5%
ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08)	37,000	24,690	66.7%
საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (ADB, AFD, EIB) (31 06 04)	7,600	5,185	68.2%
გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW) (24 14 01 04)	15,302	10,516	68.7%
კლიმატონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი (ADB) (31 06 04 01)	6,000	4,419	73.6%
პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (26 02 03)	44,000	32,724	74.4%
სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EU) (25 02 03 02)	154,500	116,071	75.1%
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (25 03 01)	67,274	50,753	75.4%
პროექტი Log-In Georgia (WB, EIB) (24 08 03)	45,100	34,154	75.7%
დარგობრივი სესხი განათლების სექტორისთვის (ADB) (32 11)	7,500	5,729	76.4%
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB) (25 02 02 10)	37,500	28,956	77.2%

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებით 120%-ზე მაღალი ათვისების მქონე საინვესტიციო პროექტები (ათასი ლარი). მონაცემები დალაგებულია ათვისების მაჩვენებლის ზრდადობის მიხედვით.²³⁴

პროექტის დასახელება	ბიუჯეტის კანონი - გეგმა (1)	ფაქტი (2)	(2) / (1) %
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეით-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა (ADB, EBRD) (25 02 03 05)	175,180	212,126	121.1%
ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB, AIIB) (25 02 03 13)	9,890	12,016	121.5%
ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB) (25 04 01)	23,950	29,448	123.0%
განახლებული რეგიონების პროგრამა (25 03 02)	22,501	29,923	133.0%
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის უბისა-შორაპნის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB) (25 02 03 15)	36,885	49,624	134.5%
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის მონაკვეთის მშენებლობა (ADB) (25 02 03 17)	655	905	138.1%
საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 06 01 01)	27,050	39,151	144.7%
ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 09)	35,000	58,388	166.8%
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ხევი-უბისის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (ADB, EIB) (25 02 03 14)	14,225	25,571	179.8%
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიაური-რიკოთი) (EIB, WB) (25 02 03 01)	41,182	83,458	202.7%
ენერგოეფექტურობის ღია პროგრამა (საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის პროგრამა) (KfW) (25 06 01 04 02)	500	1,803	360.6%
2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მხარდამჭერი ღონისძიებები (25 03 07)	1,000	3,835	383.5%

1. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის მიმდინარეობისას მისი მასშტაბის ზრდა ან დიზაინის ცვლილება, რაც იწვევს დაგეგმილი ეტაპებისა თუ სამუშაოების დროში გადაწევას. ასევე, წინასწარ განსაზღვრული აქტივობების, მათ შორის, ადამიანური რესურსის მობილიზების ან ნებართვების მოპოვების დროში გაჭიანურება, რაც ხელს უშლის პროექტების დაგეგმილ ვადებში განხორციელებას.

- კლიმატკონიერული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი (ADB) (31 06 04 01) (გეგმა 6 მლნ ლარი, ფაქტი 4 მლნ ლარი (გეგმის 74%)) - ადამიანური რესურსების დროულად მობილიზების შეფერხების გამო დროში გადაიწია დაგეგმილმა აქტივობებმა. შერჩეულია საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია საპროექტო/საზედამხედველო სამუშაოსთვის და მიმდინარეობს პროცედურები ხელშეკრულების გასაფორმებლად. ასევე, შეიცვალა პროექტით განსაზღვრული

²³⁴ გეგმასთან შესადარისობის მიზნით ფაქტობრივი მაჩვენებელი არ მოიცავს მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვების ფარგლებში დაზუსტებული გეგმის ზევით განხორციელებულ გადახდებს ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

თავდაპირველი არეალი, რამაც განაპირობა საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება და ასევე, დროში გადაავადა დაგეგმილი სამუშაოები;

- *500 კვ ევზ ჯვარი-წყალტუბო (WB) (24 14 01 03) (გეგმა 11 მლნ ლარი, ფაქტი 6 მლნ ლარი (გეგმის 58%))* - მოსახლეობასთან და მუნიციპალიტეტთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა ევზ-ს მეორე ნაწილის მარშრუტის ცვლილება, რამაც გამოიწვია საპროექტო სამუშაოების თავიდან ჩატარების აუცილებლობა. შესაბამისად, 2025 წლის ზაფხულში კონტრაქტორმა კომპანიამ დაიწყო მოცემული სექციის ახალი მარშრუტის შესწავლა და საპროექტო სამუშაოები. ამავე წლის სექტემბერში, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ და კონტრაქტორმა დაასრულეს მოლაპარაკება ხელშეკრულების ცვლილებაზე, რომელიც მოიცავდა მარშრუტის საპროექტო საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელებულ ცვლილებებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასის კორექტირების კომპონენტსა და პროექტის დასრულების ვადის გახანგრძლივებას.

2. ტენდერის ჩაშლა ან შეწყვეტა, რაც ქმნის მისი ხელახალი გამოცხადების საჭიროებას და აფერხებს სამუშაოების დროულად დაწყებას. ასევე, კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამუშაოების არაჯეროვანი შესრულება, მათ შორის, სამუშაოების დაგვიანებით ან ხარვეზებით განხორციელება, რაც ზოგჯერ კონტრაქტის შეწყვეტით სრულდება.

- *სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01) (გეგმა 60 მლნ ლარი, ფაქტი 7 მლნ ლარი (გეგმის 12%))* - დაბალი ათვისების გამოწვევი მიზეზებია: ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულება (მათ შორის, შეწყვეტა, არშედეგობა), დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა/არ განხორციელება, სამშენებლო ობიექტის/არსებული ინფრასტრუქტურის გაუთვალისწინებელი ფაქტორები/არასრულყოფილი დოკუმენტაცია, პროექტის დაგვიანებული ინიცირება/დაწყება, ბაზრის კვლევის უშედეგოდ დასრულება. აღნიშნული პროგრამა 2023-2024 წლებშიც დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა;
- *თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჯინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 07) (გეგმა 17 მლნ ლარი, ფაქტი 11 მლნ ლარი (გეგმის 66%))* - კონტრაქტორ კომპანიას არ აუნაზღაურდა დეფექტებით შესრულებული სამუშაოების ღირებულება. ასევე, არ მოხდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული (ე.წ. Retention money) თანხის დაბრუნება;
- *ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08) (გეგმა 37 მლნ ლარი, ფაქტი 25 მლნ ლარი (გეგმის 67%))* - კონტრაქტორმა კომპანიამ ვერ უზრუნველყო სამშენებლო სამუშაოების სათანადო ტემპებით წარმოება. კერძოდ, ვერ მოახდინა საჭირო მანქანა-დანადგარებისა და პერსონალის დროულად მობილიზება, რამაც გამოიწვია გარკვეული სამუშაოების შეფერხებით განხორციელება.

3. მოლაპარაკებები, რაც უკავშირდება კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამუშაოების ღირებულების გაზრდის მოთხოვნას ან/და ხელშეკრულების/კონტრაქტის საბოლოო ვარიანტისა თუ სატენდერო პირობების შეთანხმებას.

- *შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB) (24 14 02) (გეგმა 25 მლნ ლარი, ფაქტი 6 მლნ ლარი (გეგმის 26%))* - 2025 წელს დაგეგმილი იყო ხელშეკრულების გაფორმება საქართველო სახელმწიფო ელექტროსისტემისა და საკონსულტაციო კომპანიას შორის კვლევის დიზაინის, შესყიდვის და ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის თაობაზე. ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესის გაჭიანურება გამოიწვია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების პროცედურებმა. საბოლოოდ კონტრაქტი გაფორმდა 2026 წლის დასაწყისში;
- *გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW) (24 14 01 04) (გეგმა 15 მლნ ლარი, ფაქტი 12 მლნ ლარი (გეგმის 77%))* - ოზურგეთის ქვესადგურის მშენებლობის პროექტი შეჩერებულია კონტრაქტის ღირებულების გაზრდის თაობაზე კონტრაქტორ კომპანიასთან მიმდინარე მოლაპარაკებების გამო. ღირებულების გაზრდა მოთხოვნილია მასალა-მოწყობილობების ღირებულების გაზრდის საფუძველზე. ამასთან, 2025 წლის გაზაფხულზე აღმოჩენილმა დაზიანებებმა დასრულებულ ანძებზე და მათი აღმოფხვრის პროცესებმა გამოიწვია გურიის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის პროექტის ვადის გახანგრძლივება 2026 წლის 31 აგვისტომდე. დაზიანების

<p>იდენტიფიცირება მოხდა ხაზის ჩაბარებამდე, ზიანის აღმოფხვრის, ანძების დემონტაჟის, ახალი ანძების მონტაჟის და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება დაეკისრა კონტრაქტორ სამშენებლო კომპანიას.</p>
<p>4. რთულ გეოლოგიურ რელიეფზე სამუშაოების მიმდინარეობისას მეწყრული პროცესების განვითარება, რაც სამუშაოების მიმდინარეობას უშლის ხელს. ასევე, არასათანადო კლიმატური პირობები, რაც აფერხებს სამუშაოების დროულ განხორციელებას.</p>
<ul style="list-style-type: none"> • შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB) (25 02 02 10) (გეგმა 38 მლნ ლარი, ფაქტი 29 მლნ ლარი (გეგმის 77%)) - გზის მონაკვეთი მდებარეობს რთულ გეოლოგიურ მთიან რელიეფურ რეგიონში. პროექტის განხორციელების პროცესში გზის გარკვეულ მონაკვეთებზე განვითარდა მეწყრული პროცესები, რამაც შეაფერხა სამუშაოების მიმდინარეობა; • რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (25 03 03) (WB) (გეგმა 8.3 მლნ ლარი, ფაქტი 5.5 მლნ ლარი (გეგმის 66%)) - აღნიშნული პროგრამული კოდით განსაზღვრულია სხვადასხვა პროექტების განხორციელება. შესაბამისად, ზოგიერთ პროექტზე განხორციელდა დამატებითი სამუშაოები, ზოგიერთზე გადავადდა სამუშაოების შესრულების ვადები (მათ შორის კლიმატური პირობებით გამოწვეული შეფერხებებით). ასევე, ერთ-ერთ პროექტზე კონტრაქტის შეწყვეტის გამო ვერ მოხდა დაგეგმილის შესაბამისად თანხების ათვისება.
<p>5. საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე გამოყოფილი ბიუჯეტის გადაჭარბებით ათვისების გამოძვევი ხშირი მიზეზებია პროექტების მიმდინარეობისას დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა ან/და მომწოდებლის მიერ სამუშაოების მოსალოდნელზე მაღალი ტემპით წარმოება, რაც გამოწვეულია მათ მიერ დამატებითი პერსონალისა და საჭირო მასალა-დანადგარების მობილიზებით.</p>
<ul style="list-style-type: none"> • ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 09) (გეგმა 35 მლნ ლარი, ფაქტი 58 მლნ ლარი (გეგმის 167%)) - კონტრაქტორმა კომპანიამ სამშენებლო სამუშაოები მაღალი ტემპით აწარმოა. კერძოდ, მობილიზდა დამატებითი პერსონალი, საჭირო მასალა-დანადგარები, რამაც განაპირობა გამოყოფილი ასიგნებების გადაჭარბებით ათვისება; • აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიაური-რიკოთი) (EIB, WB) (25 02 03 01) (გეგმა 41 მლნ ლარი, ფაქტი 83 მლნ ლარი (გეგმის 203%)) - კონტრაქტორმა კომპანიამ განახორციელა დამატებითი სამუშაოები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული თავდაპირველ პროექტში. ასევე, კონტრაქტორმა შეძლო სამუშაოების ტემპის გაზრდა; • თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (ADB) (25 02 03 04) (გეგმა 20 მლნ ლარი, ფაქტი 29 მლნ ლარი (გეგმის 147%)) - კონტრაქტორმა კომპანიამ განახორციელა დამატებითი სამუშაოები. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაკავებული თანხა დაუბრუნდა კონტრაქტორს.

2025 წელს დაბალი ათვისების მქონე სესხების ათვისებელ ნაწილზე გადახდილი ვალდებულების გადასახადი.

ხელშეკრულების ნომერი/ ვალუტა	ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების თანხა (კრედიტის ვალუტაში - მლნ)	ჯამურად ჩამორიცხული თანხა 2025 წლის ბოლოს (კრედიტის ვალუტაში - მლნ)	2025 წელს გადახდილი ვალდებულების გადასახადი (მლნ ლარი)	კრედიტით დაფინანსებული პროექტ(ებ)ი	კრედიტით დაფინანსებული პროექტები 2023		კრედიტით დაფინანსებული პროექტები 2024		კრედიტით დაფინანსებული პროექტები 2025	
						ფაქტი (მლნ ლარი)	შესრულება (%)	ფაქტი (მლნ ლარი)	შესრულება (%)	ფაქტი (მლნ ლარი)	შესრულება (%)
KFW_JVARI_II (EUR)	13.04.2017	125	61.9	0.5	500 კვ ევხ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW) (24 14 01 01)	65.2	815%	17.1	49%	4.0	67%
					„ჩრდილოეთის რგოლი“ (EBRD), „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ (EU-NIF, EBRD, KfW) (24 14 01 02)	0.8	8%	1.7	16%	2.4	100%
					გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW) (24 14 01 04)	13.0	65%	13.6	86%	3.8	36%
					ხელედულა-ლაჯანური-ონი (EU-NIF,KfW) (24 14 01 06)	6.0	60%	3.8	29%	7.5	84%
KFW_SOLIDWASTE (EUR)	27.10.2017	30	13.6	0.2	მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (KfW) (25 05 03)	9.3	46%	10.8	98%	11.7	50%
EBRD_ENGURI_4 (EUR)	05.01.2018	66	38.8	0.4	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EBRD, EIB) (24 19)	8.3	166%	2.1	42%	1.3	89%
KFW_EDUCATION (EUR)	14.06.2019	20	5.8	0.1	პროფესიული განათლების პროგრამა 1 (KfW) (32 10)	1.7	17%	15.3	-	-	0%

KFW_ENERGY (EUR)	14.06.2019	100	5.6	0.8	კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 01 05)	4.8	96%	2.7	82%	3.8	48%
EBRD_POWER_GRID (EUR)	28.07.2020	35	5.0	0.5	„ჩრდილოეთის რგოლი“ (EBRD), „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ (EU-NIF, EBRD, KfW) (24 14 01 02)	0.8	8%	1.7	16%	2.4	100%
KFW_TOURISM (EUR)	07.08.2020	130	29.2	0.9	იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW) (25 04 03)	2.7	9%	28.9	107%	53.1	103%
EBRD_GREEN_INV (EUR)	18.03.2022	40	0.2	0.3	შენობებში მწვანე ინვესტიციების პროექტი (EBRD)	-	0%	-	0%	-	0%
KFW_ENEFFICIENCY (EUR)	29.06.2022	40	-	0.3	ენერგოეფექტურობის ღია პროგრამა (საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის პროგრამა) (KfW)	-	0%	-	0%	-	0%
KFW_URBAN (EUR)	13.09.2022	47	2.1	0.4	მდგრადი ურბანული მობილობა (KfW) (57 14 05)	1.5	155%	1.7	208%	3.0	60%
KFW-V-BATUMI (EUR)	07.12.2022	53	4.3	0.4	ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V) (KfW) (57 14 08)	0.5	65%	1.5	15%	10.9	115%

დანართი 4. პროგრამული ბიუჯეტირება - მაგალითები

<p>1. პროგრამების ფარგლებში შემუშავებული ინდიკატორების ნაწილისთვის შეუძლებელია 2025 წელს მიღწეული შედეგების შედარება მიზნობრივ მაჩვენებლებთან, ვინაიდან აღნიშნული პროგრამები არაა წარმოდგენილი ქვეპროგრამების დონეზე, ამასთან არ ხდება მიმდინარე და მომდევნო წლების მიზნობრივი მაჩვენებლების გამიჯვნა:</p>
<ul style="list-style-type: none">• ინფრასტრუქტურის სამინისტროს „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (25 04) პროგრამის სამიზნე მაჩვენებლებია რეაბილიტირებული-აშენებული წყალმომარაგების სისტემების რაოდენობა - „რეაბილიტირებული-მოწყობილი: წყალმომარაგების სისტემა - 41; წყალმომარაგების ქსელი - 4; წყალმომარაგების მაგისტრალური მილი - 4; სერვის-ცენტრის შენობა - 6. აშენებული: სათავე ნაგებობა - 4; გამწმენდი ნაგებობა - 3; სერვის-ცენტრის შენობა - 5“. პროგრამა არაა წარმოდგენილი ქვეპროგრამების დონეზე, ამასთან არაა განსაზღვრული 2025 წელს მისაღწევი კონკრეტული მიზნობრივი მაჩვენებელი. შესაბამისად, ვერ ხერხდება საანგარიშო წელს მიღწეული მაჩვენებლების შედარება დაგეგმილთან;• შინაგან საქმეთა სამინისტროს „საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება“ (30 01) პროგრამა არ არის წარმოდგენილი ქვეპროგრამების დონეზე და მიზნობრივი მაჩვენებლები არაა დაყოფილი წლების მიხედვით. მაგალითად, აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი ინდიკატორია „სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ავტოპარკის და ინფრასტრუქტურის განახლების მაჩვენებელი“, ხოლო მიზნობრივ ნიშნულად განსაზღვრულია „20%-ით განახლებული სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 8%-ით განახლებული ავტოპარკი; 28%-ით რეაბილიტირებული სამინისტროს ინფრასტრუქტურა, აშენებული დამატებით 8 შენობა“. ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა პერიოდში უნდა განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიებები, წარმოდგენილი არაა. შესაბამისად, 2025 წლისთვის მისაღწევი მიზნობრივი მაჩვენებლების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება;• გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის „მევენახეობა-მელვინეობის განვითარება“ (31 03) პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული 4 მიზნობრივი მაჩვენებელი წარმოდგენილია საშუალოვადიანი (4 წლიანი) პერიოდისთვის. პროგრამა არაა ჩაშლილი ქვეპროგრამებად და არც კონკრეტულ წელს მისაღწევი მაჩვენებლებია მოცემული. შესაბამისად, ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ვერ ხერხდება საანგარიშო პერიოდში მისაღწევი შედეგების შესახებ ინფორმაციის იდენტიფიცირება.
<p>2. ზოგიერთ შემთხვევაში ქვეპროგრამის შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები გამოიყენება პროგრამის საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორებად:</p>
<ul style="list-style-type: none">• ჯანდაცვის სამინისტროს „მოსახლეობის სოციალური დაცვა“ (27 02) პროგრამის საბოლოო შედეგების ინდიკატორებად წარმოდგენილია მისი შემადგენელი ქვეპროგრამების შუალედური შედეგების ინდიკატორები, რომლებიც ძირითადად ეხება პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობას (საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა, სოციალური სერვისების მიმღებთა რაოდენობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა). გარდა ამისა, „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ (27 03) პროგრამის საბოლოო შედეგი „მოსახლეობის სამედიცინო სერვისებით უნივერსალური მოცვა“ მისივე ქვეპროგრამის „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ (27 03 01) დაგეგმილი შუალედური შედეგის იდენტურია, ხოლო

მიღწეულ შედეგებად წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეპროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგები;

- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (32 07) პროგრამის საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორებად წარმოდგენილია ახალაშენებული/რეაბილიტირებული სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო და სამინისტროს სისტემაში შემავალი შენობების რაოდენობა, რაც თავის მხრივ, მისი 4 ქვეპროგრამის შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორებია.

3. ზოგიერთ შემთხვევაში პროგრამები/ქვეპროგრამები საჭიროებენ დამატებით ინდიკატორს, რათა სრულყოფილად იქნეს შეფასებული მიღწეული საბოლოო/შუალედური შედეგები:

- ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (25 02) პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორია „საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის/მშენებლობის/მოვლა-შენახვის მაჩვენებელი“, რომელიც მოიცავს რეაბილიტირებული გზის სიგრძისა და რეკონსტრუირებულ-აშენებული ობიექტების რაოდენობას. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით, ინფრასტრუქტურული/კაპიტალური პროექტების საბოლოო შედეგი არის ის ეფექტი, რასაც პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული/აშენებული ინფრასტრუქტურული ობიექტები მოიტანენ, ხოლო ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების შუალედურ შედეგს წარმოადგენს. შესაბამისად, წარმოდგენილი ინდიკატორი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორია. გარდა ამისა, პროგრამის საბოლოო შედეგებად წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლები: „საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით, მგზავრთა გაუმჯობესებული უსაფრთხოება, კომფორტული და შეუფერხებელი გადაადგილება, ავტოტრანსპორტით შემცირებული მგზავრობის დრო და სატრანსპორტო დანახარჯები და ა.შ.“ ყოველივე აღნიშნულის შეფასება ზემოაღნიშნული რაოდენობრივი ინდიკატორით შეუძლებელია;
- ჯანდაცვის სამინისტროს „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა“ (27 03 03 07) ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ინდიკატორებად წარმოდგენილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებათა და სოფლის ექიმთან ვიზიტების რაოდენობის მაჩვენებლები, ასევე სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე. მხოლოდ გამოძახებათა რაოდენობის შეფასება არ არის საკმარისი ქვეპროგრამის გამართული და ეფექტური ფუნქციონირების შესაფასებლად. ამ კუთხით შესაძლებელია სხვა ტიპის ინდიკატორის დამატება, რომელიც მაგალითად გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შესახებ შეტყობინებების მიღების, დამუშავების და მათზე რეაგირებისათვის შესაბამისი სუბიექტებისათვის ინფორმაციის/სერვისის დროულ მიწოდებას შეაფასებს;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ერთიანი აგროპროექტი“ (31 05) პროგრამა წარმოდგენილია 8 საბოლოო შედეგით, რომელთა შორისაა „შელავათიანი აგროკრედიტების გაზრდილი ხელმისაწვდომობა, განვითარებული აგროდაზღვევა, ფერმერებისთვის შემცირებული რისკები და შენარჩუნებული შემოსავლები, მოწყობილი მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობები, განვითარებული მაღალი ხარისხის ჩაის წარმოება, პროექტების ბენეფიციარების მიერ დანერგილი თანამედროვე სტანდარტები და ა.შ.“ თუმცა

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორად წარმოდგენილია ინფორმაცია გაცემული/მომსახურებული სესხების, დაზღვეული მიწის ფართობის, გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ხარისხობრივი შედეგების შეფასებას.

4. გარკვეული პროგრამების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ სამიზნე მაჩვენებლებს შორის არსებულ განსხვავებებზე, ან მოცემული განმარტება ზოგადი ხასიათისაა და შეუძლებელია დადგინდეს თუ რა იყო გადახრის გამომწვევი მიზეზი:

- ინფრასტრუქტურის სამინისტროს „ჩქაროსნული ავტომანქანების მშენებლობა“ (25 02 03) ქვეპროგრამის შუალედური შედეგის მიზნობრივი მაჩვენებლის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო 88 კმ საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, რეკონსტრუქციული-აშენებული საავტომობილო გზის სიგრძე 16.8 კმ-ს შეადგენს. სამიზნე მაჩვენებლიდან გადახრის შესახებ განმარტება ანგარიშში მოცემული არ არის;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „მევენახეობა-მელვინეობის განვითარება“ (31 03) პროგრამის ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებლების მიხედვით იგეგმებოდა 20-მდე გამოფენისა და 180-მდე დეგუსტაციის მოწყობა. აღნიშნული მიზნობრივი მაჩვენებლები, შესაბამისად, 190%-იანი და 78.9%-იანი გადაჭარბებით შესრულდა. მიუხედავად ცდომილების მასშტაბისა, გამომწვევი მიზეზების შესახებ განმარტება წარმოდგენილი არ არის;
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა“ (32 02 15) ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმებოდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 30 მონიტორინგის განხორციელება, თუმცა 2025 წლის განმავლობაში მონიტორინგი საერთოდ არ განხორციელებულა. უწყების მიერ წარმოდგენილი განმარტებით, დაიწყო მონიტორინგისთვის მოსამზადებელი სამუშაოები, რაც დროში გახანგრძლივდა და ვერ მოესწრო მონიტორინგის დაწყება. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე ქვეპროგრამის კიდევ ერთი ინდიკატორის შემთხვევაში, სადაც იგეგმებოდა ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით 100 ტრენერის გადამზადება, თუმცა აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულის მოდიფიცირებული ვერსიის დამტკიცება ვერ მოესწრო საანგარიშო პერიოდში, რამაც განაპირობა აღნიშნული აქტივობის შეუსრულებლობა.

დანართი 5. რესტრუქტურიზებული სესხების სია

საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული რესტრუქტურიზებული სესხების სია (31.12.2025 მდგომარეობით).

N	ბენეფიციარი	პროექტის დასახელება	ვალის ნაშთი 2025 წლის ბოლოს (მლნ ლარი)	პირველი გადახდის თარიღი	ბოლო გადახდის თარიღი
1	ბათუმის მერია	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, IV ფაზა - რესტრუქტურირებული ნაწილი I	9.1	30.12.2022	30.12.2026
2	ბათუმის მერია	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - ფაზა III (წყალი) - რესტრუქტურირებული ნაწილი II	2.8	30.12.2026	30.12.2026
3	ბათუმის მერია	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია , IV ფაზა - რესტრუქტურირებული ნაწილი II	4.5	30.12.2028	30.12.2028
4	სს „სახელმწიფო ელექტროსისტემა“	შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი_ KFW (რესტრუქტურირებული)	81.5	13.12.2023	13.12.2027
5	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროექტთან დაკავშირებით- რესტრუქტურირებული ნაწილი	3.4	10.04.2026	12.10.2036
6	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროექტთან დაკავშირებით- რესტრუქტურირებული ნაწილი	1.7	12.04.2036	12.10.2036
7	შპს „ენგურჰესი“	ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავალიანების მოსახურების შესახებ - რესტრუქტურირებული	15.6	25.10.2020	25.10.2029
8	შპს „ენგურჰესი“	ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია - რესტრუქტურირებული	26.5	25.11.2020	25.11.2030
9	შპს „ენგურჰესი“	ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავალიანების მოსახურების შესახებ - რესტრუქტურირებული II	3.9	25.06.2029	25.10.2029

10	შპს „ენგურჰესი“	ვარდნილის და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია - რესტრუქტურირებული ნაწილი	14.6	20.04.2030	20.04.2035
11	შპს „ენგურჰესი“	ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია - რესტრუქტურირებული ნაწილი	15.9	25.05.2031	25.11.2033
12	შპს „ენგურჰესი“	ვარდნილის და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია - რესტრუქტურირებული ნაწილი II	5.7	20.04.2032	20.04.2035
13	შპს „ენგურჰესი“	ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია - რესტრუქტურირებული ნაწილი II	5.3	25.05.2033	25.11.2033
14	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა II - რესტრუქტურირებული ნაწილი II	13.7	15.03.2026	15.03.2030
15	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა V - რესტრუქტურირებული ნაწილი	17.0	15.03.2026	15.03.2030
16	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი - რესტრუქტურირებული ნაწილი II	12.4	20.04.2026	22.04.2030
17	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა III - რესტრუქტურირებული ნაწილი	47.4	15.05.2026	15.11.2028
18	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა III - რესტრუქტურირებული ნაწილი	47.4	15.05.2026	15.11.2028
19	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა I - რესტრუქტურირებული ნაწილი II	22.2	15.07.2026	15.01.2030
20	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	წყლის ინფრასტრუქტურის განახლების II პროექტი - რესტრუქტურირებული ნაწილი	7.5	20.07.2026	21.01.2030
21	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმისათვის (ტრანშები „A“ და „B“) რესტრუქტურირებული ნაწილი	38.6	17.05.2027	15.05.2030

22	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა V - რესტრუქტურირებული ნაწილი	17.0	15.09.2027	15.03.2030
23	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა I - რესტრუქტურირებული ნაწილი	30.5	15.07.2028	15.01.2031
24	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა II - რესტრუქტურირებული ნაწილი	15.4	15.03.2029	15.09.2031
25	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი - რესტრუქტურირებული ნაწილი	12.4	20.04.2033	20.04.2039
26	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	წყლის ინფრასტრუქტურის განახლების II პროექტი - რესტრუქტურირებული ნაწილი	8.7	20.01.2037	20.07.2039
27	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა IV - რესტრუქტურირებული ნაწილი	12.7	01.06.2042	01.12.2044
სულ			493.4		

დანართი 6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში 2022-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების შესახებ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

N	რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	სტატუსი	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომენტარი
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენებაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა					
1	მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით მობილიზებული საკრედიტო რესურსის ერთგვაროვანი სააღრიცხვო მიდგომა შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.	2026 წელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებული	ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა 2026 წლიდან ხორციელდება ერთგვაროვანი მიდგომით, დარიცხვის პრინციპზე დაყრდნობით.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენებაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა					
1	მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში ერთმანეთისგან გამიჯნულად იქნეს გაანალიზებული კორპორაციათა სექტორად და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებულ სახელმწიფო საწარმოებიდან მომდინარე ფისკალური რისკები.	2024 წელი, IV კვ.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებული	
2	სამთავრობო სექტორს მიკუთვნებულ საწარმოთა ფინანსური მაჩვენებლები და შესაბამისი რისკები გაანალიზებული იქნეს მთავრობის ვალსა და ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტზე ზემოქმედების კონტექსტში, მათ შორის, „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტში.	2024 წელი, IV კვ.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შეუსრულებელი	დაგეგმილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის N46 ბრძანებით დამტკიცებულ სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების ანგარიშგების ფორმებში ცვლილება და ამ საწარმოების ვალის შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენის ვალდებულების ასახვა. „ვალის მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტში არასრულფასოვნად ხდება

					სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების ვალთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა.
3	მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემიდან მომდინარე პოტენციური რისკების შესახებ.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შეუსრულებელი	ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებ-გვერდზე. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს მიერ არ იგეგმება აღნიშნული მიმართულებით დამატებითი ანალიზის განხორციელება.
4	მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული სსიპ/ა(ა)იპ-ების ფინანსური რესურსების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის ფლობას.	2024 წელი, IV კვ.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებული	საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N916 ბრძანებაში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილება 2024 წლის 25 დეკემბრის N422 ბრძანებით.
5	მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის სსიპ/ა(ა)იპ-ების ნაერთი ბალანსის დოკუმენტში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ინდივიდუალური სსიპ/ა(ა)იპ-ის მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ, მათი ფორმირების წყაროების მიხედვით.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შეუსრულებელი	ფინანსთა სამინისტრო არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენებაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა					
1	მნიშვნელოვანია, მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის რეფორმის შემდგომ ეტაპზე დარეგულირებულ იქნეს სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ სესხის	2024 წელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შეუსრულებელი	რეკომენდაციის შესრულების კუთხით შესაბამისი ქმედებები არ განხორციელებულა.

	აღების უფლებამოსილების საკითხი და ამ პროცესში, ფინანსთა სამინისტროს, როგორც მაკოორდინირებელი უწყების ჩართულობა.				
2	საბიუჯეტო რესურსიდან გაცემული სესხების რეესტრის სრულფასოვანი წარმოებისთვის, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ხაზინის ინფორმირებულობას ბიუჯეტიდან სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შეუსრულებელი	ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით არსებული მექანიზმებით სახელმწიფო ხაზინა სრულად იღებს ინფორმაციას საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან გაცემულ სესხებზე.
3	მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიაში წარმოდგენილი მიმართულებების საბიუჯეტო პროცესში უკეთ ინტეგრირებისთვის, მიზანშეწონილია, სტრატეგიის განახლება განხორციელდეს შემდგომი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარდგენამდე.	2024 წელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებული	მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2025-2029 წლებისთვის მომზადდა საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტების მომზადების პარალელურად (საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის განკარგულება N 1096).
4	მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის ხარისხობრივი გაუმჯობესებისთვის, მიზანშეწონილია, დოკუმენტის შემდგომი განახლების პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი საკითხები: <ul style="list-style-type: none"> • დოკუმენტში წარმოდგენილი მიმართულებები და მიზნობრივი ნიშნულები თანხვედრაში იყოს დოკუმენტის არეალსა და მიზნებთან; • სტრატეგია მოიცავდეს ვალის მომსახურების ხარჯების შეფასების ინდიკატორ(ებ)ს და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების პოტენციური გავლენის შეფასებას ამ ინდიკატორ(ებ)ზე. 	2024 წელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებული	2025-2029 წლებისთვის მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიას ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად დაემატა ვალის მომსახურების ხარჯების შეფასების ინდიკატორი (საპროცენტო ხარჯი/მშპ), რომლის ტრაექტორია და ზღვრული მნიშვნელობა ასევე წარმოდგენილია სტრატეგიაში.

დანართი 7. „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგების და ინდიკატორების მიღწევის დამოუკიდებელი ვერიფიკაციის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ძირითადი
მიმართულებით დაგეგმილი შედეგების და ინდიკატორების მიღწევის
დამოუკიდებელი ვერიფიკაციის ანგარიში

თბილისი

2026

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	2
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
DLR-ების შესრულების ვერიფიკაცია.....	4
DLR 1.3.....	4
DLR 3.1.1.....	9
DLR 3.1.2.....	13
DLR 3.2.....	18
რეკომენდაციები.....	22

ტერმინები და შემოკლებები

დასაქმების სააგენტო - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.

პროგრამა - საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა.

სამინისტრო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

შშპ პირი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.

ჯანმრთელობის სააგენტო - სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

ALMP - შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ღონისძიებები.

DLR - პროგრამის ათვისებასთან დაკავშირებული ღონისძიების შედეგი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ (შემდგომ - პროგრამა) ათვისებასთან დაკავშირებული ღონისძიების შედეგების (შემდგომ - DLR) ვერიფიკაციის პროცედურა. პროგრამა მხარდაჭერილია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიერ. პროგრამის ერთ-ერთი განმახორციელებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავდა შემდეგი ოთხი საკითხის: DLR 1.3-ის, DLR 3.1.1-ის, DLR 3.1.2-ის და DLR 3.2-ის შეფასებას.

2022 წლის 30 მარტს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის გაფორმდა სასესხო შეთანხმება - „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2022 წლის 24 მაისს. 2022 წლის 15 ნოემბერს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შორის გაფორმდა ჩარჩო შეთანხმება საკრედიტო რესურსის გამოყოფის თაობაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა 2023 წლის 4 აპრილს. ამასთანავე, 2024 წლის 2 მაისს ეფექტური გახდა „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის 2022 წლის 30 მარტს გაფორმებული სასესხო შეთანხმების (საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა) №1 ცვლილების წერილი-შეთანხმება.¹

პროგრამა მოიცავს განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სექტორებს და მიზნად ისახავს საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის გაზრდას როგორც ფინანსური მექანიზმების, ისე ხარისხისა და ინკლუზიურობის გაძლიერების გზით.

პროგრამა შედგება ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული 4 ინდიკატორის (DLIs) კომპლექტისაგან და მოიცავს 27 DLR-ს, რომელიც განაწილებულია ზემოაღნიშნულ 3 სექტორს შორის. პროგრამის შესაბამისად, სესხის ათვისების ერთ-ერთი წინაპირობაა ათვისებასთან დაკავშირებული 27 ღონისძიების შესრულების დამოწმება ვერიფიკაციის გზით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური პროგრამის 27 ღონისძიებიდან, 14 ღონისძიების ვერიფიკატორია.

ვერიფიკაციის პროცედურები ჩატარებულია პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ვერიფიკაციის პროტოკოლის შესაბამისად, რისთვისაც აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი მეთოდები:

- მარეგულირებელი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- პროგრამის მოსარგებლეების გამოკითხვა;
- ფიზიკური ინსპექტირება;
- გარე მხარეთა დადასტურება;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები.

ვერიფიკაციის პერიოდად განისაზღვრა 2025 წლის 31 დეკემბერი.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად დადასტურდა, რომ „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ფარგლებში:

¹ პროგრამის შეთანხმების რესტრუქტურირება - № P175455 RESTRUCTURING PAPER Report No RE55593.

- **DLR 1.3:** 2026 წლის 31 დეკემბრამდე ან ბანკის მიერ განსაზღვრული შემდგომი თარიღისთვის, ბანკისათვის მისაღები ფორმით მართული შესვლის შეთანხმების მექანიზმით განხორციელდეს ფარმაცევტული მიმწოდებლებისგან საქართველოში შემოტანილი ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური ფარმაცევტული მედიკამენტების, სულ მცირე, 50%-ის შესყიდვა, 2023 წლის კალენდარული წლიდან დაწყებული, ყოველ წელს - **2025 წელს მართული შესვლის შეთანხმების მექანიზმით შესყიდულია საქართველოში შემოტანილი ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური ერთი მედიკამენტი, რაც პოზიტიურ სიაში ახლად წარდგენილი ფარმაცევტული მედიკამენტების 100%-ს შეადგენს.**
- **DLR 3.1.1:** საქართველოს თითოეულ რეგიონში დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისის არსებობა, რომელიც დაკომპლექტებულია სათანადო პერსონალით და აღჭურვილია შესაბამისად - **2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გახსნილია დასაქმების სააგენტოს 2 რეგიონალური ოფისი, აღჭურვილია და დაკომპლექტებულია დადგენილი წესის მიხედვით.**
- **DLR 3.1.2:** დასაქმების სააგენტოს რეგიონალური ოფისების მეშვეობით სოფლად მცხოვრები „სამუშაოს მაძიებლებისთვის დასაქმების მხარდაჭერი სერვისების გაზრდა - **2025 წელს 4,498 ბენეფიციარია რეგისტრირებული სოფლად მცხოვრებ სამუშაოს მაძიებლად.**
- **DLR 3.2:** დასაქმების სააგენტოს შრომის ბაზრის მიმდინარე პროგრამებში (ALMP) ჩართული მოწყვლადი სამუშაოს მაძიებელი პირების რაოდენობის ზრდა - **2025 წელს 12,658 ბენეფიციარი რეგისტრირებულია მოწყვლადი კატეგორიის სამუშაოს მაძიებლად.**

DLR-ების შესრულების ვერიფიკაცია

პროგრამის ათვისებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ვერიფიკაციის პროცედურები განსაზღვრულია პროგრამის შეფასების დოკუმენტით.

DLR 1.3

აღწერა

DLR-ის მიზანია ფარმაცევტულ პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელების მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოს შესყიდვების მართული შესვლის შეთანხმებით (შემდეგომ – MEA) განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს როგორც ერთი წყაროს პატენტით დაცულ ინოვაციურ/ორიგინალურ ფარმაცევტულ პროდუქტზე წვდომას საქართველოში, ასევე შედეგის ეფექტიანობის ზრდას. სამინისტროს მიზანია მართული შესვლის შეთანხმებებით (MEA) შესყიდული ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური/ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული მედიკამენტების პოზიტიურ სიაში ახლად შეყვანილი/წარდგენილი იქნება. საქართველოს მთავრობამ უნდა განახორციელოს ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური ფარმაცევტული მედიკამენტების, მინიმუმ 50 პროცენტის მართული შესვლის შეთანხმებების (MEA) მეშვეობით შესყიდვა წლის განმავლობაში.

ვერიფიკაციის პროცედურა

სამინისტრომ და ჯანმრთელობის სააგენტომ უნდა დაასრულონ შერჩეული მედიკამენტების ფასწარმოქმნის პროცესი და ეს სია გამოაქვეყნონ სამინისტროს ვებგვერდზე ყოველწლიურად. ჯანმრთელობის სააგენტომ უნდა დაადასტუროს ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური/ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტების მართული შესვლის შეთანხმების (MEA) მეშვეობით შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ნომრების სია, ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური/ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტების ჩამონათვალი პირობითი შესვლის შეთანხმებითა და წილით. DLR 1.3-ის შესრულების შესამოწმებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ყოველწლიურად განიხილავს საქართველოში ახლად წარდგენილი (სიაში შეტანილი) ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური/ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტების მომწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. შედეგის მისაღწევად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაფინანსებულ პოზიტიურ სიაში ახლად წარდგენილი/შეტანილი დაპატენტებული ფარმაცევტული პროდუქტების, სულ მცირე, 50%-ის შესყიდვის პირობითი გადაწყვეტილება უნდა იყოს მართული შესვლის შეთანხმება (MEA). შესრულების პროცენტის გამოსათვლელი ფორმულა: მრიცხველი არის პოზიტიურ სიაში შეტანილი ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური/ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტები, რომლებიც შემოტანილია საქართველოში და ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, რისთვისაც იქნა გაფორმებული მართული შესვლის შეთანხმება (MEA) ჯანმრთელობის სააგენტოსა და ბაზრის ავტორიზებულ მფლობელებს შორის. მნიშვნელია – პოზიტიურ სიაში შეტანილი ერთი წყაროს პატენტით დაცული ყველა ინოვაციური/ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტი, რომელიც ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ჯანმრთელობის სააგენტოს მიერ.

ჩატარებული ვერიფიკაციის პროცედურები

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების მიერ პროგრამის ფარგლებში გატარებული ღონისძიებები, კერძოდ:

- გაეცნო მართული შესვლის შეთანხმებით (MEA) შესყიდვასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობასა და განხორციელებულ ცვლილებებს. ასევე, სამინისტროს მიერ შემუშავებული ფარმაცევტული პროდუქციის მართული შესვლის შეთანხმებით (MEA) შესყიდვის წესს. ასევე, გავეცანით მართული შესვლის შეთანხმებით (MEA) შესყიდვის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკასა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს;
- შეისწავლა ფარმაცევტული პროდუქციის მომწოდებლებთან (BioMarin International Limited და F. Hoffmann-La Roche Ltd) გაფორმებული ხელშეკრულებები. ასევე გაეცნო შესყიდული პროდუქციის ლოჯისტიკის მომსახურების შესყიდვას, მათი ტრანსპორტირებისა და მიღების პროცესს;
- შესყიდული მედიკამენტები შეამოწმა საქართველოს ბაზარზე შესაბამისი რეგისტრაციის ბაზაში, სადაც მედიკამენტებს მინიჭებული აქვს შესაბამისად ინოვაციური ფარმაცევტული პროდუქტის ან გენერიკული და კვალწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის სტატუსი. ასევე შევისწავლეთ შესყიდული მედიკამენტების საერთაშორისო პატენტების ვადები;
- გაეცნო სამინისტროს მიერ წარმოდგენილი DLR 1.3-ის შესრულების ანგარიშის მონაცემებს, შეისწავლა ვებგვერდზე გამოქვეყნებული მედიკამენტების ნუსხა და ზემოხსენებულ ანგარიშში ფიქსირებული შესყიდული მედიკამენტები ფინანსდებოდა თუ არა წინა წლებში სამინისტროს შესაბამისი პროგრამებით.

არსებული მდგომარეობა

საკანონმდებლო საფუძვლები

მართული შესვლის შეთანხმების (MEA) საშუალებით ფარმაცევტული პროდუქციის შესყიდვის მიზნით განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში და ჩამოყალიბდა აღნიშნული მექანიზმის გამოყენების სამართლებრივი ჩარჩო:

- საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი: „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფარმაცევტული პროდუქტის თაობაზე მართული შესვლის შეთანხმებით განხორციელებული ინოვაციური (ახალი ორიგინალური) ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა;
- საქართველოს კანონში „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, 1¹ მუხლის 55-ე პუნქტი: ფარმაცევტული პროდუქტის თაობაზე მართული შესვლის შეთანხმება (შემდგომ – მართული შესვლის შეთანხმება) – ინოვაციური (ახალი ორიგინალური) ფარმაცევტული პროდუქტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს მიერ ამ ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელთან ან სავაჭრო ლიცენზიის მფლობელთან პირდაპირი მოლაპარაკებით, მისი სპეციალური პირობებით შესყიდვის (მისი ფასის დაფარვის/ანაზღაურების) ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ინოვაციური (ახალი ორიგინალური) ფარმაცევტული პროდუქტის (მედიკამენტის) ეფექტიანობასა და დანერგვასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას, კლინიკური შედეგების (გამოსავლის) გაუმჯობესებას ან/და შესაბამის ბიუჯეტზე გავლენის შეზღუდვას;
- საქართველოს კანონში „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, მე-3 მუხლის 1² პუნქტი: საქართველოს მთავრობა სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მართული შესვლის შეთანხმების კატეგორიებსა და ადმინისტრირების წესს. საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება აგრეთვე მართული შესვლის შეთანხმების მონიტორინგის რეესტრში შესატანი მონაცემები. მართული შესვლის შეთანხმების სხვა პირობები საჯარო ხდება მართული შესვლის შეთანხმებით დადგენილი წესით;
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილების „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლსა² და დანართის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში³ ასევე განხორციელდა ცვლილებები ფარმაცევტული პროდუქტის ფასების რეგულირების უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 სექტემბრის №294 დადგენილებით შევიდა ცვლილებები „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილებაში, რომლის მიხედვით, დადგენილების სახელწოდება

² დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ - შემოსავლების სამსახურს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს (საქპატენტს), სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, უზრუნველყონ ამ დადგენილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი კანდიდატურების წარდგენა, სამინისტროსათვის ფარმაცევტული პროდუქტის ფასების რეგულირების უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრად.

³ კომისიის შემადგენლობაში შედიან სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ - შემოსავლების სამსახურის, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტის), სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლები, ორი პროფესიული პროფილის დამოუკიდებელი წევრი (ფარმაკოლოგი და ფარმაცევტი), აგრეთვე სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორი.

ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების და ფარმაცევტული პროდუქტის მართული შესვლის შეთანხმებით შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“. ასევე, განისაზღვრა ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგია, ფარმაცევტული პროდუქტის ფასის განსაზღვრის წესი, პირობები და ფარმაცევტული პროდუქტის მართული შესვლის შეთანხმებით (MEA) შესყიდვის წესი. გარდა ამისა, დადგენილებაში მითითებულია ინოვაციური, ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვისას შესაძლო მართული შესვლის შეთანხმების (MEA) კატეგორიები, ასევე, გაწერილია მართული შესვლის შეთანხმების ადმინისტრირების წესი და მონიტორინგის რეესტრი;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „მართული შესვლის შეთანხმების მექანიზმით შესასყიდი მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.⁴

შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებები განხორციელდა 2023 წლის 30 ნოემბერს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა მართული შესვლის შეთანხმების (MEA) განმარტება და დაფიქსირდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში – როგორც გამონაკლისი, რომელზეც არ ვრცელდება მოცემული კანონი.

2024 წლის 10 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №294 დადგენილებით შევიდა ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილებაში, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ინოვაციური, ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის მიზნით მართული შესვლის შეთანხმების (MEA) მექანიზმის გამოყენების წესი.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა მართული შესვლის შეთანხმების (MEA) სამართლებრივი ჩარჩო და მისი გამოყენების წესი ინოვაციური ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვისთვის. მედიკამენტები შეძენილია ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელთან ან სავაჭრო ლიცენზიის მფლობელთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით, რაც მართული შესვლის შეთანხმების (MEA) პრინციპებს წარმოადგენს.

შესყიდვების პროცესი

2023-2024 წლებში ჯანმრთელობის სააგენტოს მიერ მართული შესვლის შეთანხმების (MEA) მექანიზმით განხორციელდა სამკურნალო საშუალებების შეძენა და მათი პოზიტიურ სიაში შეტანა არა მარტო საყოველთაო ჯანდაცვის, არამედ ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებშიც. შესაბამისად, სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია ვერიფიკაციის პროტოკოლისა და პროცედურების ცვლილება და 2024 წლის ნოემბერში წერილობით⁵ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რათა MEA მექანიზმით შესყიდული წამლების ანაზღაურების წყაროდ, ნაცვლად საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა (27 03 01), განსაზღვრულიყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (27 03) სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, 2025 წლის 30 იანვარს მიმართა მსოფლიო ბანკს თხოვნით,⁶ პროგრამის ფარგლებში, DLR 1.3-ის ვერიფიკაციის პროტოკოლისა და პროცედურის კორექტირების დამტკიცების შესახებ. მსოფლიო ბანკმა გაიზიარა სამინისტროს პოზიცია DLR 1.3-ის ვერიფიკაციის პროტოკოლისა და პროცედურის ცვლილების

⁴ 2025 წლის 4 თებერვლის № MOH 9 25 00000020 ბრძანება.

⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 2024 წლის 15 ნოემბრის № MOH 7 24 01214427 წერილი.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2025 წლის 30 იანვრის № 07/5226 წერილი (Request for Approval of Adjustments to Verification Protocol and Procedure for DLR 1.3 under the Georgia Human Capital Program).

შესახებ, რაც დასტურდება 2025 წლის 7 მარტს მსოფლიო ბანკისგან მიღებული ოფიციალური თანხმობით.⁷ აღნიშნული ცვლილებები პროექტის შეფასების დოკუმენტში (PAD) არ განხორციელებულა.

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით,⁸ იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობის დაქვემდებარებულ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში,⁹ ჯანმრთელობის სააგენტომ პაციენტთა მკურნალობის მიზნით, 2025 წელს მართული შესვლის შეთანხმების (MEA) მექანიზმის გამოყენებით, კერძოდ, ფინანსური შეთანხმების (Financial Based Agreement, FBA)¹⁰ კატეგორიის ფარგლებში, მწარმოებელ კომპანიებთან პირდაპირი კომუნიკაციის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების¹¹ შესაბამისად, შეიძინა სამი სამკურნალო მედიკამენტი.

- BioMarin International Limited – აქონდროპლაზიის სამკურნალო მედიკამენტი Voxzogo (Inn: vosoritide);
- F. Hoffmann-La Roche Ltd – სპინალური კუნთოვანი ატროფიის სამკურნალო მედიკამენტი (Evrysdi(Inn: Risdiplam));
- F. Hoffmann-La Roche Ltd – გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტი Ocrevus (Inn: Ocrelizumab).

შესაბამისად, სამინისტროს წარმოდგენილი ინფორმაციით, ვერიფიკაციის პროტოკოლით განსაზღვრულ ფორმულაში მნიშვნელი და მრიცხველი ორივე სამის ტოლია, ხოლო შედეგი 100%-ია.

განხორციელებული შესყიდვების ხელშეკრულებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ფასების კონფიდენციალურობა დაცულია, ასევე აღნიშნული მედიკამენტების შესყიდვა განხორციელებულია ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელთან ან სავაჭრო ლიცენზიის მფლობელთან პირდაპირი მოლაპარაკების გზითა და ფასდაკლებით, რაც მართული შესვლის შეთანხმების (MEA) პრინციპებსაც წარმოადგენს.

აუდიტის ჯგუფის მიერ შემოწმდა – DLR-ის მიზნებისთვის შესყიდული სამი მედიკამენტი წინა წლებში იყო თუ არა შესყიდული ან/და დაფინანსებული სამინისტროს რომელიმე პროგრამით. შედეგად დადგინდა, რომ სამი დასახელების ფარმაცევტული პროდუქტიდან ორი,¹² წინა წლებშიც

⁷ მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური დირექტორის 2025 წლის 7 მარტის წერილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს - Adjustments to Verification Protocol and Procedure for DLR 1.3 Georgia Human Capital Program (P175455) (Loan No.9349-GE)”: Please consider this letter as our formal agreement to impliment the revised verification protocol for DLR 1.3.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2026 წლის 12 მარტის № 07-05/17299 წერილის დანართი, DLR 1.3-ის შესრულების ანგარიშის გვ.9.

⁹ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №474 დადგენილება „2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 სექტემბრის №294 დადგენილება „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, მუხლი 1, „გ“ და „ფ“ ქვეპუნქტები. „ფინანსური შეთანხმება (Financial Based Agreement, FBA) მართული შესვლის შეთანხმების კატეგორია, რომელიც ადგენს ინოვაციური ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტის ერთეულის შესყიდვის კონფიდენციალურ ფასს ფასდაკლებით, ან შემსყიდველის ბიუჯეტის გადაჭარბებული ხარჯვისგან დაცვის მიზნით, დროის გარკვეული პერიოდისთვის აწესებს მთლიანი ბიუჯეტის ზღვარს ან ადგენს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში წლიური მკურნალობის კურსისთვის საჭირო ლიმიტს, რომლის გადაჭარბების შემთხვევაშიც, მწარმოებელი/სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, პაციენტები უზრუნველყოს დამატებითი მედიკამენტებით, შეთანხმების საწყისი ღირებულების გაზრდის გარეშე“.

¹¹ 2025 წლის 6 თებერვლის № 060225/1 ხელშეკრულება „ინოვაციური (ახალი ორიგინალი) ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის შესახებ“; 2025 წლის 29 მაისის № 020625/1 ხელშეკრულება „ინოვაციური (ახალი ორიგინალი) ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის შესახებ“; 2025 წლის 10 თებერვლის № 100225/1 ხელშეკრულება „ინოვაციური (ახალი ორიგინალი) ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის შესახებ“.

¹² Voxzogo-ს (Inn: vosoritide) და Evrysdi-ის (Inn: Risdiplam).

ფინანსდებოდა სამინისტროს მიერ იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობის დაქვემდებარებულ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, შესყიდული ფარმაცევტული პროდუქტებიდან მხოლოდ ერთი მედიკამენტის¹³ შემთხვევაში დასტურდება პოზიტიურ სიაში ახლად წარდგენა. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული DLR 1.3-ის შესრულების ანგარიშის¹⁴ მიხედვით, DLR 1.3-ის პირობებს აკმაყოფილებს მხოლოდ ერთი მედიკამენტი – გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტი Ocrevus (Inn: Ocrelizumab).

ვერიფიკაციის მიმდინარეობის პროცესში, ჯანმრთელობის სააგენტოს მიერ ვებგვერდზე¹⁵ ატვირთული ნუსხით, სამივე ხელშეკრულების შემთხვევაში შესყიდვის მექანიზმად ფიქსირდება მართული შესვლის შეთანხმება (MEA), რომელთაგან ერთი მედიკამენტი წარმოადგენს პოზიტიურ სიაში ახლად დამატებულ ფარმაცევტულ პროდუქტს. ასევე, აუდიტორული პროცედურებით დასტურდება, შესყიდვებისას შემცირებული და კონფიდენციალური ფასები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პოზიტიურ სიაში ახლად წარდგენილი ერთი ფარმაცევტული მედიკამენტი შესყიდულია მართული შესვლის შეთანხმების მექანიზმით და მისი პრინციპების გათვალისწინებით, DLR-ის შესასრულებლად განსაზღვრული ფორმულის გამოყენებით ვერიფიკაციის პერიოდისთვის DLR 1.3-ის შესრულება იქნება 100%.

დასკვნა

პროგრამით გათვალისწინებული ვერიფიკაციის პროტოკოლისა და ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, 2025 წელს, მართული შესვლის შეთანხმების მექანიზმით შესყიდულია საქართველოში შემოტანილი ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური ერთი მედიკამენტი, რაც პოზიტიურ სიაში ახლად წარდგენილი ფარმაცევტული მედიკამენტების 100%-ს შეადგენს.

DLR 3.1.1

აღწერა

DLR 3.1.1-ის მიზანია დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისების შექმნა, შესაბამისი პერსონალითა და აღჭურვილობით, ბანკისათვის მისაღები ფორმით. აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს¹¹ რეგიონული ოფისის შექმნას 2026 წლისთვის. საქართველოს თითოეულ რეგიონს უნდა ჰქონდეს დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისი, რომელიც სათანადოდ იქნება დაკომპლექტებული და აღჭურვილი, რათა უზრუნველყოს დასაქმების მხარდაჭერის სერვისები სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებელთა გაზრდილი რაოდენობისათვის.

DLR 3.1.1-ის მიზანია ყოველ წელს, ქვეყნის ყველა რეგიონში დასაქმების სააგენტოს მიერ დასაქმების სერვისებისა და პროგრამების გაფართოება, მათ შორის, კლიმატის ცვლილებით დაზარალებულ რაიონებში. მოსალოდნელი შედეგი გააუმჯობესებს მოსახლეობის იმ ნაწილის

¹³ Ocrevus-ის (Inn: Ocrelizumab).

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2026 წლის 11 მაისის № 07-04/33186 წერილის დანართი, DLR 1.3-ის შესრულების ანგარიშის გვ.9.

¹⁵ <https://nha.moh.gov.ge/c/ishviati-daavadebis-mqone-da-mudmiv-chanacvlebit-mkurnalobas-daqvemdebarebul-pacientta-mkurnaloba>

მოცვას, რომლისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი დასაქმების სერვისები და უზრუნველყოფს სერვისების უფრო სამართლიან მიწოდებას რეგიონებში.

DLR 3.1.1 მიღწეული იქნება, როდესაც დასაქმების სააგენტოს ახალი რეგიონული ოფისები გაიხსნება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში და თითოეულ, 11 ადმინისტრაციულ რეგიონში დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისები იმუშავებენ ბანკისთვის მისაღები ფორმით. ადმინისტრაციული რეგიონებია: კახეთი, თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა(ა/რ), გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი. ასევე, თბილისის სერვისცენტრებია გლდან-ნამალადევი, დიდუბე-ჩუღურეთი, ისანი-სამგორი, ვაკე-საბურთალო, ძველი თბილისი.

დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისი ითვლება „გახსნილად“, თუ დასაქმებულია, არანაკლებ, ხუთი სრულ განაკვეთზე მომუშავე სპეციალისტი და ემსახურება შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მოქალაქეებს უწყვეტად, სულ მცირე – 3 თვის განმავლობაში. სპეციალისტები განიმარტება, როგორც პირები, რომლებიც მუშაობენ სრულ განაკვეთზე ALMP მიმართულებით და ასრულებენ შემდეგ საქმიანობას: სამუშაოს მაძიებელთა პირადი საქმის მართვა, პროფილირება, კონსულტაცია, ტრენინგი. სპეციალისტები ჩაითვლებიან სრულ განაკვეთზე დასაქმებულად, თუ მათ დასაქმების სააგენტოსთან სრულ განაკვეთზე, მინიმუმ, ერთი წლით (ან განუსაზღვრელი) ვადის შრომითი ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული.

დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისი ითვლება „სათანადოდ დაკომპლექტებულად“, თუ მინიმუმ, 12 სრულ განაკვეთზე მომუშავე სპეციალისტი, მინიმუმ, 12 თვის განმავლობაში დასაქმებულია პატარა რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და მცხეთა-მთიანეთი, გურია), მინიმუმ, 16 სპეციალისტი დასაქმებულია საშუალო ზომის რეგიონებში (აჭარა, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი), მინიმუმ, 20 სპეციალისტი დასაქმებულია დასაქმების სააგენტოს ოფისებში, დიდ რეგიონებში (თბილისი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი). სპეციალისტად ითვლებიან მხოლოდ სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისი ითვლება „საკმარისად აღჭურვილად“, თუ ის თანხვედრაშია სამინისტროს შეფასებულ დასაქმების ხელშეწყობის სერვისების (მიწოდებას (ინდივიდუალური კონსულტაცია, პროფილირება და მიმართვა) შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად და ხელმისაწვდომობის გასაზრდელად საჭირო აღჭურვილობასთან, რომელიც სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლების რაოდენობას წელიწადში 20,000-მდე გაზრდის.

ვერიფიკაციის პროცედურა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამოწმებულ იქნეს ფიზიკური ინსპექტირების საფუძველზე დასაქმების სააგენტოს წლიური და კვარტალური ანგარიშების მონაცემები, მათ შორის, სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა მუნიციპალიტეტისა და პროგრამის მიხედვით, ასევე, სრულ და ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების რაოდენობა რეგიონულ ოფისებში.

ჩატარებული ვერიფიკაციის პროცედურები

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა დასაქმების სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში გატარებული შემდეგი ღონისძიებები:

- აუდიტის ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ DLR 3.1.1-ის შესრულების ანგარიშს, შესაბამის მარეგულირებელ ნორმებსა და დოკუმენტაციას, კერძოდ: დასაქმების სააგენტოს დირექტორის

ბრძანებებს „ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“¹⁶ (შემდგომ – ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის სტანდარტები), ასევე, მთავრობის დადგენილებას „ტექნიკური რეგლამენტი – ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესის დამტკიცების შესახებ“¹⁷ და რეგიონული სერვისცენტრების შენობის შიდა ფართის შესაღებად გამოყენებულ ლაქ-საღებავების შესყიდვისას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ სერტიფიკატებს;¹⁸

- პროგრამით გათვალისწინებული ოფისების დაკომპლექტებისთვის განსაზღვრულ თანამშრომელთა რაოდენობის დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა დასაქმების სააგენტოს დირექტორის ბრძანებები და სააგენტოს რეგიონულ სერვისცენტრებში 2025 წელს დასაქმებული პირების შრომითი ხელშეკრულებები;
- აუდიტის ჯგუფმა იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონების ოფისებში განახორციელა ფიზიკური ინსპექტირება, ჩაატარა ინვენტარიზაცია მხოლოდ DLR 3.1.1-ის ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობისთვის. შესაბამისად, შედგა ინვენტარიზაციის აქტები და არსებული მდგომარეობა შედარდა დასაქმების სააგენტოს დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულ ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის სტანდარტს;
- 2025 წელს მუნიციპალიტეტისა და პროგრამების მიხედვით, სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობის შესახებ სისრულის რწმუნების მისაღებად განხორციელდა Worknet-დან ინფორმაციის გენერირება აუდიტორის თანდასწრებით. ჩატარდა დასაქმების სააგენტოს მომსახურებაში ჩართული სამუშაოს მაძიებელთა სატელეფონო გამოკითხვა, რისთვისაც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, თბილისისა და საქართველოს 9 რეგიონისათვის შეირჩა 155 ბენეფიციარი, რომლებმაც 2025 წელს ისარგებლეს შრომის ბაზრის პროგრამის სერვისებით;
- შედგა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

არსებული მდგომარეობა

ოფისების თანამშრომლებით დაკომპლექტება

დასაქმების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით:¹⁹

- იმერეთის სერვისცენტრში დასაქმებულია 20 თანამშრომელი, მათ შორის, ერთი ხელმძღვანელი, 16 კონსულტანტი, 3 მონიტორი;
- შიდა ქართლის სერვისცენტრში დასაქმებულია 16 თანამშრომელი, მათ შორის, ერთი ხელმძღვანელი, 12 კონსულტანტი, 3 მონიტორი.

DLR-ის მოთხოვნით, სპეციალისტად ითვლებიან სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებაზე პასუხისმგებელი, ანუ მომსახურების წინა ხაზზე მომუშავე თანამშრომლები (front office). დასაქმების სააგენტოს რეგიონულ სერვისცენტრებში თანამშრომლები დასაქმებული იყვნენ შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებებით 3 განსხვავებულ პოზიციაზე, კერძოდ, სპეციალისტი, მონიტორი და წარმომადგენელი. დასაქმებულ პირთა შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით, კონსულტანტები და მონიტორები უშუალოდ ახორციელებენ ბენეფიციართა მომსახურებას და პირდაპირი შეხება აქვთ მათთან, ხოლო წარმომადგენელი ზედამხედველობს და ხელს უწყობს სპეციალისტებისა და მონიტორების მუშაობის ორგანიზებას. შესაბამისად, სამივე პოზიციის

¹⁶ დასაქმების სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 24 ივნისის № SESA 4 25 00000113 ბრძანება იმერეთის რეგიონალური სერვისცენტრის და 2025 წლის 24 ივნისის № SESA 5 25 00000114 ბრძანება შიდა ქართლის რეგიონული სერვისცენტრის „ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.

¹⁷ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის №148 დადგენილების - „ტექნიკური რეგლამენტი - ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესის დამტკიცების თაობაზე“.

¹⁸ თურქეთის სტანდარტების ინსტიტუტის სერტიფიკატები: TR-KY-8142/21, TR-KY-522-03/KG-97/09-R15.

¹⁹ DLR 3.1.1-ის შესრულების ანგარიში, გვ. 7.

წარმომადგენლები შეიძლება ჩაითვალოს სამუშაოს მაძიებელთა უშუალო მომსახურებაზე პასუხისმგებელ პირებად.²⁰

ამავდროულად, აღნიშნული სპეციალისტები უნდა იყვნენ დასაქმებული სრული განაკვეთით, რაც გულისხმობს იმას, რომ დასაქმების სააგენტოსთან გაფორმებული აქვთ, არანაკლებ, 1 წლის ვადით (ან უვადოდ) შრომითი ხელშეკრულება. დასაქმების სააგენტოს ზემოაღნიშნული ორივე რეგიონის სერვისცენტრის ყველა თანამშრომელი დასაქმებულია სრული განაკვეთით.

აღნიშნულის გათვალისწინებით სრულდება DLR-ით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა, რომლის თანახმად, დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისი ითვლება „გახსნილად“, თუ ცენტრში დასაქმებულია სრულ განაკვეთზე მომუშავე, არანაკლებ, ხუთი სპეციალისტი და სერვისის მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია შეუფერხებლად, არანაკლებ, სამი თვის განმავლობაში.

მეორე მხრივ, DLR-ის მოთხოვნების მიხედვით, რეგიონული ოფისი ითვლება „სათანადოდ დაკომპლექტებულად“, თუ დიდი ზომის რეგიონებში, მინიმუმ, 20 სპეციალისტი, ხოლო საშუალო ზომის რეგიონებში, მინიმუმ, 16 სპეციალისტი, არანაკლებ, 12 თვის განმავლობაში არის დასაქმებული. სააგენტოს სერვისცენტრებში დასაქმებული პირების შრომითი ხელშეკრულებების შესწავლით დადგინდა, რომ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორივე სერვისცენტრში დასაქმებულია დადგენილი რაოდენობის თანამშრომლები და ყველა მათგანს გაფორმებული აქვს 12-თვიანი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ასევე ითვალისწინებს ვადის გაგრძელებას (იხ. ცხრილი).

ცხრილი. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრული განაკვეთით დასაქმებული თანამშრომლები

რეგიონი	რეგიონის კატეგორია	DLR-ის მოთხოვნა	ფაქტობრივი მდგომარეობა 31.12.2025
შიდა ქართლი	საშუალო სიდიდის	16 თანამშრომელი	16 თანამშრომელი
იმერეთი	დიდი	20 თანამშრომელი	20 თანამშრომელი

ოფისების ინფრასტრუქტურული და აღჭურვის სტანდარტთან შესაბამისობა

DLR 3.1.1-ის ვერიფიკაციის პროტოკოლის თანახმად, სააგენტოს რეგიონული ოფისები „სათანადოდ აღჭურვილად“ ითვლება, თუ ის თანხვედრაშია სამინისტროს მიერ შეფასებულ, დასაქმების ხელშეწყობის სერვისების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, საჭირო აღჭურვილობასთან.

დასაქმების სააგენტომ მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით, იმ ოფისების ვერიფიკაციის პროცედურებისთვის, რომლებმაც დამაკმაყოფილებლად გაიარეს სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგი, შეიმუშავა და სააგენტოს დირექტორის ბრძანებით²¹ დაამტკიცა ინფრასტრუქტურული სტანდარტის საორიენტაციო დოკუმენტი იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონული ოფისებისთვის.

შესრულების ანგარიშის მიხედვით,²² დასაქმების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით, მტკიცდება ინფრასტრუქტურული სტანდარტის საორიენტაციო დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს

²⁰ მომსახურების წინა ხაზზე მომუშავე თანამშრომლები (front office).

²¹ დასაქმების სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 24 ივნისის № SESA 4 25 00000113 ბრძანება იმერეთის რეგიონალური სერვისცენტრის და 2025 წლის 24 ივნისის № SESA 5 25 00000114 ბრძანება შიდა ქართლის რეგიონული სერვისცენტრის „ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.

²² DLR 3.1.1-ის შესრულების ანგარიში, გვ. 6.

სააგენტოს რეგიონულ სერვისცენტრებში ახალი ინფრასტრუქტურული სტანდარტის დანერგვის „ერთი ფანჯრის“ პრინციპთან შესაბამისობით.²³

DLR 3.1.1-ის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2025 წელს 2 რეგიონში – იმერეთსა და შიდა ქართლში, მოძიებულ იქნა ახალი საოფისე ფართები, გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის მოთხოვნების შესაბამისად. მიმდინარეობდა ოფისების სრულად აღჭურვა ინფრასტრუქტურული სტანდარტის შესაბამისად და ადამიანური რესურსით დაკომპლექტება, რათა დაკმაყოფილებულიყო საჭირო სპეციალისტების რაოდენობის მინიმალური სტანდარტი. თითოეულ რეგიონს საკუთრებაში ჰყავს ერთი მანქანა.

შესწავლით გამოვლინდა, რომ ექსპერტების მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგი ჩატარდა, იმერეთის და შიდა ქართლის სერვისცენტრებში.²⁴ განხორციელებული სკრინინგის შედეგების მიხედვით, გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები²⁵ დაკმაყოფილებულია და დადებითად შეფასდა ორივე სერვისცენტრის ოფისების შენობები. ასევე, აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილ იქნა 2025 წელს რეგიონული სერვისცენტრების ოფისების შესაღებად გამოყენებული ლაქ-საღებავების შესყიდვისას, მომწოდებელთა მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზე განისაზღვრა ტყვიის შემცველობის ნორმა აღნიშნულ საღებავებში.

როგორც ვერიფიკაციის პროცედურით იყო გათვალისწინებული, აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონების სერვისცენტრებში ფიზიკური ინსპექტირება და მხოლოდ DLR-ის მიზნებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია, ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ინსპექტირებების შედეგად მნიშვნელოვანი შეუსაბამობები არ დაფიქსირებულა.

დასკვნა

პროგრამით გათვალისწინებული ვერიფიკაციის პროტოკოლისა და ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით DLR 3.1.1-ის ფარგლებში დასტურდება 2 რეგიონული ოფისის გახსნა, ასევე მათი აღჭურვა და დაკომპლექტება დადგენილი წესის მიხედვით.

DLR 3.1.2

აღწერა

DLR 3.1.2-ის მიზნები მიღწეულად ჩაითვლება, როდესაც დასაქმების სააგენტო უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები, ყოველწლიურად მზარდი რაოდენობის, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების მხარდაჭერის სერვისების²⁶ მიწოდებას როგორც რეგიონული ოფისების

²³ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 19 ივლისის № MOH 2 23 00000250 ბრძანების „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დანერგვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“.

²⁴ 2025 წლის მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული „ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ფარგლებში საიჯარო შენობის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სკრინინგის ანგარიშები.

²⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 5 სექტემბრის № MOH 2 23 00000296 ბრძანება „გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის შეფასების პროცედურების დამტკიცების შესახებ“.

²⁶ დასაქმების მხარდაჭერის სერვისები მოიცავს პირად ინტერვიუს დასაქმების სააგენტოს კონსულტანტთან, პროფილირებას, რეგისტრაციას Worknet-ში და მიმართვას ALMP-ში.

თანამშრომელთა მემკვიდრეობით, ასევე მობილური ჯგუფების მიერ, დასაქმების სააგენტოს ოფისებში. „სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლები“ არიან ის რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები, რომლებიც არ ცხოვრობენ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მდებარეობს დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისები. მოსალოდნელია, რომ იმ სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა, რომლებსაც მოემსახურებიან დასაქმების სააგენტოს თანამშრომლები, დროთა განმავლობაში გაიზარდება, რადგან დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისები გააუმჯობესებენ თავიანთ შესაძლებლობებს. ბენეფიციართა მოსალოდნელი მზარდი რაოდენობა წლების მიხედვით შემდეგია: 1,000 ბენეფიციარამდე – 2023 წელს, 2,000 ბენეფიციარამდე – 2024 წელს, 6,000-მდე – 2025 წელს, 12,000-მდე – 2026 წელს, 16,000-მდე – 2027 წელს და 20,000 ბენეფიციარამდე 2028 წელს.

ვერიფიკაციის პროცედურა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გადამოწმებულ იქნეს Worknet-ის ჩანაწერები და დასაქმების სააგენტოს წლიური და კვარტალური ანგარიშები, მათ შორის სოფლად მცხოვრები ადამიანების რაოდენობა, რომლებიც რეგისტრირებულია Worknet პორტალზე, ინფორმირებული და ჩარიცხულია დასაქმების სააგენტოს სერვისებში.

ჩატარებული ვერიფიკაციის პროცედურები

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა დასაქმების სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში გატარებული შემდეგი ღონისძიებები:

- აუდიტის ჯგუფი გაეცნო DLR 3.1.2-ის შესრულების ანგარიშს და გააანალიზა შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და სააგენტოს დირექტორის ბრძანება „სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მობილური ჯგუფის შემადგენლობისა და ჯგუფის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“;²⁷
- სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებელთა ALMP-ში ჩართულობის, Worknet პორტალზე რეგისტრაციის, მიღებული მომსახურებისა და ფაქტობრივი საცხოვრებელი მონაცემების დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა ჩატარა პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარების შემთხვევითი შერჩევით სატელეფონო გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგები შეჯამებულია სტატისტიკის სახით და მათი ექსტრაპოლაცია (გავრცელება) გენერალურ ერთობლიობაზე არ მომხდარა. გამოკითხვის შედეგები გამოყენებულ იქნა მონაცემთა სანდოობასთან დაკავშირებული რისკებისა და კონტროლის გარემოს შეფასების მიზნით;
- სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლებისათვის გაწეული დასაქმების მხარდაჭერის სერვისების დოკუმენტური დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა დასაქმების სააგენტოდან გამოითხოვა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული დოკუმენტაცია და შეამოწმა შესაბამისი სერვისის მიღების დამადასტურებელი მასალები;
- მობილური ჯგუფების მიერ ჩატარებული შეხვედრების დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფი გაეცნო სააგენტოს მიერ წარმოდგენილ შემდეგ დოკუმენტაციას: მობილური ჯგუფების მიერ ჩატარებული ჯგუფური შეხვედრების ფოტომასალას, მობილური ჯგუფის წევრების მოხსენებით ბარათებს რეგიონებში ჩატარებული შეხვედრების შესახებ და ამ შეხვედრებში მონაწილე პირების (სამუშაოს მაძიებელთა) რეესტრებს, მობილური ჯგუფის შეხვედრებში მონაწილე პირთა აღრიცხვის ფორმებს; წარმოდგენილ სამუშაოს მაძიებელთა რეესტრებში

²⁷ დასაქმების სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 10 თებერვლის № SESA 4 25 00000023 ბრძანება „სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მობილური ჯგუფის შემადგენლობისა და ჯგუფის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

ასახული ინფორმაციის სისრულის რწმუნების მოსაპოვებლად, განხორციელდა მონაცემთა ბაზიდან (Worknet) ინფორმაციის გენერირება აუდიტის ჯგუფის თანდასწრებით;

- ჩატარდა პროცესის ტესტირების ანალიზი (walkthrough analysis);
- განხორციელდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

არსებული მდგომარეობა

სამიზნე მუნიციპალიტეტებსა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან პროაქტიული მუშაობისა და მათთვის დასაქმების ხელშეწყობის სათანადო სერვისების მიწოდების მიზნით, სააგენტოს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით²⁸ შეიქმნა მობილური ჯგუფები განსაზღვრული შემადგენლობით შემდეგ რეგიონებში: გურიის, იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონებში, ასევე დამტკიცდა მობილური ჯგუფის საქმიანობის წესი. ბრძანების შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული პირებისგან განისაზღვრებოდა მობილური ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 წევრს.

10 რეგიონში შექმნილმა მობილურმა ჯგუფებმა მუშაობა დაიწყეს 2025 წლის 10 თებერვლიდან.²⁹ 2025 წელს რეგიონულ სერვისცენტრებში შექმნილი მობილური ჯგუფები შეხვედრებს მართავდნენ მუნიციპალიტეტებში/სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან, აცნობდნენ მათ სააგენტოს სერვისებს და სთავაზობდნენ დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებში ჩართვას, დაინტერესებულ პირებს კი ადგილზე, ინდივიდუალურად უწევდნენ კონსულტაციებს და არეგისტრირებდნენ Worknet-ის პორტალზე.

დასაქმების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის³⁰ მიხედვით, 2025 წელს, მობილურმა ჯგუფებმა ჩაატარეს სულ – 247 საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრებს ჯამში დაესწრო 3,841 პირი, იდენტიფიცირებული პირებიდან შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში სამუშაოს მაძიებლად დარეგისტრირებულია – 1,141 პირი. 2025 წელს დასაქმების ხელშემწყობი მომსახურება მიიღო 4,657 სოფლად მცხოვრებმა. მათ შორის, მობილური ჯგუფების მიერ სოფლებში გასვლითი შეხვედრებიდან რეგისტრირებულია 2,466 სოფლად მცხოვრები, ხოლო მუნიციპალიტეტებში დასაქმებული კონსულტანტების მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფისებიდან რეგისტრირებულია 2,191 სოფლად მცხოვრები.

DLR 3.1.2-ის მიზნებისათვის „სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლებად“ განისაზღვრებიან ის რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები, რომლებიც არ ცხოვრობენ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მდებარეობს დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისები. შესაბამისად, სამუშაოს მაძიებელ ბენეფიციართათვის სოფლად მცხოვრების სტატუსის დადგენის მიზნით აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამუშაოს მაძიებელთა Worknet პორტალზე რეგისტრირებული მონაცემები, კერძოდ, ბენეფიციართა ფაქტობრივი მისამართები, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- 27 ბენეფიციარის შემთხვევაში მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართები;
- 2 ბენეფიციარის შემთხვევაში ფაქტობრივი საცხოვრებელი არ დადასტურდა.

²⁸ დასაქმების სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 10 თებერვლის № SESA 4 25 0000023 ბრძანება „სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მობილური ჯგუფის შემადგენლობისა და ჯგუფის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

²⁹ დასაქმების სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 10 თებერვლის № SESA 4 25 0000023 ბრძანება „სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მობილური ჯგუფის შემადგენლობისა და ჯგუფის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

³⁰ DLR 3.1.2-ის შესრულების ანგარიში გვ. 7.

შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება 29 ბენეფიციარის „სოფლად მცხოვრების“ სტატუსის შესახებ.

ასევე აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით,³¹ პირი სამუშაოს მაძიებლად ვერ დარეგისტრირდება, თუ მან მიაღწია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საპენსიო ასაკს. მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვისა, Worknet პორტალზე სამუშაოს მაძიებელ სოფლად მცხოვრებთა ბაზაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ იყო რეგისტრირებული 54 საპენსიო ასაკს მიღწეული პირი.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს დასაქმების სააგენტოში დაინერგა სამუშაოს მაძიებელთა პორტალის Worknet-ის ახალი ვერსია. აუდიტის ჯგუფის მიერ მოწოდებულ სამუშაოს მაძიებელთა რეესტრებში ასახული ინფორმაციის სისრულის რწმუნების მოსაპოვებლად, განხორციელდა მონაცემთა ბაზიდან (Worknet) ინფორმაციის გენერირება, როგორც ახალი, ისე მანამდე მოქმედი პორტალიდან. ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ 76 პირი, რომელიც აკმაყოფილებს სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლის კრიტერიუმებს, რეგისტრირებული იყო Worknet-ის როგორც ახალ, ასევე ძველ ვერსიაში. შესაბამისად, აღნიშნული 76 ბენეფიციარი ვერ აკმაყოფილებს 2025 წელს Worknet-ში რეგისტრაციის კრიტერიუმს და არ აქვს მიღებული დასაქმების მხარდაჭერის არც ერთი სერვისი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი 4,657 რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლიდან, 54 ბენეფიციარი არ აკმაყოფილებს სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლის კრიტერიუმს, 29 შემთხვევაში ვერ დასტურდება სოფლად მცხოვრების სტატუსი, 76 ბენეფიციარი ვერ აკმაყოფილებს 2025 წელს Worknet-ში რეგისტრაციისა და დასაქმების მხარდაჭერის ერთი სერვისის მიღების კრიტერიუმს მაინც. შედეგად, მხოლოდ 4,498 სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებელი შეიძლება ჩაითვალოს DLR-ის მიზნების შესაბამისად რეგისტრირებულად და დასაქმების მხარდაჭერის სერვისების მიმღებად.

ბენეფიციარებისათვის დასაქმების მხარდაჭერის სერვისების გაწევის დოკუმენტური დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა შეამოწმა დასაქმების სააგენტოსგან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ქვეყნის მასშტაბით ყველა რეგიონში, სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლის რაოდენობის პროპორციულად, ჯამში – 114 ბენეფიციარისთვის გამოთხოვილი 2025 წელს მიღებული სერვისების (ინდივიდუალური კონსულტირება/პროფილირება, Worknet-ზე რეგისტრაცია და ALMP-ის პროგრამები, კერძოდ: სტაჟირება, ხელფასის სუბსიდირება, საშუაშალო მომსახურება, რეფერირება ვაკანტურ პოზიციებზე, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროფესიული კურსები, საკვანძო კომპეტენციების განვითარება) დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აუდიტის ჯგუფის მიერ შემთხვევითი შერჩევით 114 ბენეფიციარის სხვადასხვა სერვისის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი სისტემური ხარვეზები, კერძოდ:

- სააგენტოს მიერ მოწოდებული სამუშაოს მაძიებელთა მონაცემთა ბაზები შევსებულია მანუალურად და ხშირ შემთხვევაში არ შეიცავდა ბენეფიციარების სრულ სახელს ან იდენტიფიცირდებოდა გარკვეული შეცდომებით;
- კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელოს მიხედვით,³² კარიერის დაგეგმვის ფურცლები ბენეფიციართა მხრიდან ხელმოწერით არ დასტურდება

³¹ საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, მუხლი 19, პუნქტი 3, „ბ“ ქვეპუნქტი.

³² კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, ეტაპი 6: გეგმის შემუშავება, კარიერული განვითარების სამოქმედო გეგმის ფორმა, გვ. 18.

შესაბამისად ამ დოკუმენტზე სამუშაოს მაძიებელთა მხრიდან თანხმობის დადასტურება ვერ ხერხდება;

- დასაქმების კონსულტირების სახელმძღვანელოს მიხედვით,³³ კონსულტანტს ევალება სამუშაოს მაძიებელს შეუთანხმდეს შემდეგი კონსულტირების შეხვედრის თარიღზე. ამის მიუხედავად, დოკუმენტებში არ ფიქსირდებოდა განმეორებითი შეხვედრების დაგეგმვის შესახებ ინფორმაცია, ასევე არ იყო განსაზღვრული მომდევნო შეხვედრის ვადები, თუმცა ვერ დგინდება განმეორებითი შეხვედრის ჩატარების აუცილებლობა/საჭიროება;
- დოკუმენტების ნაწილს (უმეტესად კარიერის დაგეგმვის ნაწილს) არ ჰქონდა მითითებული თარიღი, შესაბამისად, ვერ ხერხდება სერვისის გაწევის თარიღის იდენტიფიცირება.
- ბენეფიციარებს ინფორმაცია ძირითადად მიეწოდებოდათ ჯგუფური გასაუბრების შედეგად და ნაკლებად იყო გამოყენებული ინდივიდუალური კონსულტაციის შესაძლებლობა. შედეგად, დაბალია ინფორმირებულობის მაჩვენებელი.

სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებელთა ALMP-ში ჩართულობის, Worknet პორტალზე რეგისტრაციის, მიღებული მომსახურებისა და ფაქტობრივი საცხოვრებელი მონაცემების დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა განახორციელა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 155 ბენეფიციარის სატელეფონო გამოკითხვა. კომუნიკაცია ვერ განხორციელდა ან სხვა მიზეზით ვერ მივიღეთ ინფორმაცია 30 შემთხვევაში, ხოლო 125 გამოკითხული ბენეფიციარიდან 65-მა (52%) დაადასტურა, რომ ფლობდა ინფორმაციას Worknet პორტალზე რეგისტრაციის შესახებ ან/და მიიღო დასაქმების მხარდაჭერის რომელიმე სახის მომსახურება, ხოლო 60 (48%) ბენეფიციარმა ვერ დაადასტურა/გაიხსენა ინფორმაცია Worknet-ის პორტალზე რეგისტრაცია ან/და არ დაადასტურა დასაქმების მხარდაჭერის რომელიმე სახის მომსახურების მიღების შესახებ.

სატელეფონო გამოკითხვის შედეგები მიუთითებს მონაცემთა აღრიცხვისა და ბენეფიციართა ინფორმირების პროცესებში კონტროლის მექანიზმების შესაძლო სისუსტეებზე, რაც ზრდის მომსახურების აღრიცხვისა და ინფორმირებულობის ხარვეზების რისკს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფმა, დამატებითი გადამოწმების მიზნით გააფართოვა ვერიფიკაციის პროცედურები. კერძოდ, ზემოხსენებული 60 პირისათვის დასაქმების მხარდამჭერი რომელიმე მომსახურების მიღების დასადასტურებლად, შეამოწმა Worknet-ში არსებული დოკუმენტაცია, რომლითაც დაადასტურდა Worknet-ის პორტალზე რეგისტრაცია და ინდივიდუალური კონსულტირების ან/და კარიერული დაგეგმვის მომსახურების მიღება. დამატებით, აუდიტის ჯგუფი დაესწრო სამუშაოს მაძიებლის worknet-ში რეგისტრაციის პროცესს: ჩატარდა პროცესის ტესტირების ანალიზი (walkthrough analysis), რომელიც შეესაბამებოდა დასაქმების სააგენტოში არსებულ ინსტრუქციებს. ასევე, აუდიტის ჯგუფმა გაზარდა დოკუმენტური დადასტურების ტესტის მოცვა და ამ მიზნით დამატებით შეისწავლა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული 10 ბენეფიციარის დოკუმენტაცია, რომლის შედეგადაც უზუსტობები არ გამოვლენილა.

დასკვნა

პროგრამით გათვალისწინებული ვერიფიკაციის პროტოკოლისა და ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, DLR 3.1.2-ის ფარგლებში, 2025 წელს 4,498 ბენეფიციარია რეგისტრირებული სოფლად მცხოვრებ სამუშაოს მაძიებლად, რაც 2025 წლისთვის განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელზე - 6,000 ბენეფიციარზე ნაკლებია.

³³ დასაქმების კონსულტირების სახელმძღვანელო, დანართი 4.1: ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მოხმარების ინსტრუქცია, დასაქმების ხელშეწყობის სხვა სერვისები, მომხმარებლის მიერ შესრულებული სხვა აქტობები, გვ. 47.

DLR 3.2

აღწერა

ALMP-ის ღონისძიებებში ჩართულ მოწყვლად ბენეფიციარებად განისაზღვრებიან ახალგაზრდები, დევნილი, მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარები, შშმ პირები და ქალები. დაგეგმილია, რომ ALMP-ების მოწყვლადი ბენეფიციარების რიცხვი, დროთა განმავლობაში გაიზარდება 5,000 ბენეფიციარამდე – 2023 წელს, 12,000-მდე – 2024 წელს, 18,000-მდე – 2025 წელს, 24,000-მდე – 2026 წელს, 27,000-მდე – 2027 წელს და 30,000-მდე – 2028 წელს. სამინისტროს საბოლოო მიზანია 2028 წელს ALMP-ში ჩართული 50,000 ბენეფიციარი, რომელთაგან 60%, ანუ 30,000 პირი, უნდა აკმაყოფილებდეს მოწყვლადი ბენეფიციარის კრიტერიუმს.

ვერიფიკაციის პროცედურა

ვერიფიკაციის პროცედურა ითვალისწინებს, დასაქმების სააგენტოს ყოველწლიური ანგარიშების მიხედვით, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) თითოეული ღონისძიების მოსარგებლეთა რაოდენობების დადასტურებას შემდეგი მოწყვლადი კატეგორიების მიხედვით: სოციალურად დაუცველობის სტატუსი, სქესი, დევნილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ უნდა განხორციელდეს პოპულაციის 1%-ის შერჩევითი შემოწმება.

ჩატარებული ვერიფიკაციის პროცედურები

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა დასაქმების სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში გატარებული შემდეგი ღონისძიებები:

- აუდიტის ჯგუფი გაეცნო DLR 3.2-ის შესრულების ანგარიშს და გააანალიზა შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“;³⁴
- მოწყვლადი კატეგორიის სამუშაოს მაძიებელთა ALMP-ში ჩართულობის, Worknet პორტალზე რეგისტრაციისა და სერვისცენტრებში მიღებული მომსახურების დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარების შემთხვევითი შერჩევითი სატელეფონო გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგები შეჯამებულია სტატისტიკის სახით და მათი ექსტრაპოლაცია (გავრცელება) გენერალურ ერთობლიობაზე არ მომხდარა. გამოკითხვის შედეგები გამოყენებულ იქნა მონაცემთა სანდოობასთან დაკავშირებული რისკებისა და კონტროლის გარემოს შეფასების მიზნით;
- მოწყვლადი კატეგორიის სამუშაოს მაძიებლებისათვის გაწეული სერვისების დოკუმენტური დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა დასაქმების სააგენტოსგან გამოითხოვა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული დოკუმენტაცია და შეამოწმა შესაბამისი სერვისის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მოწოდებულ სამუშაოს მაძიებელთა რეესტრებში ასახული ინფორმაციის სისრულის რწმუნების მოსაპოვებლად, განხორციელდა მონაცემთა ბაზიდან (Worknet) ინფორმაციის გენერირება აუდიტის ჯგუფის თანდასწრებით;
- ჩატარდა პროცესის ტესტირების ანალიზი (walkthrough analysis);
- შედგა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

³⁴ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №487 დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

გარდა აღნიშნულისა, მოწყვლადი კატეგორიის სრული რეესტრისათვის, თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ბენეფიციართა სტატუსის დადასტურების მიზნით, გარე წყაროდან გამოთხოვილ იქნა შემდეგი ინფორმაცია:

- სქესისა და ასაკის დასადასტურებლად – ინფორმაცია სამუშაოს მაძიებელთა სქესის, სახელისა და გვარის, ასევე დაბადების თარიღის შესახებ სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (შემდეგ – სერვისების სააგენტო);
- სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის დასადასტურებლად – ინფორმაცია პირის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირების შესახებ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან (შემდეგ - სოციალური სააგენტო);
- დევნილის სტატუსის დასადასტურებლად – ინფორმაცია პირის დევნილის სტატუსის შესახებ სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან (შემდეგ - დევნილთა სააგენტო);
- შშმ პირის სტატუსის დასადასტურებლად – ინფორმაცია შშმ პირის სტატუსის შესახებ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან;
- სასწავლო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა ბენეფიციართა სერტიფიკატები.

არსებული მდგომარეობა

დასაქმების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის³⁵ მიხედვით, 2025 წელს დასაქმების სააგენტომ, ქვეყნის მასშტაბით, 14,258 სამუშაოს მაძიებლის ჩართვა შეძლო დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისებში, საიდანაც 13,019 სამუშაოს მაძიებელი აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილი მოწყვლადობის კრიტერიუმებიდან, სულ მცირე, ერთ კრიტერიუმს.

DLR 3.2-ის მიზნებისათვის მოწყვლად ბენეფიციარებად განისაზღვრებიან ახალგაზრდები, დევნილი პირები, მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარები, შშმ პირები და ქალები. შესაბამისად, სამუშაოს მაძიებელ ბენეფიციართათვის მოწყვლადი კატეგორიის დადგენის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა გამოითხოვა შესაბამისი სტრუქტურებისაგან სქესის, ასაკის, სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის, დევნილის სტატუსისა და შშმ პირის სტატუსის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია. ასევე, დასაქმების სააგენტოს Worknet პორტალიდან ამოღებულ იქნა სამუშაოს მაძიებელთა რეესტრი, სადაც ფიქსირდება როგორც 2025 წელს, ასევე წინა წლებში რეგისტრირებულ ბენეფიციართა მონაცემები და დასაქმების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მათ 2025 წელს გაეწიათ, მინიმუმ, ერთი სერვისი. აღნიშნული მონაცემების შედარების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

- სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა ბენეფიციართა დაბადების თარიღები და სქესის მონაცემები. აღნიშნული ინფორმაციის, სააგენტოს Worknet-ის ბაზაში რეგისტრირებულ მონაცემებთან შედარებით, რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთათვის სქესისა და 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდის კრიტერიუმები დადასტურდა ყველა შემთხვევაში;
- დევნილთა სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა დევნილი პირის აქტიური სტატუსი თვეების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაციის, სააგენტოს Worknet-ის ბაზაში რეგისტრირებულ მონაცემებთან შედარებით დასტურდება, რომ ამ სტატუსით რეგისტრირებულ ყველა სამუშაოს მაძიებელს 2025 წელს, მინიმუმ, 1 თვე მაინც უფიქსირდებათ აქტიური დევნილის სტატუსი;
- სოციალური სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა სოციალურად დაუცველი პირისა და შშმ პირის აქტიური სტატუსები თვეების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაციის, სააგენტოს Worknet-ის ბაზაში რეგისტრირებულ მონაცემებთან შედარებით დასტურდება, რომ სოციალურად დაუცველი პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა სამუშაოს მაძიებელს 2025

³⁵ DLR 3.2-ის შესრულების ანგარიში, გვ. 7.

წელს, მინიმუმ, 1 თვე მაინც უფიქსირდებათ აქტიური სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი. შშმ პირის სტატუსის შემთხვევაში, ყველა მათგანისთვის ფიქსირდება 2025 წელს, მინიმუმ, 1 თვე მაინც შშმ პირის სტატუსი. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ვინაიდან ბაზაში არ ფიქსირდება კონკრეტული სერვისის გაწევის თარიღი, შესაბამისად, აუდიტის ჯგუფისათვის შეუძლებელია ბენეფიციარისათვის სერვისის გაწევის მომენტისთვის დადასტურება, რაც წარმოადგენს ერთგვარ შეზღუდვას.

შედეგად, 2025 წელს რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი 14,258 ბენეფიციარიდან ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, 13,019 პირი წარმოადგენს მოწყვლად ბენეფიციარს.

ასევე აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით,³⁶ პირი სამუშაოს მაძიებლად ვერ დარეგისტრირდება, თუ მან მიაღწია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საპენსიო ასაკს. ასევე, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას სამუშაოს მაძიებლის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ, თუ სამუშაოს მაძიებელი გარდაიცვალა. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვისა, Worknet პორტალზე სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში რეგისტრირებული იყო საპენსიო ასაკს მიღწეული მოწყვლადი კატეგორიის 341 ქალი და 81 კაცი, რომელთაგან 18 მიეკუთვნებოდა მოწყვლად კატეგორიას. ამასთანავე, სამუშაოს მაძიებელს რეგისტრაცია არ შეწყვეტია და კვლავ სამუშაოს მაძიებელთა ბაზაშია 15 გარდაცვლილი პირი.

აღსანიშნავია, რომ მოწყვლადი კატეგორიის სამუშაო მაძიებლებიდან ორი პირის მონაცემები დაზღვევითაა რეგისტრირებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი 13,019 რეგისტრირებული მოწყვლადი კატეგორიის სამუშაოს მაძიებლიდან, მხოლოდ 12,658 მოწყვლადი სამუშაოს მაძიებელი შეიძლება ჩაითვალოს DLR-ის მიზნების შესაბამისად რეგისტრირებულად.

DLR-ის მიზნებისათვის, დასაქმების სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს დასაქმების ხელშეწყობის შემდეგ ღონისძიებებსა და სერვისებს: ინდივიდუალური კონსულტირება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების კუთხით, მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსები, საკვანძო კომპეტენციების განმავითარებელი კურსები, სტაჟირება, ხელფასის სუბსიდირება. აღნიშნული სერვისების გაწევის დოკუმენტური დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა შეამოწმა დასაქმების სააგენტოსგან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ქვეყნის მასშტაბით ყველა რეგიონში სამუშაო მაძიებლის რაოდენობის პროპორციულად, ჯამში – 789 ბენეფიციარისთვის გამოთხოვილი 2025 წელს მიღებული სერვისების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა შემთხვევითი შერჩევით 789 ბენეფიციარის სხვადასხვა სერვისის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება, რის შედეგადაც გამოვლინდა ინფორმაციის დამუშავების სისტემური ხარვეზები, კერძოდ:

- კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელოს მიხედვით,³⁷ კარიერის დაგეგმვის ფურცლებზე ბენეფიციართა მხრიდან ხელმოწერით დადასტურება არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად, ამ დოკუმენტებზე სამუშაოს მაძიებელთა მხრიდან თანხმობის დადასტურება ვერ ხდება;

³⁶ საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ მუხლი 19, პუნქტი 3, „ბ“ ქვეპუნქტი და მუხლი 20, „ე“ ქვეპუნქტი.

³⁷ კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, ეტაპი 6: გეგმის შემუშავება, კარიერული განვითარების სამოქმედო გეგმის ფორმა, გვ. 18.

- დასაქმების კონსულტირების სახელმძღვანელოს მიხედვით,³⁸ კონსულტანტს ევალება სამუშაოს მაძიებელს შეუთანხმდეს შემდეგი კონსულტირების შეხვედრის თარიღზე, თუმცა დოკუმენტებში არ ფიქსირდებოდა განმეორებითი შეხვედრების დაგეგმვის შესახებ ინფორმაცია და ასევე არ იყო განსაზღვრული მომდევნო შეხვედრის ვადები;
- კვალიფიკაციის ამაღლების რეგისტრაციისა და მომსახურების ფორმები რიგ შემთხვევაში არასრულად იყო შევსებული;
- პირველადი შეხვედრის ფორმებში ხშირად მითითებული იყო, რომ მაძიებელი უკვე დასაქმებულია ან უარი განაცხადა შეთავაზებულ ვაკანსიაზე.

გარდა აღნიშნულისა, საყურადღებოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, პირი სამუშაოს მაძიებლად ელექტრონულად, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში/სააგენტოში არსებულ მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირდება. ამ მიზნით სააგენტოს მიერ შემქნილია Worknet პორტალი, რომელიც როგორც აუდიტორული პროცედურებით დადგინდა ფუნქციონირებად გარკვეული ხარვეზებით, კერძოდ:

- მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია უნდა ხდებოდეს Worknet პორტალზე, არსებული მდგომარეობით პორტალი არ არის სათანადოდ ხელმისაწვდომი: ტექნიკური ხარვეზების გამო ვერიფიკაციის მომენტისთვის შეუძლებელი იყო როგორც სამუშაოს მაძიებლის მიერ დამოუკიდებლად რეგისტრაცია, ისე დამსაქმებლის მიერ ვაკანსიის ატვირთვა. ეს არ შეესაბამება პორტალის მიზანს, რომელიც სწორედ ამ ორი ჯგუფის ერთმანეთთან დასაკავშირებლადაა შექმნილი;³⁹
- დასაქმების სააგენტოს მიერ ვერიფიცირების მიზნით წარმოდგენილ სამუშაოს მაძიებელთა რეესტრში ასახული მნიშვნელოვანი ინფორმაცია დამუშავებულია მანუალურად, რაც ზრდის ადამიანური შეცდომის დაშვების ალბათობას.

სამუშაოს მაძიებელთა ALMP-ში ჩართულობისა და მიღებული მომსახურების დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა შემთხვევით შერჩეული 133 ბენეფიციარის სატელეფონო გამოკითხვა. კომუნიკაცია ვერ განხორციელდა ან სხვა მიზეზით ვერ მივიღეთ ინფორმაცია 33 შემთხვევაში, ხოლო გამოკითხული 100 ბენეფიციარიდან 66 (66%) ბენეფიციარმა დაადასტურა, რომ ფლობდა ინფორმაციას Worknet პორტალზე რეგისტრაციის შესახებ ან/და მიიღო დასაქმების მხარდაჭერის რომელიმე სახის მომსახურება, ხოლო გამოკითხული 34 (34%) ბენეფიციარმა ვერ დაადასტურა/გაიხსენა ინფორმაცია Worknet-ის პორტალზე რეგისტრაცია ან/და არ დაადასტურა დასაქმების მხარდაჭერის რომელიმე სახის მომსახურების მიღების შესახებ.

სატელეფონო გამოკითხვის შედეგები მიუთითებს მონაცემთა აღრიცხვისა და ბენეფიციართა ინფორმირების პროცესებში კონტროლის მექანიზმების შესაძლო სისუსტეებზე, რაც ზრდის მომსახურების აღრიცხვისა და ინფორმირებულობის ხარვეზების რისკს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფმა, დამატებითი გადამოწმების მიზნით გააფართოვა ვერიფიკაციის პროცედურები. კერძოდ, ზემოხსენებული 34 პირისათვის დასაქმების მხარდაჭერი რომელიმე მომსახურების მიღების დასადასტურებლად შეამოწმა Worknet-ში არსებული დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდა Worknet-ის პორტალზე რეგისტრაცია და ინდივიდუალური კონსულტირების ან/და კარიერული დაგეგმვის მომსახურების მიღება. დამატებით, აუდიტის ჯგუფი დაესწრო სამუშაოს მაძიებლის worknet-ში რეგისტრაციის პროცესს, სადაც ჩატარდა პროცესის ტესტირების ანალიზი (walkthrough analysis), რომელიც შეესაბამებოდა დასაქმების სააგენტოში არსებულ ინსტრუქციებს. ასევე, აუდიტის ჯგუფმა გაზარდა დოკუმენტური

³⁸ დასაქმების კონსულტირების სახელმძღვანელო, დანართი 4.1 ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მოხმარების ინსტრუქცია, დასაქმების ხელშეწყობის სხვა სერვისები, მომხმარებლის მიერ შესრულებული სხვა აქტივობები, გვ. 47.

³⁹ აღნიშნული საკითხი ეხება Worknet-ის ძველ ვერსიას.

დადასტურების ტექსტის მოცვა და ამ მიზნით დამატებით შეისწავლა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული 10 ბენეფიციარის დოკუმენტაცია, რომლის შედეგადაც უზუსტობები არ გამოვლენილა.

აღსანიშნავია, რომ დასაქმების სააგენტოს მოწოდებული რეესტრი შეიცავს უზუსტობებს, კერძოდ, სამუშაოს მაძიებელს, რომელსაც მიღებული აქვს კონკრეტული ALMP-ის მომსახურება, რეესტრში არ არის ასახული მომსახურების მიღება ან პირიქით, ასახულია მომსახურების მიღება, მაშინ როცა რეალურად არ მიუღია ის. აღნიშნულის მიუხედავად, გარდა სხვა უზუსტობისა, 2025 წელს მოწყვლადი კატეგორიისა და სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლებისათვის დასტურდება, მინიმუმ 1 მომსახურების მიღება მაინც.

დასკვნა

პროგრამით გათვალისწინებული ვერიფიკაციის პროტოკოლისა და ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, DLR 3.2-ის ფარგლებში, 2025 წელს 12,658 ბენეფიციარია რეგისტრირებული მოწყვლადი კატეგორიის სამუშაოს მაძიებელად, რაც 2025 წლისთვის განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელზე - 18,000 ბენეფიციარზე ნაკლებია.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია დასაქმების სააგენტოს DLR 3.1.1, DLR 3.1.2 და DLR 3.2-თან მიმართებით

მიზანშეწონილია დასაქმების სააგენტომ უზრუნველყოს:

- Worknet პორტალის მართვის პროცესის გაუმჯობესება, პორტალზე მონაცემთა ინტეგრაცია და ავტომატიზაცია, რათა ავტომატურად გადამოწმდეს ბენეფიციართა რეგისტრაციის მომენტში მათი მოწყვლადობის კრიტერიუმის შესაბამისი სტატუსები;
- განისაზღვროს მკაფიო რეგულაციები და ინსტრუქციები ALMP ღონისძიებებისა და სერვისების ყველა ეტაპის დოკუმენტირებისთვის;
- სამუშაოს მაძიებელთათვის ინფორმაციის მიწოდების მეთოდების გაუმჯობესება, რათა ბენეფიციარებს ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა მათი ALMP ღონისძიებებში მონაწილეობისა და მიღებული სერვისების შესახებ;
- დოკუმენტაციის ორგანიზება იმგვარად, რომ ALMP ღონისძიებების შესაბამისი თითოეული მომსახურების დოკუმენტზე ფიქსირდებოდეს სამუშაოს მაძიებელთა ხელმოწერით დადასტურება.